პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

რედაქციაში საქმიანობის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ. ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 295 (1450)

- მოსკოვში გაიხსნა სახალხო კავშირის პროფკავშირების ცაკის პლენუმი.
- საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი" 1 დეკემბრიდან 15—იდის ფოთში გაგზავნა 25 ათასი ტონი მარგანეცი.
- ახალქალაქის მაზრაში მოვიდა დიდი თოვლი.

მეთოთხმეტე პარტიული ყრილობა

ამხ. ზინოვიევის თანამოხსენება

ხუთი პუნქტი

მოსკოვი, 22 დეკ. მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ქვეყანა ყრილობის მოწვევის მომენტში, შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად:

პირველი, ჩვენ მივადექით ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეხუთე წელს. მთელი ჩვენი ძალ-ღონე მივმართეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობისაკენ, გადავედით იმ პერიოდში, რომელიც შემდეგ ჩვენი რევოლიუციის ისტორიაში ჩაიწერება, როგორც უდიდესი აღმშენებლობის პერიოდი.

მეორე—ამ ხუთმა წელიწადმა დაგვანახვა, რომ გზა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით სოციალიზმისაკენ—ერთად-ერთი სწორი გზაა. ყოველგვარი მითქმა-მოთქმა, თითქოს ჩვენ გვეპარებოდეს რაიმე ეჭვი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, იმ გზის შესახებ, რომლითაც ჩვენ მივდივართ, სრულიად უსაფუძვლოა.

მესამე—მთელი ჩვენი სამეურნეო განვითარებით დამტკიცდა, რომ ჩვენ მართლაც ვაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ვკამათობთ მხოლოდ იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საბოლოოთ დავამყაროთ სოციალიზმი და განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობა ერთ ქვეყანაში და ისიც გლეხურ ქვეყანაში.

მეოთხე—ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა განწყობილია კულაკის წინააღმდეგ.

მეხუთე—პროლეტარიატის და საერთოდ ყველა მშრომლების არაჩვეულებრივი აქტივობა.

როგორია მთავარი სიძნელენი ჩვენს მუშაობაში? ეს არის მსოფლიო რევოლიუციის გაჭიანურება, სოციალიზმის მშენებლობა ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც სჭარბობს გლეხობა, და ჩვენი პარტიის მიერ კოლექტიური ხელმძღვანელობის შექმნა ლენინის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ პირობებში სხვადასხვა ამხანაგების მერყეობა და შეცდომები ბუნებრივია და რამდენიმედ აუცილებელი.

გადავდივარ ჩვენი უთანხმოებათა სხვადასხვა მუხლებზე.

სახელმწიფო კაპიტალიზმი

სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში „უთანხმოება ეხება არა „ტერმინებს", არამედ პოლიტიკის სისტემას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის შეფასებას. ამ საკითხში სადაოა ის გარემოება, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი თითქოს გამოიხატება მხოლოდ კონცესიებში და იჯარაში. ეს მართალი არ არის, ეს არის ლენინიზმის რევიზია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის იდეალიზაცია, კაპიტალიზმის იდეალიზაცია. ამავე დროს ივიწყებენ ისეთ „წვრილმანს", როგორც ვაჭრობის თავისუფლება, როგორც ჩვენში არსებული განაწილების და მოხმარების ნორმა, როგორც კაპიტალიზმის აუცილებელი ზრდა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობიდან. სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენთვის კედლით არაა დაშორებული სოციალიზმისაგან. მაგრამ უკანასკნელ ხანებში საქმე იმნაირათ შეტრიალდა, რომ საკითხი ვაჭრობის თავისუფლების და კაპიტალიზმის როლის შესახებ დატოვებულია უყურადღებოთ. მთელ დავას კი ისეთ ხასიათს აძლევენ, თითქოს ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი ან უბრალო კაპიტალიზმი, რომ ჩვენ სახელმწიფოს წარმოებებში ადგილი აქვს მუშათა ექსპლოატაციას და სხვა.

გლეხობის საკითხი.

გლეხობის საკითხში და პირველ ყოვლისა საშუალო შეძლების გლეხობის საკითხში მე უნდა აღვნიშნო, რომ მან, ვისაც არ სურს სრული სიმართლე სთქვას „კულაკის" შესახებ, მან აუცილებლად უნდა უსაყვედუროს თავის მეზობელს იმაში, რომ ის საკმარისად ვერ აფასებს „კულაკს". მე ბრალს მდებდენ იმაში, რომ მე დავივიწყე საშუალო შეძლების გლეხი. ჯერ კიდევ 1918 წელს, ცეკას დავალებით, მე გავაკეთე მოხსენება სოფლის ღარიბ გლეხობის კომიტეტების გაუქმების შესახებ. ამ მოხსენებაში მე გავილაშქრე იმათ წინააღმდეგ, ვისაც უნდოდა დაირაზმა მხოლოდ [illegible] ღარიბი გლეხობა და სოფლის პროლეტარიატი და არ სურდათ დაენახა, რომ ჩვენში არის საშუალო შეძლების გლეხი, რომელიც შეადგენს მრავალრიცხოვან საშუალო ფენას სოფლად და რომელიც ჩვენთვის ძალიან საჭიროა. როდესაც მელაპარაკებიან, რომ ეხლა 1925 წელს მე დავივიწყე საშუალო შეძლების გლეხი, ეხლა, როდესაც მდგომარეობა გაცილებით უფრო ნათელია, ვიდრე 1918 წელს, თავდაცვის მიზნით, მოგაგონებთ იმას, რასაც ვლაპარაკობდი 1918 წლ. ნოემბერში.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ჩემი და სხვა ამხანაგების უთანხმოება და შეცდომები დაიწყო მე-14 პარტკონფერენციის შემდეგ. თითქოს ჩვენ არ ვეთანხმებოდით მე-14 კონფერენციის, ოქტომბრის პლენუმზე თითქოს ვსცდილობდით ჩაგვეშალა კონფერენციის დადგენილებანი და ეს ცდა ასე თუ ისე დღესაც გრძელდებაო. ეს მართალი არ არის.

მე-14 პარტკონფერენციას ჩვენ ვეთანხმებოდით და დღესაც სავსებით ვეთანხმებით. ეს გადაწყვეტილებანი სავსებით სწორია. ლოზუნგი სოფლად საწარმოვო ძალთა განვითარების შესახებ სწორია.

„უკანდახევის" შესახებ.

სოფლის ზედაფენების მიმართ ზოგიერთ დათმობის, იჯარის და დაქირავებულ შრომის საკითხებში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას. როგორია მდგომარეობა დღევანდელ მომენტში სასოფლო მეურნეობის ფრონტზე? აქაც ჩვენ ნაწილობრივად ვიხევთ უკან იმ დროს, როდესაც ჩვენი ძალები სჭარბობენ.

ამ ტერმინის—„უკანდახევის" შესახებ უნდა შევნიშნო. ეს სიტყვა ზოგიერთ ამხანაგებს არასწორად ესმით და იწვევს მათ მხრივ ბრალდებას უკუქცევაში (отступленчество). მაგრამ საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ვიხმაროთ სიტყვა „უკანდახევა", აღნიშნულ დათმობებთან დაკავშირებით, იდგა პოლიტბიუროში, რომელმაც დაადგინა, რომ ეს სიტყვა უნდა ვიხმაროთ, რომ იგი სწორი იქნება, რომ არ შეიძლება ამ ფაქტის დაფარვა.

ის ნაწილობრივი უკანდახევა, რომელსაც ჩვენ ჩავდივართ ერთ-ერთ საკითხში, მთლიანად გამომდინარეობს 1921 წლის მთავარ დათმობიდან, რომელიც იყო ჩვენთვის აუცილებელი და სასარგებლო. იგი ლოღიკურად დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. ჩვენ გვინდა გამოვასწოროთ ფრონტი, რათა უფრო ადვილად დავძლიოთ მოწინააღმდეგე [illegible] უნდა შემოვლითი მოძრაობას თან სდევს თავისი საფრთხე, მაგრამ „მგლის შიშით ტყე ვის დაუტოვებია".

„კულაკური" საფრთხე.

არაა სამართლიანი ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება იმაში, რომ მე თითქოს ვსცდილობდი ოქტომბრის პლენუმის რეზოლიუციის გადასინჯვას. ჩემის აზრით მას ესაჭიროება გაღრმავება და უფრო მკაფიოთ ჩამოყალიბება. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ კულაკური საფრთხე არ არსებობს, რომ კულაკები ერთეულებია და სხვა. საქმე ბოგუშევსკში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ნახევარი წელიწადი გაისმოდა ბუხარინის ლოზუნგი: „გამდიდრდით", რომ ეს ლოზუნგი გაგებულია ვულგარულად. ლაპარაკობდენ ახალ ეკონომიური პოლიტიკის გაფართოებაზე სოფლად, მაშასადამე,—ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაფართოებაზე ქალაქშიაც; ლაპარაკობდენ, რომ საჭიროა მიწის დენაციონალიზაცია და სხვა. ვისაც არა სურს აშკარად ლაპარაკი კულაკის შესახებ, ის აუცილებლად ჩავარდება პანიკაში და და წყებს რწმუნებას, რომ სხვები ვერ ამჩნევენ საშუალო შეძლების გლეხს.

პარტია და პარტიული ხელმძღვანელობა.

მესამე და ყველაზე რთული საკითხია საკითხი პარტიის და პარტიის კოლექტიურ ხელმძღვანელობის შესახებ. როგორია ჩვენი მთავარი ციხე სიმაგრე ყველა საშიშროებათა წინააღმდეგ? ეს არის ჩვენი პარტია. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ საკითხს მისი შემადგენლობის შესახებ.

ეხება რა სარქისის მოსაზრებას პარტიაში მუშების რიცხვის 90 პროცენტამდე აყვანის შესახებ, ზინოვიევი ამბობს:

„მე წავიკითხე ბუხარინის უაღრესად პესიმისტური სიტყვა მოსკოვის კონფერენციაზე. ბუხარინი ამბობს: „რას წარმოადგენს დღეს მუშათა კლასი, რამდენია მასში ახალი დაუმუშავებელი ელემენტი. ნედლი მასალა და სხვა".

მე ეს ძალიან მაკვირვებს. საიდან მოდის ამდენი ნედლი მასალა. განა ჩვენ არ გვესმის, რომ საქმე წავა ისე, რომ მუშათა კლასის მთავარი კადრი დაამუშავებს ნედლ მასალას და არა პირიქით? თუ მივიღებთ მხედველობაში მუშათა კლასის კონსოლიდაციას და ზრდას, მრეწველობის ზრდას, თუ მივიღებთ მხედველობაში [illegible] აღმშენებლობის პერიოდში, ჩვენ უნდა შევავსოთ ჩვენი პარტია პროლეტარიატის საუკეთესო ელემენტებით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაქოლვა იმისა, ვინც ასეთ წინადადებას იძლევა და ამის „აქსელროდოვშჩინათ" მონათვლა.

ეხება რა საკითხს პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ, ზინოვიევი აცხადებს:

„მთელ რიგ მერყეობიდან უდიდეს პრინციპიალურ საკითხებში, აშკარაა, რომ ბევრ შემთხვევაში მტკიცე პოლიტიკას ყოველთვის არ ჰქონია ადგილი. რა თქმა უნდა, ჩვენ საუკეთესო ცენტრალური კომიტეტი გვყავს, ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს იტყვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თვითქებას მივყოთ ხელი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მტკიცე ჟესტები მივიჩნიოთ მტკიცე პოლიტიკათ.

ამხ. ბუხარინის სიტყვა

განსაკუთრებული მდგომარეობა

მიმდინარე ყრილობაზე—დაიწყო ბუხარინმა—ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული მდგომარეობა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. ცეკას ანგარიშის გარეშემო გამოდის თანამომხსენებელი, ცეკას პოლიტბიუროს წევრი. ამგვარად ჩვენს წინაშე არის პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი. თუ წინად ლაპარაკი იყო იმაზე, რომ თითქოს არც ერთ ლენინგრადელ ამხანაგს არა აქვს მხედველობაში ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტიკური ხაზი, რომელიც გამოხატავს ჩვენი პარტიის უმრავლესობის პოლიტიკას, არამედ საქმე შეეხება მხოლოდ ბოგუშევსკის, ეხლა ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენ, მეტი რომ არ ვსთქვათ, შეცდომაში შეგვყავდა ლენინგრადის პროლეტარიატი. წინად ლენინგრადელი ხელმძღვანელნი აღნიშნავდენ, რომ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ცეკას ხაზს დაუპირდაპიროთ რაიმე სხვა ხაზი. ეხლა თავისი თანამოხსენებით თქვენ დაგვანახვეთ, რომ თქვენ თავის ხაზს უპირდაპირებთ ცეკას ხაზ. თუ თქვენ ემხრობით ცეკას ხაზს, მაშინ გაუგებარია, რაღა საჭიროა თანამომხსენებელი.

რატომ და რისთვის ვამბობ მე ყოველივე ამას? იმისთვის, რომ მთელმა ყრილობამ და თქვენ, ლენინგრადელო ამხანაგებო, გაიგოთ, რომ აქ ლაპარაკია უმძიმეს კრიზისზე ჩვენი პარტიის შიგნით. ცეკას ანგარიშის შესახებ თანამოხსენების თვით ფაქტი წარმოადგენს უდიდეს პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას. უნდა გავაკეთო კიდევ მეორე შენიშვნა, რომელიც შეეხება აქ წამოყენებულ სხვადასხვა პრაქტიკულ ღონისძიებებს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ცეკას უმრავლესობა უდანაშაულოა კულაკურ და სხვა გადახრებისათვის ხელის შეწყობაში. კეთილი და პატიოსანი. მაშ რაღას გვირჩევთ თქვენ? რა კონკრეტულ ღონისძიებებს? რას გვირჩევთ ახალს პრაქტიკულ ღონისძიებათა სფეროში, რომელიც გამომდინარეობდეს თქვენი პოზიციიდან, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავთ თქვენ? როცა ასე დავაყენებთ საკითხს, ჩვენ ვხედავთ საკვირველ ამბავს. პრაქტიკულ წინადადებებს არავინ იძლევა.

ოპოზიციის ორი წინადადება

მაგრამ ოპოზიციის მხრივ ჩვენ გვაქვს ორი სპეციფიური ხასიათის წინადადება. პირველი—ახალგაზრდობის კომკავშირს შორის მუშაობის სფეროში, მეორე—ჩვენი პარტიის შემადგენლობის მოწესრიგების საკითხში.

მათ წინადადებაში ახალგაზრდობის კომკავშირის შესახებ ნათქვამია, რომ ახალგაზრდობის კომკავშირის ირგვლივ უნდა შევქმნათ უპარტიო და საშუალო შეძლების ახალგაზრდობის სადელეგატო კრებები. ჩვენ ვუპასუხეთ ამის წინააღმდეგ. ეს წინადადება უარყოფილ იქნა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის მიერ, რადგან ჩვენის აზრით ჩვენ რომ ეხლა დავიწყოთ საშუალო შეძლების ახალგაზრდობის დარაზმვა ახალგაზრდობის კომკავშირის ირგვლივ განსაკუთრებულ ორგანიზაციად, გლეხობის აქტივობის კოლოსალურ ზრდის გამო ეს ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის შემოკრებილი იქნება ახალგაზრდობის კომკავშირის ირგვლივ, ფაქტიურად გადაიქცევა ახალგაზრდ. კომკავშირის პარალელურ ორგანიზაციათ.

თქვენის მხრივ ჩვენ გვქონდა მეორე წინადადებაც. ეს—პარტიის საკითხის სარქისოვისებურად დაყენება. სარქისოვის წერილში გასაგები იყო რომ ის წინადადებას იძლევა მთელი სამრეწველო პროლეტარიატის 90 პროც. შეყვანილ იქნეს პარტიაში. ჩვენ გვყავს მილიონამდე პარტიის წევრი, აქედან 600.000 არის არა სამრეწველო მუშა. სარქისის მიხედვით ისინი უნდა შეადგენდენ 10 პროცენტს. ვინაიდან მას შეუძლია 100-მდე დათვლა, ის აუცილებლად უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ მთელი პარტია უნდა შესდგებოდეს 6 მილიონიდან. და რადგან ამჟამად პარტია უდრის მხოლოდ ერთ მილიონს, სარქისი წინადადებას გვაძლევს შემდეგი პარტიული ყრილობისათვის პარტიაში მიუღოთ 5 მილიონი წევრი. ჩვენ რომ გავყვეთ სარქისის რჩევას, ჩვენ ეხლავე მივიღებდით პროლეტარულ პარტიაში დიდ რაოდენობას გლეხური ელემენტებისა, თუნდაც პროლეტარიატის სახელწოდებით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზინოვიევს ძალიან უყვარს ათასი ფრაზების გადმოსროლა, რომელთაგანაც ძნელად გაიგებს კაცი რაიმე აზრს. ის აქ ლაპარაკობდა მუშებზე როგორც ნედლ მასალაზე. საიდან მოდის ეს ნედლი მასალაო—კითხულობს იგი. ნუ თუ ზინოვიევმა არ იცის, საიდანაც მოდის ის? სოფლიდან, სოფლიდან, ამხანაგო ზინოვიევო! ამხანაგები გაიძახიან, რომ ჩვენ დავუთმეთ პოზიციები წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ სტიქიას. მაგრამ ორთავე წინადადებაში ჩვენგან იმითი განირჩევიან, რომ ეს წინადადებანი მიდიან სწორეთ გლეხური წვრილი-ბურჟუაზიის წინაშე კაპიტულიაციისაკენ. მაშ, ეს არის თქვენი მოთხოვნილებების მთელი პროგრამა.

ეხლანდელი დისკუსიის შინაარსი

ეხლა, ნება მოგვეცით, ამ შენიშვნების შემდეგ დადავიდეთ იმაზე, თუ რას წარმოადგენს, ჩემის აზრით, ეს დისკუსია, რომელსაც ჩვენ ამჟამათ ვეწევით და ამ დისკუსიაში რას უნდა მიაქციოს უმთავრესად ყურადღება ჩვენმა პარტიამ.

ჩვენი დისკუსიის საფუძველს წარმოადგენს დამოკიდებულება მუშათა კლასსა და გლეხობის შორის. ეხლანდელ დავას უნდა შევეხოთ წინანდელი დისკუსიების მხედველობაში მიღებით, რომელთაც ვაწარმოებდით ამხ. ტროცკისა და სხვა გამოსვლების წინააღმდეგ. მე მგონი ეს სრულებითაც არ წარმოადგენს შემთხვევითი მოვლენას. ჩვენ შეგვექმნა ეხლა ახალი სამეურნეო გარემოება, ახალი საერთაშორისო მდგომარეობა და პარტიაც ამ შექმნილ პირობებში თრთოლვითა და შინაგანი მღელვარებით დაეძებს, რაც შეიძლება, სწორე პოზიციას ჩვენი გლეხური პოლიტიკის დარგში. ამ საკითხის დასმის ძირითადი სირთულე მდგომარეობს შემდეგში: თუ პირველ და მეორე დისკუსიის დროს საკითხს გლეხობის შესახებ ვახილავდით რამდენიმეთ უფრო ზოგადის ხასიათით, ეხლა კი ჩვენ პირდაპირ დავსვით საკითხი, თუ როგორი უნდა იყვეს დამოკიდებულება გლეხობის სხვადასხვა ფენებთან. აი, ასე უნდა განვიხილოთ შინაარსი ჩვენის დავისა.

დისკუსიის სოციალური ნიადაგი.

თუ ჩვენ დავსვამთ საკითხს ამ ახალი დისკუსიის სოციალურ ფონის შესახებ ე. ი. რა საზოგადოებრივ მდგომარეობაში მიმდინარეობს იგი, მაშინ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აქ სამი უმთავრესი ფაქტი: პირველყოვლისა ფაქტი ბურჟუაზიულ ფენების ზრდისა სოფლად და ქალაქად. მეორე—ყველა კლასებისა და ყველა ფენების აქტიობის გაძლიერება. ამასთან საგანგებოთ უნდა აღინიშნოს ამ პროცესის გაშლა სოფლად. მესამე—პროლეტარიატის ახალი ფენების წარმოშობა. აი, ის სოციალური ფონი, რომელზედაც ხდება ჩვენი შინაპარტიული დისკუსია. ჩვენ პროლეტარიატში მიმდინარე ახალი ფენები პირდაპირ გვისვამენ ძირითად საკითხს: ნახევარ-გლეხი ნახევარ-მუშა მოდის ჩვენ ფაბრიკაზე და იმავე საათში უნდა მას გამოარკვიოს თავისი სოციალური მდგომარეობა—უშვებიან თუ არა იმას ექსპლოატაციას? სად მიჰყავს ჩვენი წარმოების ორგანიზაციას? რითი განირჩევა ჩვენი ფაბრიკა ძველისაგან? ის იძლევა ამ კითხვებს. ის პირდაპირ ავადმყოფურათა სვამს ამ საკითხს.

მეორე მხრივ ჩვენმა პოლიტიკამ ჯერ ვერ მოასწრო შესაფერისად დააკმაყოფილოს ღარიბი გლეხობა. ამიტომ, ცხადია, იგი იწვევს მრავალ გაუგებარ კითხვებს იმ ვე ღარიბ გლეხობაში. ამგვარად ეს ელემენტები ბურჟუაზიულ ფენების აბსოლიუტურ ზრდის ფონზე თავიანთი მწვავე კითხვების მუშტებით აკაკუნებენ ჩვენი პარტიის კარებში. მთელ სახელმწიფოში ჩვენი პარტია წარმოადგენს ერთ-ადერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ასახავს ამ საკითხებს, აყენებს იმათ, უნდა გადასჭრას იგინი და გადასჭრის კიდეც. ახალი მუშების მოსვლა პირველყოვლისა ხელს უმართავდა იმას, რომ ყველა ეს საკითხები აყვანილია პრინციპიალურ სიმაღლეზე. ზოგიერთი ფიქრობს ასე: „რა შუაშია აქ სახელმწიფო კაპიტალიზმი და სხვ. წაეკიდენ ცეკას წევრები ერთმანეთს და მთელი საქმეც ამაში მდგომარეობსო". ეს სწორე არ არის. აგრეთვე სწორე არ იყო საკითხის ამგვარათ დასმა მაშინაც, როცა ჩვენ ვარჩევდით, თითქოს ისეთ დაშორებულ საკითხს, როგორცაა საკითხი პერმანენტული რევოლიუციისა.

სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში.

ნება მომეცით, გიჩვენოთ, თუ ეს საკითხები როგორ არიან გადახლართული პრაქტიკულ პოლიტიკის საკითხებთან. ჩვენსა ყოველთვის ძირითად ამოცანად სთვლიდენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას თანამედროვე [illegible].

თითქოს, რა კავშირი აქვს ამ საკითხს ეხლანდელ მომენტთან. მათ შორის უახლოესი კავშირია. ამ საკითხის გარშემო და წყო ჩვენს შორის კამათი პოლიტბიუროს ერთ ერთ სხდომაზე, დაახლოვებით მე-14 პარტიული კონფერენციის შეკრების დროს. მე ვამტკიცებ და ამას დაადასტურებენ მთელი რიგი მოწმეები—ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომ კამენევი და მის შემდეგ ზინოვიევი ამ სხდომაზე იცავდენ იმ პოზიციას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სოციალიზმის აშენება ბოლომდე ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო. ამაზე ჩვენ ცხარე კამათი გვქონდა. ჩვენ უარვყოფდით მათ მიერ წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა დავიღუპოთ ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო.

ძველი შეცდომის განმეორება

ჩვენ ვფიქრობდით. რომ ეს არის ცდა უკან დაგვაბრუნონ იმ ლიანდაგზე, რომელიც ჩვენ უკვე გავიარეთ. ზინოვიევმა, რომელმაც დასწერა წიგნი ლენინიზმის საფუძვლების შესახებ, ეს საკითხი მიჩქმალა. აქ გადაქექეს ჩემი წარსული და მე უფლება მაქვს გადავქექო სხვა ამხანაგების წარსულიც. ვიღებ ზინოვიევის წიგნს, რომელსაც ეწოდება „ლენინიზმი", და ვკითხულობ იმ ადგილს, რომელიც შეეხება ჩვენი კლასიური ურთიერთობის შეფასებას და იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1917 წლის ოქტომბერში. „ჩემი პირადი შეცდომა—სწერს ზინოვიევი—მდგომარეობდა იმაში, რომ წერილში „კომპრომისების შესახებ" (ეს ვლადიმერ ილიჩის წერილია) აღნიშნული ხაზი, რომელიც გამოსადეგი იყო კონკრეტულ მომენტისათვის, მე გავაგრძელე რამოდენიმე დღით და გავაგრძელე უფრო მეტათ, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო". აქედან ზინოვიევმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ მისი შეცდომა ოქტომბრის დღეებში მდგომარეობდა იმაში, რომ მან რამოდენიმე დღით გააგრძელა ვლადიმერ ილიჩის ხაზი კომპრომისების შესახებ. ეს—სასაცილოა. ეს, რასაკვირველია, არ ამცირებს ზინოვიევის შეცდომას, განა შეიძლება უზარმაზარი შეცდომის ისე ახსნა, რომ მან რამოდენიმე დღით გააგრძელა ვლადიმერ ილიჩის ხაზი? პირდაპირ სასაცილოა ასე ლაპარაკი. ამ პატარა ამონაწერიდან სჩანს, რომ ზინოვიევს არ ესმის თავისი ძველი შეცდომის მასშტაბი. თუ ზინოვიევი და კამენევი ოქტომბრის დღეებში ამბობდენ, რომ არ შეიძლება აჯანყების მოწყობა, რადგან აქედან არაფერი არ გამოვა, ეხლა ისინი ამბობენ: „ჩვენ დაგვღუპავს ტეხნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა თუ არ მოხდა საერთაშორისო რევოლიუცია". ეს დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს ხდება ახალ პირობებში, ახალი მიზეზის გამო; ახალი მიზეზების თვალსაზრისით მეორდება იგივე შეცდომა. აი რაშია საქმე.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

ეხლა მე გადავდივარ საკითხზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ზინოვიევი აქ ამბობდა, რომ ჩვენ ჯვაროსნულ ომს გამოუცხადებთ ყველას, ვინც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ურევს სოციალიზმშიო. მე არ მომისმენია არც ერთი განცხადება, რომელიც გამოთქმული ყოფილიყო ლიტერატურაში ანდა მიტინგებზე, სადაც ვინმეს ერთმანეთში აერიოს სოციალიზმი და ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ზინოვიევი და მისი უახლოესი მეგობრები ახალ ეკონომიურ პოლიტიკას სთვლიან მხოლოდ უკან დახევათ. მე ამის დამტკიცება შემიძლია ყოველთვის და ყოველგან. ზინოვიევი საერთო ფორმულის სახით ხმარობს შემდეგ გამოთქმას: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ლენინიზმის უკან დახევა ფართო მასშტაბით". ლენინი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას სთვლიდა უდიდეს სტრატეგიულ მანევრათ, რომელიც შეიცავს, ერთის მხრივ, უკან დახევის ელემენტს, მეორეს მხრივ, რიგების ხელახლა შეკავშირებას და, მესამეს მხრივ, შეტევას ახალი ფრონტით. აი, ასე სდგას საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის საკითხი

ამ საკითხთან დაკავშირებით ისმება მეორე საკითხი—საკითხი სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ. აქ, ამხანაგებო, ახდენენ სრულიად გარკვეულ სტრატეგიულ თანდს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მათ უნდათ პარტიულმა ყრილობამ საკითხი ისე არ განიხილოს, როგორც ის დასმულია ეხლა. მე არ უარვყოფ, რომ ამ საკითხში მე ვსცდებოდი. მაგრამ ცუდია, როდესაც ამით სცდილობენ დაჩრდილონ საკითხი, რომელიც ეხლანდელი მომენტის ყველაზე უფრო საარსებო საკითხია. განცხადებაში, რომელიც აქ გაკეთა ზინოვიევმა, ნათქვამია, რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა არის თანმიმდევრობითი სოციალისტური ტიპის მრეწველობა.

ამხ. ზალუცკის პოზიცია

[illegible] ის მიმართ ნათქვამია იგივე. მოსკოვის კონფერენციის უყენებენ ბრალდებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ სისულელეა ბრალდება, თითქოს ზოგიერთი ლენინგრადელი ხელმძღვანელები სხვანაირად უდგებოდენ საკითხს.

რას ლაპარაკობენ ხელმძღვანელები? ავიღოთ ზალუცკი, რომელიც საინტერესოა თავის აზრების თანამიმდევრობით. მას არ სჯერა ჩვენი მშენებლობა, ფიქრობს, რომ ჩვენ გადაგვარების გზაზე ვართ დამდგარი და სათანადოთ აფასებს ამას. ზალუცკის ბროშიურაში მე ვკითხულობ: „ჩვენ ვსდგამთ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს იქითკენ, რათა „სოციალისტური ტიპის" თანამედროვე გარდამავალი წარმოება, რომელიც ჯერ კიდევ მუშაობს „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის საფუძვლებზე გადავაქციოთ სოციალურ წარმოებათ. ის რაც დღეს გვაქვს ჯერ ჯერობით არის ის, რასაც ლენინი უწოდებდა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს". არის თუ არა ეს ფორმულა იგივე, რაც „თანმიმდევრობითი სოციალისტური ტიპის წარმოება"? ზალუცკიმ ხომ თვითონ აღიარა თავისი შეცდომა, როდესაც დასწერა, რომ „მას შემდეგ, რაც მე წავიკითხე „პრავდაში" მთელი რიგი წერილები ამ საკითხზე, ჩემთვის ნათელი გახდა რომ შეუფერებელი იყო სხვადასხვა ჩემი ფორმულა და მე ვაღიარებ, რომ ეს შეცდომაა". თქვენი პოზიციის შეუფერებლობა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ეხლა უარი სთქვით ძველ ფორმულაზე და მიიღეთ თანმიმდევრობითი სოციალისტური წარმოების". ფორმულა, ე. ი. დასთმეთ მთელი თქვენი პოზიცია, ხოლო შემდეგ მოდიხართ და ლაპარაკობთ, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, რომ არაფერი ცუდი არ გითქვამთ და უკან არ დაგიხევიათო.

ლენინის აზრთა დამახინჯება

გადავდივარ ეხლა ზინოვიევზე, რომელიც აქ ლაპარაკობდა, რომ ის მთლიანად მხარს უჭერს „თანამიმდევრობითი სოციალისტურ წარმოებას". აქ, უწინარეს ყოვლისა, მე ვხედავ, რომ ზინოვიევი თავის წიგნში „ლენინიზმი", სადაც ის ეხება სახელმწიფო მრეწველობას არაფერს არ ამბობს ჩვენი წარმოებების თანამიმდევრობით სოციალისტურ ტიპზე. რათ მოხდა ასეთი ფოკუსი? „რუსეთის კომპარტიის ისტორიაში" არ არის გლეხობა, აქ კი არ არის „თანმიმდევრობითი სოციალისტური ტიპის წარმოებანი". რატომ აცხადებს პრეტენზიას ზინოვიევი ასპროცენტიან ლენინიზმზე, ხოლო თავის წიგნში ის უმალავს პარტიას ლენინის აზრს? მე ვფიქრობ, რომ ლენინისადმი ასეთი მოპყრობა ცოტა ოდნად სათაკილოა.

ჩვენ შეიძლება გვქონდეს სერიოზული უთანხმოებანი, შეიძლება ჩავიდინოთ შეცდომები და ჩავიდენთ მომავალშიაც, მაგრამ მაინც საჭიროა სისწორით გადმოვცეთ ის, რასაც ლენინი სწერდა, მოვიყვანოთ ციტატები სწორად, სისწორით გადმოვცეთ მოწინააღმდეგის აზრი და ვაღიაროთ ის, რასაც წინად თვითონ ვამბობდით. აი როგორ მდგომარეობაშია საკითხი ზინოვიევის შესახებ.

ჩვენი მრეწველობის საკითხი 1921 წ.

ეხლა ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვსთქვა შემდეგზე: ზინოვიევს და სხვებს ყველაზე მძლავრ არგუმენტად მოჰყავთ ჩემი ლოზუნგი „გამდიდრდით!" მეორე—ციფრები „კრასნაია ნოვ"-იდან. ისინი ფიქრობენ, რომ შეიძლება თვითეულ ცალკე შემთხვევაში ამ კოზირით სარგებლობა. მე ვლაპარაკობ 1921 წლის შესახებ. აქ ლაპარაკობენ, რომ ბუხარინი ბრალს სდებდა ლენინს პესიმიზმში. მე გირჩევთ წაიკითხოთ ლენინის წერილი პოლიტგანათლების განყოფილებათა მეორე ყრილობაზე, სადაც ლენინი ამბობს, რომ ჩვენ მრეწველობა თითქმის არა გვაქვსო. ეს შეეფერებოდა სინამდვილეს, ვინაიდან მაშინ ჩვენ ვიმყოფებოდით უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში მქონდა თუ არა მე უთანხმოება? მქონდა და ამას მე არ უარვყოფ. ვფიქრობ, რომ თქვენ უნდა გაიგოთ, რომ საკითხი იმ სახით, რა სახითაც იგი იყო დაყენებული 1921 წელს, მოხსნილია ცხოვრების მიერ. მაგალითად უნდათ მომაწერონ მე შემდეგი: თითქოს ბუხარინს ეთქვას, რომ ვლადიმერ ილიჩი სცდებოდაო და მე, ბუხარინი, აღმოვჩნდი მართალი და მე ვითომდა მინდოდეს რევანში. ეს სისულელეა, ეს სასაცილოა, რომ მე თითქოს მინდოდეს რევანში. მეორეს მხრივ სასაცილოა ისიც, რომ ზოგიერთ ამხანაგებს არ ესმით, რომ არ შეიძლება მექანიკურად დავაყენოთ საკითხი სწორედ ისე, როგორც იყო დაყენებული მაშინ, როდესაც არ გვქონდა არავითარი მრეწველობა, არამედ გვქონდა საკონცესიო გეგმები და ეხლა, როცა გვაქვს საკუთარი მრეწველობა. აი რისი თქმაც მინდოდა ორი აზრის დაპირდაპირების შესახებ.

ლენინის შეხედულების ვულგარიზაცია

კიდევ ერთი შენიშვნა. ზინოვიევს თავის წიგნაკში არ ესმის ვლადიმერ ილიჩის ნაწერების ერთი ადგილი ან ესმის იგი ფორმალურად. „ვაჭრობის თავისუფლება არის კაპიტალიზმი"-ო. ზინოვიევი ამბობს; „ჩვენ გვაქვს ვაჭრობის თავისუფლება, მაშასადამე გვაქვს კაპიტალიზმიც. რამდენადაც ჩვენში არსებობს ვაჭრობის თავისუფლება". ეს არის საკითხის ისეთი გამარტივება, ისეთი ვულგარიზაცია, რომ თმები ყალხზე გიდგება. რას ნიშნავდა, როცა ლენინი ამბობდა, რომ ვაჭრობის თავისუფლება არის კაპიტალიზმი. ეს ნიშნავდა იმას, რომ ვაჭრობის თავისუფლება არის ისეთი მოვლენა, რომლის საფუძველზე თანდათან იზრდება კაპიტალიზმი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმსა და თავისუფალ ვაჭრობის შორის დავსვათ იგივეობის ნიშანი ამ სიტყვის უხეში მნიშვნელობით. ასე არ შეიძლება ლაპარაკი საკითხის დეტალურად განხილვის დროს. ჩვენ გვაქვს სახელმწიფო კაპიტალიზმის ელემენტები. გვაქვს წვრილ-ბურჟუაზიული მეურნეობის ელემენტები. ჩვენ განსაკუთრებით თვალში გვხვდება კაპიტალისტურ ელემენტები, სისულელეა და სამარცხვინო იმას თქმა, რომ ამას ვინმე ჩვენგანი უარყოფს. საკითხი ასე არა სდგას—დავა სწარმოებს სახელმწიფო წარმოებების შეფასების შესახებ.

საშუალო გლეხის საკითხი

ეხლა ნება მიბოძეთ გადავიდე საშუალო გლეხის საკითხზე. მართალია თუ არა რომ ზოგიერთი ამხანაგები ვერ აფასებენ საკმაოდ საშუალო გლეხს? მართალია. ზინოვიევი სწერს საპროგრამო წერილს „ეპოქის ფილოსოფია". ზინოვიევის ამ წერილში საშუალო გლეხის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. ჩვენ ურჩიეთ მას შეხებოდა საშუალო გლეხსაც. ის შეეხო. მე არ მესმის, რატომ არ სურს მას მთელ გლეხობაზე ლაპარაკი „რუსეთის კომპარტიის ისტორიაში". ის აქ უფრო მეტ დაჟინებას და „თანამიმდევრობას" იჩენს. მაგრამ საშუალო გლეხს მაინც ეხება. კამენევმა გააკეთა მოხსენება მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე. მის მოხსენებაშიაც გაქრა საშუალო გლეხი. ჩვენ ურჩიეთ მას ჩაერთო საშუალო გლეხიც და მან ჩაურთო, როცა იბეჭდებოდა სტენოგრამა. ზინოვიევი ბროშურაში მე-14 პარტკონფერენციის შესახებ სწერს „საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის ლოზუნგზე" და არა მასთან მჭიდრო კავშირის ლოზუნგზე, რასაც მოითხოვს ლენინი პროლეტარული დიქტატურის გამაგრების პერიოდისათვის. მე-14 პარტკონფერენციაზე ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილებათა მთელი რიგი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მჭიდრო კავშირს საშუალო გლეხთან, ზინოვიევის მიერ წამოყენებული დებულება კი სულ სხვა ხაზით მიდის—ზინოვიევი სრულებით ვერ ხედავს საშუალო გლეხს.

ერთი ლოზუნგის გამო

შევჩერდები კიდევ ერთ შენიშვნაზე. ზინოვიევის წიგნს ეწოდება „ლენინიზმი", მაგრამ თუ თქვენ დაუწყებთ იქ ძებნას ისეთ პრინციპიალურ მნიშვნელოვან ადგილებს, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის სამოქალაქო ომის ლოზუნგის შეცვლა სამოქალაქო ზავის ლოზუნგით, თქვენ ამას იქ ვერ იპოვით; ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის მთელი ტაქტიკის გასაგებათ. ლენინი ამბობდა, რომ სასაცილოა ის, ვისაც არ ესმის რომ ჩვენს ეპოქაში სამოქალაქო ომის ლოზუნგი იცვლება სამოქალაქო ზავი ლოზუნგით. ზინოვიევის წიგნში კი თქვენ სიტყვასაც ვერ იპოვით ამაზე. ლენინის მიერ გამოთქმული აზრები სავსებით გაქრა ზინოვიევისათვის. მე ვამტკიცებ, რომ თქვენი ფარული აზრი იყო ჩაგეშალათ მე-14 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებები. ამაშია თქვენი კურსი.

მუშათა კლასი უნდა შევაკავშიროთ

უნდა ვსთქვა კიდევ რამოდენიმე სიტყვა. ჩვენ ეხლა კულაკის წინააღმდეგ უნდა აღვჭურვოთ ყოველგვა- [illegible] ზრდას და დიფერენციაციას, ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ უახლოეს პერიოდში ჩვენში მოსალოდნელია კლასიური ბრძოლის გამწვავება. ჩვენ მრავალი დაბრკოლება გველობება წინ, ამ დაბრკოლებათა შორის არის საერთაშორისო ხასიათის დაბრკოლებებიც, რადგან ჩვენ მოვექეცით საერთაშორისო ბაზრის ფარგლებში და უფრო მგრძნობიარე გავხდით, და შინაური დაბრკოლებებიც, რადგან ჩვენში ეხლა იზრდება კლასიური აქტივობა, კლასიური დიფერენციაცია. მაგრამ ჩვენ ეხლა უპირველეს ყოვლისა უნდა შევაკავშიროთ ჩვენი კლასი—მუშათა კლასი. ჩვენ დაკისრებული გვაქვს უდიდესი ამოცანა, რომელიც შეეხება მუშათა კლასის ახალი ფენების აღზრდას.

თუ ჩვენ ეხლა მათ ვეტყვით, რომ ჩვენ ვაშენებთ არა სოციალიზმს, არამედ მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აუცილებელ სიძნელეთა დაძლევა ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო, რომ საერთაშორისო რევოლიუციამ დაიგვიანა, ტეხნიკური ჩამორჩენილობა კი ჩვენ უკან გვეზიდება,—ასეთი ფსიქოლოგიის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა.

პარტიის მთლიანობისათვის.

ბოლშევიზმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს საორგანიზაციო საკითხში—ამბობს დასასრულ ბუხარინი—ყოველთვის შეადგენდა მთლიანობა, ჩვენი პარტიის პროლეტარული დისციპლინა და მისი სრული ლოიალობა ხელმძღვანელ დაწესებულებების მიმართ. რამდენიც გინდათ გვებრძოლეთ რამდენათაც გინდათ გვაკრიტიკეთ, მოიტანეთ იერიშები, მაგრამ ნუ შექმნით ფრაქციებს. ჩვენ პარტიაში შენარჩუნებულ უნდა იქნას რკინის დისციპლინა. (მხურვალე ტაში.)

21 დეკემბრის სხდომა

მოსკოვი, 22 დეკ. 21 დეკემბერს დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ცეკას მოხსენების გამო.

დილის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კამენევმა. მის შემდეგ გამოვიდენ ტომსკი და ანდრეევი.

საღამოს სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს ულიანოვამ, ზახაროვმა (ჩრდილო კავკასია), იაკოვლევმა (მოსკოვი), კასსიორმა (ციმბირი) ბადაევმა (ლენინგრადი), კალინინმა და სოკოლნიკოვმა. სოკოლნიკოვის სიტყვის შემდეგ საღამოს სხდომა დაიხურა.

მისალმება ყრილობისადმი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო პოლიტიკური აკადემიის კოლექტივისა

მოსკოვი, 21 დეკ. მე-14 პარტყრილობის სახელზე ბუბნოვმა შემოიტანა მუშურ გლეხური წითელი არმიის სამხედრო პოლიტიკური აკადემიის კოლექტივის შემდეგი მისალმება ყრილობისადმი:

„მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო პოლიტიკური აკადემიის პარტიული კოლექტივი გთხოვთ თქვენ წითელი არმიის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს გადასცეთ მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობას მუშათა კლასის და მისი პარტიის ნების უმაღლეს და ნამდვილ გამომხატველს ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი. წითელი არმიის პარტიული მუშაკები გამოსთქვამენ რწმენას, რომ მე-14 ყრილობა სავსებით და მთლიანად გადასჭრის პარტიის წინაშე მდგარ ამოცანებს და ბოლოს მოუღებს ყოველგვარ გადახრას ლენინიზმიდან, როგორც მაგალითად ცალკე ამხანაგების ცდას გამოიყენონ ლენინგრადის უძველესი პარტიული ორგანიზაციის—რუსეთის კომპარტიის და პროლეტარული რევოლიუციის ამ დაყრდენის ავტორიტეტი. ჩვენ ლენინგრადში მყოფი წითელი არმიის პარტიული მუშაკები პირობას ვაძლევთ პარტიულ ყრილობას, რომ უდავოდ დაუჭერთ მხარს ყველა მის გადაწყვეტილებებს ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით.

კამათი ცეკას მოხსენების გამო

მოსკოვი, 22 დეკემბერი. მე-14 პარტიულ ყრილობაზე 20 დეკემბრის დილის სხდომაზე ცეკას მოხსენების გარშემო გამოვიდენ რიუტინი, კრუპსკაია, პეტროვსკი, პოლონსკი, პოსტიშევი, მედვედევი, ლაშევიჩი, მიქოიანი, უგლანოვი და იაროსლავსკი.

ამხ. რიუტინი

რიუტინი უმთავრესათ ეხება ამხ. ზინოვიევის თანამოხსენებას და აღნიშნავს, რომ ზინოვიევს არავითარი კონკრეტიული წინადადება არ წამოუყენებიაო. რაც შეეხება კულაკური გადახრის საფრთხეს, არც ერთ ცოტა თუ ბევრათ მომზადებულ პარტიის წევრს არ შეუძლია და არც გაუშვებს ამ საფთხეს მხედველობიდან. ამავე დროს პარტიის თვითეულმა წევრმა ვლადიმერ ილიჩის ხელმძღვანელობით შეისწავლა ამ საფრთხის ნამდვილი სახის გარჩევა, და არა გაზვიადებულის.

ამხ. პოსტაშევი

პოსტაშევი აღნიშნავს, რომ ლენინგრადელი ამხანაგების ჯგუფის გამოსვლა თანამოხსენებით ცეკას პოლიტიკური ანგარიშის შესახებ, განსაკუთრებით იმ მდგომარეობაში და პირობებში, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით—ყოვლად დაუშვებელი და გაუგონარი ამბავია. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ პროლეტარული მასებიდან მოწყვეტით, რადგან მუშათა რიგებში მყოფი კაცი ასეთ შეცდომას არ დაუშვებს.

ამხ. კრუპსკაია

კრუპსკაია აღნიშნავს, რომ კამენევი სავსებით მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ პარტიას უპირავს კურსი მდიდარ სოფლისაკენო. ჩვენი სიღატაკე, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია სოფლად, არის ჩამორჩენილობის შედეგი და ბრძოლის ამ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ უნდა მოვახმაროთ ჩვენი პარტიული ძალები. ეს ხაზი სავსებით სწორია და მოლოტოვის თეზისები, რომლებიც მიღებულ იქნა გაცხოველებული კამათის შემდეგ, სისწორით განსაზღვრავს პარტიული ხაზის მიმართულებას.

ეხება რა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარებას სოფლად, კრუპსკაია ამბობს, რომ ის სრულებით არ ეთანხმება იმ აზრს თითქოს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაფართოება სოფლად საჭირო იყოს იმისთვის, რომ სოფელში ჯერ კიდევ არსებობს სამხედრო კომუნიზმის [illegible] ილიჩი კოოპერაციაში ხედავდა სწორედ იმ გზას, რომელიც ჩვენ საშუალებას მოგვცემს გადავიდეთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში. 1923 წელს, წერილში კოოპერაციის შესახებ, ლენინი მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ ვაფასებთ კოოპერაციას.

— ჩვენი მრეწველობის წარმატებამ—ამბობს კრუპსკაია—ცოტა არ იყოს თავბრუ დაგვასხა ჩვენ. ჩვენ ზედმეტად ვაფასებდით ჩვენს წარმატებებს ეკონომიურ ფრონტზე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ვერ გამოვიჩინეთ სათანადო სიფხიზლე ამ მიმართულებით. სახელმწიფო საგეგმო სამმართველო და სხვა ორგანოები ჩვენში შეცდენ ანგარიშში, მათ გადაჭარბებულად შეაფასეს ბაზრის მოწესრიგების შესაძლებლობა ჩვენის მხრივ, მათ სათანადოთ ვერ შეაფასეს და მხედველობიდან გაუშვეს ზოგიერთი ფაქტები.

შემდეგ კრუპსკაია ყურადღებას აქცევს იმას, რომ ძალიან ნაკლები ითქვა იმაზე, თუ როგორ უნდა იღებდენ მასები მონაწილეობას საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობაში. ამჟამად ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასის დარაზმვას, მუშათა კლასის აქტივობის და მისი შეგნების ზრდას. ჩვენ უნდა მიუთითოთ იმაზე, თუ როგორ მივმართოთ პროლეტარიატის ეს გაძლიერებული აქტივობა იქითკენ, რათა ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა გავხადოთ ბოლომდე სოციალისტურად.

— თვითეულს თავისებურად ესმის ლენინიზმი“—დასძენს დასასრულ კრუპსკაია, და ადგილი არ უნდა ექნეს ლაპარაკს, რომ მხოლოდ ესა და ეს თვალსაზრისი არის ჭეშმარიტი ლენინიზმიო. ეხლა ლაპარაკია იმაზე, თუ მომავალისათვის როგორ ჩამოვაყალიბოთ იმ საკითხების შეთანხმებულად განხილვის ფარგლები, რომლებიც მუდამ ახლად აჩრებიან ჩვენს წინაშე მუშაობის მსვლელობაში, და შევქმნათ ისეთი ფარგლები, რომლებშიაც შესაძლებელი იქნება საკითხის ამხანაგურად განხილვა.

ამხ. პეტროვსკი

ამხ. პეტროვსკი აღნიშნავს, რომ არც თანამომხსენებელს და არც აქ გამოსულ ლენინგრადელ ამხანაგებს არ წარმოუდგენიათ არავითარი პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც შეეძლო განესაზღვრა რომელიმე ღრმა განხეთქილება ჩვენს პარტიაში. პარტიაში შეიძლება მრავალი მრავალ სიძნელენი, მაგრამ ჩვენი მუშაობა მთელი ქვეყნის განვითარების მსვლელობით გვიჩვენებს, რომ ეს სიძნელენი დაძლეული იქნებიან.

პეტროვსკი მიუთითებს, რომ ამხ. კრუპსკაიამ ჩემთან საუბარში სთქვა, თითქოს პარტიაში არის ისეთი გადახრა, რომელიც მიდის კულაკის მიმართულებით და მიმითითა რამდენიმე წერილზე რომელიც მოთავსებული იყო „ბოლშევიკში“. თავის წერილებში ამხ. კრუპსკაია [illegible] პოლიტიკაზე და თხოულობდა პოლიტიკის შეცვლას კულაკის გასანადგურებლათ. ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს მხოლოდ ის გამოდიოდა უღარიბეს გლეხის დამცველათ, ცეკა კი ამის წინააღმდეგი იყო.

დაბოლოს პეტროვსკი აღნიშნავს, რომ ლენინგრადელ ამხანაგების ყოფა-ქცევა შეურაცხმყოფელია პარტიისთვის და გვიჩვენებს, თუ რამდენათ აცდა ის ლენინგრადელ ბოლშევიკების საუკეთესო ტრადიციებს.

ამხ. პოლონსკი

პოლონსკი აღნიშნავს, რომ იმ დაბრკოლებებთან ერთად, რომლებიც ელობება ჩვენს პარტიას, აუცილებელია აღინიშნოს აგრეთვე მიღწევებიც, რათა ნათელი და სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ცეკას მუშაობის შესახებ,

ჩვენი პარტია—ამბობს პოლონსკი—ცეკას ხელმძღვანელობით მიდის წვრილ ბურჟუაზიული ჭაობით გარშემორტყმული გზით, რომელიც გვიჩვენა ლენინმა. როცა ჩვენ დისკუსია გვქონდა ტროცკისთან ჩვენმა პარტიამ გადადგა მარჯვენა ფეხი ამ ჭაობში. ცეკამ შეასწორა პარტიის ხაზი და წაიყვანა მშრომელი მასები სწორი ხაზით, მტკიცე გზით. ეხლა ამხანაგების ჯგუფი ზინოვიევის მეთაურობით სწევს პარტიას მარცხენა ფეხით იმავე წვრილ ბურჟუაზიულ ჭაობში. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ საერთო ძალ-ღონით ვიპოვით სწორ გზას და ცეკას საშუალება მიეცემა ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას ილიჩის ანდერძის მიხედვით.

ამხ. ლაშევიჩი

ლაშევიჩი ჩერდება პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის საკითხზე და აღნიშნავს, რომ პარტიის ნამდვილი კოლექტიური ხელმძღვანელობა არ ყოფილა. ეს ხელს უშლიდა მტკიცე სწორ ხაზს, სწორ პოლიტიკას და, განსაკუთრებით, მის ცხოვრებაში გატარებას.

ამხ. მიქოიანი

მიქოიანი თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ზინოვიევმა, სთქვა, სამწუხაროდ. დისკუსია გვიან დაიწყოვო. „მე კი ვფიქრობ—აცხადებს ის,—რომ ტყვილად დაიწყო ეს დისკუსია. რად ესაჭიროებოდა ზინოვიევს თანამოხსენებით გამოსვლა. თანამოხსენება ნიშნავს თავისი ხაზის დაპირისპირებას ცეკას ხაზისადმი“.

— ბუხარინს—განაგრძობს მიქოიანი—მოუვიდა შეცდომა, როცა მან სთქვა: „გამდიდრდითო“. ჩვენ მას უკიჟინეთ ამისათვის. მე ოქტომბერში გამოვედი მოხსენებით, რომელშიაც ვამბობდი, რომ ბუხარინის ეს ლოზუნგი არ არის ჩვენი ლოზუნგი. ჩვენ მას უკიჟინეთ ამ შეცდომისათვის, მაგრამ რა საჭიროა [illegible] თავისი შეცდომა, თქვენ კი გინდათ შესჭამოთ ბუხარინი და კი არ გამოასწოროთ. ჩვენ არ დაუშვებთ, რომ თქვენ შესჭამოთ ბუხარინი.

იზრდება თუ არა კულაკი, ძლიერია თუ არა ის. უნდა ითქვას, რომ ისეთ მხარეში, სადაც მე ვმუშაობ, კულაკი ძლიერია. ჩვენ დიდ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ კულაკი ჩავიგდოთ ჩვენს ხელში, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, კულაკი კი არ ჩავიგდოთ ხელში, არამედ საშუალო გლეხი გამოვაცალოთ ხელიდან კულაკს. კულაკის ძალა იმაშია, რომ მას თავის გზით მიჰყავს საშუალო გლეხი. სტალინმა გადაჭრით და პირდაპირ სთქვა, რომ კულაკის საკმაოდ შეუფასებლობა ნიშნავს პარტიის განიარაღებასო. ეს სწორია, მაგრამ სწორია თუ არა მეორე მტკიცება, რომ საჭიროა ამ საფრთხის გადატარბებული შეფასებაო. მე ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებისათვის უმჯობესია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია კლასობრივ ძალთა განწყობილების სწორად შეფასება.

მე გაურკვევლობად მიმაჩნია ჩვენი ორგანიზაციასათვის ზინოვიევის გამოსვლა, ზინოვიევს არ აქვს პასუხი ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის აღმშენებლობის საკითხზე. ამიტომ ჩემის აზრით ჩვენი ყრილობა მოვალეა არა მარტო პრინციპიალურად მოგვცეს სწორი მითითება იმაზე, თუ რა პირობებში, როგორი პოლიტიკით შეიძლება წინსვლა და ქვეყნის წაყვანა სოციალიზმისაკენ, არამედ აგრეთვე დასახოს გზები ამ მოძრაობისა სოფლად, როგორც საფუძველი ჩვენი პრაქტიკული მუშაობისათვის ადგილებზე. თუ დავუშვებთ დისკუსიის ზრდას რამოდენიმე დღით წინ ყრილობამდე, ეს შეიძლება მოვითმინოთ, მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ, ეს არ შეეფერება ჩვენს ძალებს და ზიანს მოუტანს პროლეტარიატის დიქტატურის, თუ მე-14 ყრილობით არ დასრულდა სადისკუსიო პერიოდი, თუ ერთსულოვანი მუშაობა არ იქნა განხორციელებული ჩვენი ძალებით. ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ ეს ყრილობა იქცეს ახალი დისკუსიის წყაროთ, დასაწყისად ჩვენს პარტიაში. უნდა ითქვას, რომ ამ ფუფუნებას ჩვენ ვერ დაუშვებთ.

ამხ. უგლანოვი

ამხ. უგლანოვი არჩევს ზინოვიევის თანამოხსენებას და ამბობს, რომ ამ თანამოხსენებაში არავითარი პროგრამა არ არისო. იმ კითხვებს, რომელიც ზინოვიევმა წამოაყენა, პარტია ადვილათ გადასჭრის. თანამოხსენებაში არ არის ეკონომიკის საკითხები, არ არის მუშათა პოლიტიკის საკითხები, არ არის ჩვენი პარტიული ცხოვრების ძირითადი კითხვები. ზინოვიევი შეჩერდა ზოგიერთ საკითხებზე და ისიც გაკვრით, არა სრულათ. აი რისთვის ვარ მე ღრმათ დარწმუნებული, რომ პარტია ადვილათ სძლევს ამ საკითხებს.

ზინოვიევი თავის თანამოხსენებაში [illegible]ნინური იდეური მიმართულების დამცველის როლში. მაგრამ, თუ გავარჩევთ თვითონ ზინოვიევის იდეურ მიმართულების ძირითად ხაზებს ჩვენ დავინახავთ, თუ ვინ არის ჩვენი პარტიის ბოლშევიზმის იდეურ მიმართულების ნამდვილი დამცველი, ზინოვიევი შეცდა და ეს შეცდომა უნდა გასწორდეს. რამდენათ მალე შეიგნებენ თავის შეცდომას ამხანაგები, მით უკეთესი იქნება პარტიისთვის. აი ყრილობის უმთავრესი მოთხოვნილებანი, რომელიც ჩვენ უნდა წავუყენოთ.

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

იაროსლავსკი ამბობს: „როგორ მოხდა პირველად ჩვენი პარტიის ისტორიაში, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რომელმაც სამი დღის წინად ყრილობამდე მონაწილეობა მიიღო ცეკას პლენუმში, ხმა მისცა ყველა ძირითად დებულებებს, რომელიც ამჟამად წამოყენებულია ყრილობაზე, ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ამ პლენუმზე უთანხმოების შესახებ, როგორ მოხდა, რომ სამი დღის შემდეგ ის აქ ლენინგრადელ ამხანაგების წინადადებით გამოდის განსაკუთრებული თანამოხსენებით. როგორ მოხდა, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია მთელს პარტიას უპირდაპირებს თავის თავს. როგორ მოხდა—განაგრძობს იაროსლავსკი, რომ ლენინგრადის დელეგაციას, რომელიც ჩამოვიდა აქ, აქვს მთლიანი ერთგვარი თვალსაზრისი. რამ გამოიწვია ლენინგრადის კონფერენციის ერთხმოვანება. ზალუცკი, როცა ის იყო საგუბერნიო კომიტეტის მდივანი, ჩამოსულ ამხანაგებს ეუბნებოდა, რომ ჩვენი ცეკა თავისი უმრავლესობით არის ტერგიდორიანული ცეკა. ზალუცკი მოხსნილ იქნა ანტი-ბოლშევიკურ ყოფაქცევისათვის და აგრეთვე იმისთვის, რომ ის თეორეტიულად ბრალს სდებდა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს ტერმიდორიანობაში.

იაროსლავსკი აქვეყნებს მთელ რიგ საბუთებს, რომლებიც ახასიათებს ლენინგრადის ორგანიზაციის მუშაკების მოქმედებას.

გადადის რა კულაკის საკითხზე იაროსლავსკი აცხადებს, რომ ცეკას წევრების უმრავლესობა სტალინთან ერთად სავსებით განსაზღვრულ აზრს ადგა და არ იწონებდა ბუხარინის ლოზუნგს „გამდიდრდით“.

გადადის რა ცეკას მუშაობის საკითხზე, იაროსლავსკი ამბობს: „უნდა ითქვას, რომ მართლაც ხელმძღვანელობის სისუსტეს ადგილი აქვს ცენტრალურ კომიტეტშიაც. ის გამოიხატება ლენინგრადის ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელობის [illegible] სისუსტეში. მართალი სთქვა უგლანოვმა, რომ საჭიროა ბოლო მოუღოთ პარტიის გავლენის ცალკე სფეროებათ დაყოფას. განა ჩვენ არ ვიცით, რომ აქამდე ლენინგრადში კრინტსაც ვერავინ სძრავს ზინოვიევის წინააღმდეგ. ყრილობის ყველა დელეგაციები დაინტერესებული არიან იმაში, რომ ლენინგრადელები არ დარჩენ აქ განმარტოებით. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო დაინტერესებული ვართ იმაში, რომ მათ მიიღონ ჩვენთან ერთნაირი გადაწყვეტილება.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ორჯონიკიძე.

— ზინოვიევის გამოსვლა,—ამბობს ორჯონიკიძე,—არ შეიძლება განვიხილოთ არც უბრალო მოხსენებად, არც სადაო საკითხების უბრალო განმარტებად. მისი გამოსვლის წინ მე ვეუბნებოდი ზინოვიევს: „რა საჭიროა თანამოხსენება, რა საჭიროა ორგანიზაციულად ჩამოყალიბება; უმჯობესი არ არის ჩაეწერო პირველ ორატორად და ილაპარაკო თუნდაც 10 საათი, არავინ ხელს არ შეგიშლის“. ზინოვიევი თავის თანამოხსენებაში ყოველთვის ადასტურებდა, რომ ცენტრალურ კომიტეტის ხაზი სწორია. რაღა საჭირო იყო მაშინ თანამოხსენება. ამის შემდეგ თანამოხსენებით გამოსვლა და ლაპარაკი, რომ ეს უბრალო აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, რომ ეს მხოლოდ საკითხების უბრალო განმარტებაა,—ეს ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ სიბრძნეთ.

მეორე, ეს არის ის, რომ ზინოვიევმა კრუპსკაიასთან ერთად გაილაშქრა ბუხარინის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ვიქნებოდით ბოლშევიკები, თუ იმას გამო, რომ ბუხარინს წარსულში ჰქონდა უთანხმოება ილიჩთან, კრიჭაში ჩაუდგებოდით მას. ამას კი ეხლა ჩადიან ყოვლად უმიზეზოთ.

ჩვენ უნდა პირდაპირ დაუსვათ ზინოვიევს კითხვა: რისთვის აყენებს ის პარტიას უმძიმეს კრიზისში. ჩვენს წინაშე იშლება შემდეგი სურათი: ზინოვიევი და სხვა ლენინგრადელი ამხანაგები გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ პრინციპიალური უთანხმოება ცეკასთან არ გვაქვს, რომ ცეკას პოლიტიკურ ხაზს ისინი იღებენ და იწონებენ და ჩვენთან ერთად მისცემენ ხმას ცეკას პოლიტიკური ხაზის მოწონებას. თუ ყველაფერი ეს ასეა, თქვენ საშინლათ დაიბენით და თავი უნდა დაღწიოთ ამ მდგომარეობას. ევდოკიმოვმა განაცხადა, რომ პარტიის [illegible]ბისთვის კანონი იქნება. როგორიც არ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, ისინი დაემორჩილებიან და გაატარებენ. მეც ვფიქრობ, რომ ლენინგრადელები დარჩებიან ლენინგრადელებათ, არ იქნება არავითარი ლენინგრადელების ოპოზიცია, არ იქნება ჩვენს პარტიაში არც უმრავლესობა, არც უმცირესობა, და ლენინგრადელები განაცხადებენ: „პარტიის გადაწყვეტილება ჩვენი გადაწყვეტილებაა, და ჩვენ გავატარებთ მას ცხოვრებაში“.

უკანასკნელი ცნობები

განსაკუთრებულ წესების პროექტი.

ბერლინი, 21 დეკ. ეკონომიური კრიზისის გამწვავებასა და მთავრობის დაუმთავრებელ კრიზისის გამო რეაქციონური და ბურჟუაზიული წრეები დაჟინებით აყენებენ საკითხს განსაკუთრებული პოლიტიკური ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ.

ბერლინის გაზეთი „ფოლკცეიტუნგი„ იუწყება, რომ, მიუხედავად ხმების უარყოფისა, მთავრობის წრეებში გრძელდება განსაკუთრებული წესების პროექტის გამომუშავება. თავდაცვის სამინისტროში შედგენილია იმ პირთა სია, რომელთაც უნდა მიენდოს სამხედრო წინამძღოლობა სამხედრო წესების გამოცხადების შემთხვევაში.

დოსტაქართა ყრილობა.

ბაქო, 22 დეკ. დაიხურა ამიერ-კავკასიის დოსტაქართა პირველი ყრილობა. ყრილობამ მოისმინა ორი მოხსენება ქირურგიის სხვადასხვა საკითხებზე. ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. ცხაკაიას, ორახელაშვილს და მუსაბეკოვს. ყრილობაში მონაწილეობდა 570 კაცი, მათ შორის 420 ნამდვილი წევრი.

ამიერ-კავკასიის დოსტაქართა მე-2 ყრილობის მოწვევა განზრახულია თბილისში 1926 წ.

მუშების აქტივობის ზრდა

ბერლინი, 21 დეკემბ. გერმანიის მრავალ რაიონებიდან მოდის ცნობები მასსიურ დემონსტრაციების შესახებ, რაიც მოწმობს მუშების აქტივობის ზრდას. კომპარტიის ლოზუნგები განსაკუთრებით კი სახელხო კენჭის ყრის მოთხოვნა ყოფილ მსხვილ მესაკუთრეებისათვის ანაზღაურების საკითხში გამოძახილს პოულობს არა მარტო სოციალ-დემოკრატ მუშებში, არამედ ცენტრის პარტიის მომხრე მუშებშიაც.

ლინდაუს განთავისუფლება.

ბერლინი, 21 დეკემბ. ლინდაუ, რომელსაც ბრალდებოდა კომპარტიის ცეკას წევრობა და ამის გამო დატუსაღებული იყო 1923 წლიდან, განთავისუფლებულ იქნა.

ბოლდუინი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 21 დეკემბ. ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე პრემიერ ბოლდუინს მისცეს შეკითხვა, მიაქცია თუ არა მან ყურადღება ინგლისის ფინინსთა მინისტრის ჩერჩილის განცხადებას, რომელშიც ის შეეხო რუსეთის მთავრობის სათავეში მდგომ პირებს, და წარმოადგენს თუ არა ჩერჩილის განცხადება მთავრობის აზრს. ჩერჩილი თავის სიტყვაში სასტიკად ილაშქრებდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და აღნიშნავდა, რომ „მოსკოვი ცდილობს დაანგრიოს ყველა სახელმწიფოები და, განსაკუთრებით, ინგლისიო“.

ბოლდუინმა უპასუხა: „მთავრობა მხარს უჭერს იმ პრინციპებს, რომლებიც გამოთქვა ჩერჩილმა, რომელსაც სახეში ჰქონდა მე-3-ე ინტერნაციონალის მუშაობა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა მთავრობა შესაძლებლად დაინახავს გამიჯვნას ამ ორგანიზაციისაგან, რათა შესაძლებელი გახდეს ორივე ქვეყნის ურთიერთობის თანდათან გაუმჯობესება“. შემდეგ ბოლდუინმა აღნიშნა, რომ მაშინ შესაძლებელი იქნება კომისიის არჩევა ინგლისის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გამოსაკვლევად და ამ კომისიის მუშაობის სქემაში იმათი ინტერესების განხილვის შეტანა, ვისაც სურს უფრო ფართო სავაჭრო ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან; აგრეთვე შესაძლებელი იქნება ამ კომისიის მუშაობის სქემაში რუსეთის სესხების იმ მსხვილ და წვრილ მეპატრონეების და მრეწველების ინტერესების შეტანა, რომელთაც ჰქონდათ ან აქვთ ეხლაც ინტერესები რუსეთში.

ბალდუინმა ამავე დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ მთავრობის აზრით, ასეთი კომისია ამჟამად ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვცემდა, რადგან საბჭოთა მთავრობის მხრივ ჩვენ არ გვაქვს არავითარი მითითება იმის შესახებ, თუ რა პირობებში სურს მას დააკმაყოფილოს ინგლისის პრეტენზიებიო.

აღმოსავლეთში

ფრანგების მდგომარეობა სირიაში.

გაზეთ „ტან“-ის სპეციალური კორესპონდენტის ცნობით, სირიაში საფრანგეთის ახალი უმაღლესი კომისარის დე-ჟუვენელის ჩასვლის შემდეგ ფრანგების სამხედრო მდგომარეობა გაუმჯობესდა.

დღემდი ფრანგები ცდილობდენ მხოლოდ შეეკავებიათ თავიანთ საზღვარზე აჯანყებული დრუზები და ხელი შეეშალათ მათი ცალკე რაზმების შეერთებისათვის. ფრანგებს დამხმარე ძალები მოუვიდათ და ისინი ცდილობენ აჯანყებული დრუზების რაზმების ცალ-ცალკე დამარცხებას. მაგრამ აჯანყებულთა მეთაურმა ელატრაშმა მოახერხა აჯანყებულთა ყველა ძალების ხელმძღვანელობის შენარჩუნება. ბედუინები კი, რომლებიც დრუზებს მიემხრენ, კავშირს იცავენ აჯანყების ცალკე რაიონებს შორის.

განსაკუთრებით სერიოზულია მდგომარეობა დამასკში. ქალაქი ალყაშემორტყმულია დრუზებისა და ბედუინების მიერ. აქ ომს აქვს პარტიზანული თავდასხმის ხასიათი. დრუზების პარტიზანული რაზმები თითქმის ყოველდღე იჭრებიან ქალაქში, მიყავთ ტყვეთ გუშაგები, არევ-დარევას იწვევენ სხვადასხვა უბნებში და დიდ ზიანს აყენებენ ფრანგებს, რომლებიც მცირერიცხოვანი ძალებით იძულებული არიან დაიცვან წესრიგი ქალაქში, სადაც 300.000 მცხოვრებია.

ჟიუვენელი ეგვიპტეში.

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში დე-ჟუვენელი სირიაში გამგზავრების წინ დამასკში ჩავიდა და ინახულა სირიის მრავალი გამოჩენილი მოღვაწეები.

ეგვიპტეში ცხოვრობს მრავალი სირიელი ვაჭარი, რომლებიც მხარს უჭერენ საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას და დახმარებას უწევენ აჯანყებულებს. ისინი მოითხოვენ სირიაში ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სირიის ნაციონალური ბურჟუაზიის განვითარებას და მისი კეთილდღეობის ზრდას.

ჟიუვენელმა მოლაპარაკება გამართა ეგვიპტეში არსებულ ყველა სირიელთა ჯგუფებთან, მათ შორის სირია-პალესტინის კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთანაც.

პირველ ხანებში მოლაპარაკებამ ისეთი ხასიათი მიიღო, თითქო დამაკმაყოფილებლად უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მოლაპარაკების მეორე დღეს ჟიუვენელმა მიიღო წერილი, რომელიც აუქმებდა მიღწეულ შეთანხმებას.

ამ წერილში ჩამოთვლილი იყო მოთხოვნილებები, რომელთა შესრულების შემდეგ სირია-პალესტინის კომიტეტი კისრულობდა შუამავლობას აჯანყებულ დრუზებსა და ფრანგებს შორის. მთავარ პირობას წარმოადგენდა—საფრანგეთის მანდატის გაუქმება სირიაზე და ფრანგების ჯარების გაყვანა.

ჟიუვენელმა უპასუხა წერილით, რომ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმისათვის, თუ რა მოხდება მომავალში.

სპარსეთის დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა.

ახალ შახს, მის მიერ დამფუძნებელ კრებაში ფიცის დადების წინ მიესალმა კომისია, [illegible] კრების 36 წევრისაგან შემდგარი. ღებრის დეპუტატმა ერძაბ-ქეიხოსროუმ, რომელიც დიდ როლს თამაშობდა დამფუძნებელ კრებაში, გადასცა რიზა-ხანს ტექსტი დამფუძნებელ კრების მიერ შეცვლილი მე-36 მუხლისა, რომლის ძალით შახის ძალაუფლება გადაეცა რიზა ხან პეხლევის (წინანდელი რედაქციით შახის ტახტი ეკუთვნოდა კაჯარების გვარეულობას).

რიზა-ხანმა მოკლე სამადლობელი სიტყვით უპასუხა დელეგაციას.

დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომებზე ირჩეოდა კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც შეეხებოდენ ტახტის მემკვიდრეობას და მემკვიდრის მცირეწლოვანობის დროს რეგენტის არჩევის წესს.

1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავზე *)

(1905—1925 წ.წ)

სახელმწიფო სათათბირო და საბჭოები

რევოლიუციის წინანდელ მეფურ-თავად-აზნაურულ რუსეთისათვის „სახელმწიფო სათათბიროც“ ახალ მოვლენას წარმოადგენდა... კიდევ უფრო ახალი და რევოლიუციონური იყო ლოზუნგი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების შესახებ, რომლის მოწვევას და ომის შეწყვეტას ჩვენ მოვითხოვდით ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომის დასაწყისშივე (1904 წელს)... აქედან ცხადია, თუ 1905 წლის რევოლიუცია რამდენად გაძლიერებული ტემპით მზადდებოდა საუკუნის (მე-20-ე) დასაწყისიდანვე, და განსაკუთრებით 1904 წლის დასაწყისიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც ყველაზე უფრო არაპოპულიარული იყო თვით ლიბერალურ-ბურჟუაზიულ—თავად-აზნაურულ წრეებშიაც, დაწყებული იყო ნიკოლოზის—უკანასკნელი მეფის მიერ თავის უმაღლეს ბიუროკრატიასთან და ერთ მუჭა პლუტოკრატ-კაპიტალისტებთან შეთანხმებით, რომლებიც ამუშავებდენ დიდძალ (საკონცესიო) ტყეებს შორეული აღმოსავლეთის სადაო ტერიტორიებზე (მდინარე იალუს ნაპირები), რათა თავიდან აეცდინა მოახლოვებული რევოლიუცია, ჩაეხშო ის ხალხის სისხლის ზღვაში ომის შემწეობით...

ეს არ მოხერხდა...

პირიქით'—ომმა რამდენიმედ დააჩქარა მთელი სამეფო იმპერიის, განსაკუთრებით მისი ცენტრის და ჩრდილოეთის მოსახლეობის უფრო ფართო მასების გამოფხიზლება...

ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია ჯარებში, განსაკუთრებით ახალ გაწვეულებს შორის, რომელთაც გზავნიდენ შორეულ აღმოსავლეთში 1904 და 1905 წლებში, იყო საკმაოდ ძლიერი, ფართო და რევოლიუციონურად ნაყოფიერი...

აქ მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით ამიერ-კავკასია. ჩვენ არ უშლიდით ცალცალკე უფრო შეგნებულ მუშებს და გლეხებს ომში წასვლას, ჩვენ მათ ვაძლევდით ნაკაზს და ინსტრუქციას, თუ როგორ ემუშავათ მათ თავის ამხანაგებს შორის: მათ უნდა მოეწყოთ უჯრედები თავ-თავის ნაწილებში და დაეკავშირებათ ისინი არმიის სხვა ნაწილების ასეთსავე უჯრედებთან... მაგრამ, რასაკვირველია, იმათ, რომელთაც არ შეეძლოთ ომში წასვლა და არმიაში მუშაობა, და დეზერტირობის გამო ეწეოდენ არალეგალურ ცხოვრებას, ჩვენ ვეხმარებოდით მით, რომ ვაწვდიდით პასპორტებს და ინსტრუქციებს, ვგზავნიდით ვეებერთელა იმპერიის უცნობ რაიონებში...

თვით ახალგაწვეულები, როგორც, მაგალითად, ბევრჯერ 1904 წელს და 1905 წელსაც (ზავის ჩამოგდებამდე), ბათომიდან გამგზავრების დროს მართავდენ დემონსტრაციას წითელი დროშებით ქალაქების (ბათომის, ქუთაისის, გორის, თბილისის და სხვ.) ქუჩებში და სოფლებშიაც, საიდანაც ისინი გამოწვეული იყვნენ... ძალიან დიდი იყო ჩვენი არალეგალური მუშაობის „უჩინ-მაჩინის ქუდის“ გავლენა მუშურ-გლეხურ მასებზე ყოველგან ამიერ-კავკასიაში განსაკუთრებით საქართველოში, უმთავრესად მის დასავლეთ ნაწილში. 1905 წელს გავლენა, მაგალითად ბათომ გურიის კომიტეტის და, განსაკუთრებით, იმერეთ სამეგრელოს კომიტეტისა (ქუთაისში), იმდენად დიდი იყო, რომ ჭიათურაში და თითქმის ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებში მუშათა და გლეხთა მასები ურთიერთ შორის ამტყდარ ჩვეულებრივ საქმეებზე უკვე კი არ მიმართავდენ მეფის ადმინისტრაციას და მოსამართლეებს, არამედ ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდენ ჩვენი კომიტეტების წევრებთან.

* * *

ზემოდ აღნიშნული სურათი გვიჩვენებს, ჩვენ, რომ 1905 წლის რევოლიუცია ოქტომბერ-ნოემბერში, რომელიც დამარცხდა მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყების დროს, თავისთავად იყო გრანდიოზული. ის უთუოდ იყო დიდი რევოლიუცია.

მხოლოდ მას კიდევ არ ჰყავდა ისეთი ბრძოლაში გამობრძმედილი და იდეურად შეიარაღებული პარტია, როგორიც გახდა ჩვენი პარტია ილიჩის მეთაურობით 1917 წლის თებერვალ-მარტის და ოქტომბერ-ნოემბრის რევოლიუციებში.

ათასჯერ მართალია ჩვენი გენიოსი ილიჩი, რომელიც მას (1905 წლის რევოლიუციას) უწოდებდა გენერალურ რეპეტიციას... და მართლაც, რატომ არ განხორციელდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც მაშინ წარმოადგენდა ყველაზე უფრო რევოლიუციონურ ლოზუნგს? ის ხომ ჯერ კიდევ ინგლისის და საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლიუციებიდან (17 და 18 საუკუნოებში) შემოსილი იყო რევოლიუციონურობის შარავანდედით და წარმოადგენდა საშიშ საფრთხობელას არა მარტო ტირანებისათვის, არამედ შეძლებულთა კლასებისათვისაც...

აი რატომ, 1905 წ. დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მის მოწვევაზე... ის შესცვალა, მართალია, არა ბულიგინის, არამედ ვიტტეს პირველად უფრო რადიკალურ-კონსტიტუციონურმა სახელმწიფო სათათბირომ... ჩვენი პარტია ილიჩის მეთაურობით მასაც ბოიკოტს უცხადებდა 1906 წელს. რატომ? იმიტომ, რომ მოსკოვში დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩვენ კიდევ არ ვსთვლიდით რევოლიუციას საბოლოოდ წაგებულად... და მოუწოდებდით მასებს ბრძოლის გაგრძელებისაკენ... ფაქტებმა იმ მომენტში, სახელდობრ მუშურ-გლეხური ქვეყნის მთელმა რევოლიუციონურმა ატმოსფერომ, გაგვამართლა ჩვენ-ბოლშევიკები.

მაგრამ არა მარტო ლიბერალურ-ბურჟუაზიულ წრეების, არამედ მაშინ ჯერ კიდევ ჩვენი პარტიული „ამხანაგების“—მენშევიკების განდგომა რევოლიუციიდან წინასწარ სწყვეტდა არა თუ შეიარაღებული ბრძოლის დასასრულის საკითხს, არამედ აჩქარებდა სტოლიპინის შავი რეაქციის შემოტევას 1906—1907 და შემდეგ წლებში...

პირველი სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადებით ჩვენ გვსუროდა არ შეგვემსუბუქებია რევოლიუციონური ატმოსფერა არამედ კიდევ უფრო დავვემძიმებია იგი და დაგვეარსებია უფრო რევოლიუციონური დაწესებულება, ვიდრე სახელმწიფო სათათბირო... სახელდობრ: აგვემღვებია მასები, რომლებშიაც ჯერ კიდევ არ იყო ჩაქრობილი რევოლიუციონური სული, ებრძოლათ სრულიად რუსეთის რევოლიუციონურ დამფუძნებელ კრებისათვის წესწყობილების სისტემას რადიკალურად შესაცვლელად და რაც შეიძლება მეტი მუშურ-გლეხური დემოკრატიზმი პირველი რევოლიუციისაგან...

მეორე სათათბიროს ჩვენ აღარ გამოუცხადეთ ბოიკოტი იმ მიზნით, რათა გამოგვეყენებია იგი ტრიბუნათ და კვლავ აგვენთო რევოლიუციონური ცეცხლი მასებში, რომლებიც დეკემბრის შემდეგ თითქო სულიერად უძლურდებოდენ, და ამით შეგვეჩერებია მენშევიკების და ესერების ნაწილის ღალატი რევოლიუციისადმი...

—მაგრამ სტოლიპინმა გარეკა არა მარტო პირველი სათათბირო, არამედ მეორეც და საბოლოოდ შესცვალა საარჩევნო სისტემა, რათა ახალ სათათბიროში (მე-3-ში) ან სრულიად არ ყოფილიყვენ მუშათა გლეხთა წარმომადგენლები ან ყოფილიყვენ ძალიან მცირე რაოდენობით: უკანასკნელების კავშირს მაშინ არ ჰყოლია ერთიანი მტკიცე პარტია, როგორიც იყო რ. კ. პ. (ბოლშევიკები) 1917 წელს.

* * *

მე უნდა ვსთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა 1905 წ. საბჭოებზე.

მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ პეტერბურგის-პეტროგრადის (ლენინგრადის) საბჭო, ვინაიდან სხვა ქალაქებში საბჭოები ცოტა ხანს არსებობდენ და მათ არ შეუსრულებიათ ისეთი ისტორიული როლი, როგორც ლენინგრადის (პეტროგრადის) მუშათა დეპუტატების საბჭოს.

და ეს აიხსნება არა იმით, რომ რევოლიუციონური ტალღები იქ უფრო სუსტი იყო.. არა... მაგალითად ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, რევოლიუციონური ტალღები 1904 წლიდან იყო განსაკუთრებით ძალიან ძლიერი ბაქოს, თბილისის, ბათომის მუშათა მასებს და მთელი საქართველოს გლეხთა მასებს შორის, განსაკუთრებით, საქართველოს დასავლეთ ნაწილში—გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და სხვაგან. ბაქოში, მაგალითად, დაარსდა საბჭო, მას შემდეგ, როდესაც მე მოხსენება გავაკეთე ლენინგრადის საბჭოს შესახებ მაგრამ გვიან იყო...

უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ეს საბჭოები არ დაარსებულან, ან უფრო სუსტნი იყვნენ სხვა ქალაქებში, გარდა ლენინგრადისა, ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ეს ქალაქები არ წარმოადგენდენ ისეთ სამრეწველო ცენტრს, როგორც პეტროგრადი (ლენინგრადი)... არამედ იმიტომაც, როგორც მაგალითად, ჩვენში ამიერ-კავკასიაში,—ბაქოში, თბილისში ან ბათომში და ქუთაისში, ორგანიზაციები ძალიან ძლიერი იყო და აერთიანებდენ მუშათა და გლეხთა უდიდეს მასებს... აქ თვითონ ეს ორგანიზაციები დიდი (მასიური) რევოლიუციის ატმოსფერაში—ასრულებდენ საბჭოების მაგიერობას... ჩვენთვის ძალიან ადვილი იყო საბჭოების დაარსება, რომ ხელი არ შეეშალა მუშათა და გლეხთა მასებისათვის წყეულ მენშევიზმს, რომელიც სიტყვით იყო რევოლიუციონური, ხოლო ტაქტიკით — კონტრ-რევოლიუციონური.

ორიოდე სიტყვა პეტროგრადის (ლენინგრადის) მუშათა დეპუტატების ნამდვილ საბჭოს შესახებ. მე ჩავედი ლენინგრადში სწორედ იმ დღეს (9 ოქტომბერს ძველი სტილით), როდესაც გამოცხადებული იყო რკინისგზელების გაფიცვა მთელი იმპერიის მანძილზე ფინეთიდან დაწყებული კოლხიდამდე და შემდეგ ტაშკენტამდე და ვლადივოსტოკამდე...

მე მიღებული ვიყავი ლენინგრადის საბჭოში კავკასიიდან, თუმცა მე იქ ჩავედი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების დავალებით სულ სხვა საქმეზე: უნდა გამეკეთებია მოხსენება ჩვენი ქვეყნის უკიდურეს რევოლიუციონურ მდგომარეობის, რაც შეიძლება მეტი იარაღის მიწოდების, საზღვარ-გარეთიდან იარაღის შემოტანის და სხვ. შესახებ.

მე იქ დავრჩი 7 ნოემბრამდე (ძველი სტილით) და მონაწილეობას ვიღებდი საბჭოს ბრძოლებში თავის დიქტატურისა, რევოლიუციონური გზით 8 საათის სამუშაო დღის გატარებისა, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის და სხვ.

ამიერ-კავკასიაში (ჯერ ბაქოში) დაბრუნებისას გამოცხადდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა მთელ რუსეთში. მე ჩავები ამ ბრძოლაში და ჩვენ ამხ. პეტრე მონტინთან და სხვებთან ერთად, მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკური ბაცილები ძალიან გვიშლიდენ ხელს, მოვახერხეთ ბევრი მიტინგების, კონფერენციების გამართვა და დაგვიანებით დავაარსეთ მუშათა დეპუტატების საბჭო. მაგრამ მე გამომიწვიეს თბილისში. ამ დროს იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ მოსკოვში და ამის პასუხად ყველა კუთხეში, ამიერ-კავკასიაში-თბილისში გამოცხადებული იყო საყოველთაო გაფიცვა, დაარსდა საგაფიცვო კომიტეტი, რომლის ხელში რამდენიმე დღე იყო ძალაუფლება ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე. მაგრამ მოსკოვის დამარცხების შემდეგ, ჩვენ „დავშალეთ საგაფიცვო კომიტეტი“, რომ არ გამოსულიყო სეპარატიზმი ბრძოლაში და რევოლიუციაში.

იძულებული ვარ აქ დაუსვა წერტილი, მაპატიეთ, ეხლა მეტის დაწერა არ შემიძლია.

მიხა ცხაკაია

1925 წ. 19 დეკემბერი.
თბილისი

ორშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათისათვის წითელ თეატრში (ზუბალაშვილის სახელობის ყოფ. სახალხო სახლში)

მოწვეულია

თბილ. საბჭოს კომფრაქციის სხდომა

დღის წესრიგი:

მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ

სხდომაზე დასწრება სავალდებულოა საქართველ. კომპარტიის იმ წევრებისა და კანდიდატებისთვის, რომელნიც თბ. საბჭოს წევრები ან კანდიდატები არიან.

მასალის მიღება მოხსენების გამო შეიძლება წინასწარ პრეზიდიუმის მდივანთან ამხ. ცქიტიშვილთან (აღმასკომი ოთახი № 5).

ნ. 474 2—1. ფრაქციის ბიურო

---

*) დასასრული. იხ. №№ 292,293.

საერთაშორისო პოლიტიკის გზები და საბჭოთა კავშირი

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

საფრანგეთს და ჩვენს შორის არავითარი სერიოზული უთანხმოება არ არსებობს

ორივე მხარეს საჭიროდ მიაჩნია მეგობრული ურთიერთობის დამყარება

„საბჭოთა კავშირს შეუძლებლად მიაჩნია ერთა ლიგაში შესვლა“

საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობა მტკიცეა

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

ბერლინი, 22 დეკ. ბერლინის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ის სავსებით კმაყოფილია მოლაპარაკებით, რომელსაც ის პარიზში აწარმოებდა.

სამი კომისია

პარიზში რაკოვსკის დაბრუნების შემდეგ შედგენილი იქნება 3 კომისია: იურიდიული, იმის გამოსარკვევად, თუ რომელი ძველი ხელშეკრულება, დადებული რუსეთსა და საფრანგეთს შორის, დარჩება ძალაში, და რომელი ხელშეკრულებები დაედება საფუძვლად ახალ შეთანხმებებს. ეკონომიური კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს ძველი ვალების შესახებ, ამასთანავე, რა თქმა უნდა, განხილული იქნება საბჭოთა მთავრობის კონტრპრეტენზიები იმ ზარალთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა კავშირს მიაყენა საფრანგეთის ინტერვენციამ. იმავე კომისიას დაევალება შეიმუშაოს პირობები საბჭოთა კავშირის მიერ საფრანგეთში სესხის აღებისათვის. ბოლოს შედგენილი იქნება პოლიტიკური კომისია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხის განსახილველად.

პარიზში მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ **საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არავითარი სერიოზული უთანხმოება არ არსებობს. ორივე მხარეს საჭიროდ მიაჩნია მეგობრული ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება.**

დამოკიდებულება ინგლისთან.

შეეხო რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულებას, ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობის მოწესრიგებას ხელს უშლის ინგლისის მტრული პოზიცია. ინგლისის მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან მოისმინონ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებანი. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია წარადგინოს ახალი წინადადებანი, სანამ ინგლისის მთავრობა არ გააცნობებს მაკდონალდის მიერ საბჭოთა კავშ. დადებულ ხელშეკრულების რომელი მუხლი მიაჩნია მას მიუღებლად.

ერთა ლიგა

ერთა ლიგისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ ჩიჩერინმა განაცხადა, რომ **საბჭოთა მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია ერთა ლიგაში შესვლა.** წინადადებას ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის შესახებ, საბჭოთა კავშირი დაუპირდაპირებს წინადადებას ინგლისთან და სხვა სახელმწიფოებთან განსაზღვრულ ხელშეკრულებათა დადების შესახებ. საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა მშვიდობიანობის განხორციელების მიზნით მოხდეს საყოველთაო განიარაღება ან შეიარაღებულ ძალების შემცირება.

„განიარაღების კომისია“.

„ამ ჟამად, სთქვა ჩიჩერინმა — ჩვენ მიწვეული ვართ იმ კომისიაში, რომელიც ამზადებს კონფერენციას განიარაღების საკითხის განსახილველად. ჩვენ ვშიშობთ, რომ ეს კომისია დაასამარებს განიარაღების საკითხს. საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ კომისიის დაარსების საკითხში ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

თუ რომელიმე კონფერენცია მოწვეული იქნება შვეიცარიაში, ეს საშუალებას მოუსპობს საბჭოთა კავშირს მონაწილეობა მიიღოს მასში“.

ლოკარნოს ხელშეკრულება.

შეეხო რა ლოკარნოს ხელშეკრულებას, ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის შიში ლოკარნოს შედეგების შესახებ არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება გერმანიის მთავრობის ზრახვებზე, რომლის კეთილი სურვილები ყოველ ეჭვს გარეშეა. ეს საშიშროება ვრცელდება იმ ობიექტიურ ურთიერთობაზე, რომელიც იქმნება გერმანიისათვის ლოკარნოს ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება საშუალებას აძლევს ინგლისს ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს გერმანიაზე, რასაც შედეგათ მოჰყვება ის, რომ გერმანია იძულებული იქნება საკუთარი სურვილის წინააღმდეგ შესცვალოს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი.

„ჩვენ — განაცხადა ჩიჩერინმა — მეგობრულად ვუცქერით იმ პოლიტიკას, რომელსაც დაადგება გერმანიის მთავრობა“.

მოსულის საკითხი

შეეხო რა მოსულის საკითხს, ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილება სერიოზულ საშიშროებას იწვევს. ამ გადაწყვეტილებას, თუ არ მოხერხდა ინგლისის უფრო შემრიგებელ პოზიციაზე გადასვლა, ექნება საბედისწერო შედეგი. მოსულს ოსმალეთისათვის ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ მიუხედავად ოსმალეთის მშვიდობიანი განწყობილებისა, ოსმალეთის რესპუბლიკის დათმობასაც საზღვარი უნდა ექნეს. თუ მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, ეს იქნება დიდი უბედურება საერთო პოლიტიკური ურთი-ერთობისათვის.

ურთიერთობა ამერიკასთან

საბჭოთა მთავრობა — განაცხადა შემდეგ ჩიჩერინმა — დიდად აფასებს სამეურნეო ურთიერთობის განვითარებას ამერიკასთან, რაც კიდევ უფრო გაადვილდება დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის შემდეგ. საბჭოთა მთავრობა ეხლაც იცავს თავის აზრს, რომელიც მან გამოსთქვა მაშინ, როცა კულიჯი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, სახელდობრ, რომ ის მზად არას თავისუფლად გაარჩიოს ყველა სადაო საკითხები“.

ამერიკის გაზეთები ჩიჩერინს აწერდენ განცხადებას, თითქოს საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ვალების საკითხის მოწესრიგებასო. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ ეს ცნობა სრული სიცრუეა. საბჭოთა მთავრობამ, პირიქით, მოითხოვა მოწესრიგებული ყოფილიყო ყველა სადაო საკითხები, მათ შორის იმ სესხის საკითხიც, რომელიც მიეცა კერენსკის.

ამხ. ჩიჩერინის პატივსაცემად

ბერლინი. 21 დეკ. ჩიჩერინის საპატივსაცემოდ შტრეზემანმა გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ყველა მინისტრები.

პროვოკაციული ჭორები.

ანგორა, 21 დეკ. ამ ახლო წარსულში ოსმალეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ინგლისური და ამერიკული წყაროებიდან საბჭოთა კავშირს და იტალიას შორის დადებულ შეთანხმების შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს ცნობა უარყოფილ იქნა საბჭოთა კავშირის მხრივ, მაგრამ იტალიის წრეებში ამის შესახებ სდუმდენ.

რადგან ამერიკული გაზეთები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ცნობა შეთანხმების შესახებ მართალია, მთავრობის ორგანო „ჯუმხურიეტი“ გამოსთქვამს სურვილს, რათა ეს ცნობები არ გამართლდეს, განსაკუთრებით შეთანხმების იმ ნაწილში, რომლებშიაც ჩართულია ოსმალეთის საწინააღმდეგო მუხლები.

„ეს რომ მართალი ყოფილიყო, ამბობს გაზეთი, ბოლო მოეღებოდა ჩვენს მეგობრულ განწყობილებას საბჭოთა კავშირთან და ოსმალეთი იძულებული გახდებოდა ეწარმოებია სრულებით ახალი პოლიტიკა. ამიტომ ოსმალეთს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ცნობის ოფიციალურად უარყოფა, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე იტალიის მხრივ.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს განცხადება.

ხმები იმის შესახებ, თითქოს იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული იყოს შეთანხმება, რომელშიაც თითქოს არის ოსმალეთის საწინააღმდეგო მუხლები, ყოვლად უსაფუძვლოა. ამ ხმებს უმთავრესად ავრცელებენ წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან იმაში, რომ ჩაშალონ ახალი ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს კატეგორიულად უარყოს, როგორც ფაქტი ასეთი ხელშეკრულების არსებობისა, ისე ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირი შეთანხმდა სხვა სახელმწიფოებთან ოსმალეთის ინტერესების წინააღმდეგ.

ჟენევა თუ ვაშინგტონი?

ლონდონი, 21 დეკ. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს:

„ერთა ლიგას არა აქვს არავითარი საფუძველი დაემორჩილოს მოსკოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ კონფერენცია განიარაღების შესახებ არ უნდა იქნეს მოწვეული ჟენევაში“.

მიუხედავათ ამისა, გაზეთის აზრით, ეს გააადვილებდა შეერთებულ შტატებს კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, ვინაიდან, როგორც სენატორი ბორა ფიქრობს, ვაშინგტონი არის ყველაზე უფრო შესაფერი ადგილი კონფერენციის მოსაწვევად.

დელეგაციის დაბრუნება

ბერლინი, 21 დეკ. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ გერმანიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციას სადგურზე შეხვდენ მუშათა ახალგაზრდობის მწყობრი რიგები ურიცხვი დროშებით, პლაკატებით და ორკესტრებით, აგრეთვე ყოფილ ჯარის- [illegible] ცია და ქალთა წითელი კავშირის წევრები. მრავალი დელეგატები, მათ რიცხვში ახალგაზრდობის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომელნიც გამორიცხულ იქნენ ორგანიზაციიდან ცენტრალური კომიტეტის მიერ საბჭოთა კავშირში გაგზავნილ დელეგაციაში მონაწილეობისათვის, აღფრთოვანებით ლაპარაკობდენ თავის განცდების შესახებ საბჭოთა კავშირში.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

მანგლისის რაიონი.

უკვე ერთი თვეა, რაც მიმდინარეობს მოსამზადებელი კამპანია სასოფლო-საბჭოების და თემაღმასკომების გადასარჩევად. თემის აღმასკომის წარმომადგენელი მთელ რიგ სოფლებში აკეთებს მოხსენებებს გასული წლის მუშაობის შესახებ.

საგანგებოდ მოწვეულ კრებებზე ბლომად ესწრებიან გლეხი ქალებიც.

კრებებში, რომლებიც შესდგებიან უმთავრესად ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხების წარმომადგენლებისაგან, თემაღმასკომის თავმჯდომარის მოხსენების გარდა, ირჩევა საკითხები მომავალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ალაგ-ალაგ სოფლად იმართება ქალთა განსაკუთრებული კრებები, რომლებიც იხილავენ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს და ირჩევენ კანდიდატებს საბჭოებში გასაყვანად. თემაღმასკომის მუშაობის შესახებ იმართება გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. გლეხები აღნიშნავენ თემაღმასკომის ნაკლებ ხელმძღვანელობას სასოფლო საბჭოებზე, გლეხობა აგრეთვე მიუთითებს თემაღმასკომის სუსტ მუშაობაზე საგზაო მშენებელთა დარგში. მაგრამ გლეხობის მეტი ნაწილი სჩივის სკოლების უქონლობის შესახებ. სულ მანგლისის თემში არის 27 სოფელი, რომელთაც 7 სკოლის მეტი არა აქვთ. ბავშვების მეტი წილი (59 პროც.) წელს სკოლის გარეთ არიან დატოვებული.

გლეხებს აწუხებს აგრეთვე მედიკური დახმარების საქმის მოუგვარებლობა. მანგლისის რაიონს ყავს მხოლოდ 1 ექიმი, წესით კი უნდა ჰყავდეს 5 ექიმი მაინც. ამის გამო, სხვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ბავშვების ჯანმრთელობის შემოწმებაც კი არ ხდება სკოლაში. ამჟამად რაიონში გავრცელებული ყოფილა ქუნთრუშა.

გლეხთა კრებებზე ირჩევა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რა შეძლების გლეხი უნდა ჩაითვალოს „კულაკად“.

ზემო-იმერეთი

შორაპნის მაზრაში მოწყობილი სამაზრო საარჩევნო კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. კომისიამ შორაპნის ყველა 36 თემში დაგზავნა საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო ყოველგვარი სახელმძღვანელო მასალები და ინსტრუქციები. ზოგიერთი თემებიდან მაზრის საარჩევნო კომისიას უკვე მიღებული აქვს ამრჩეველთა და იმ პირთა სიები, რომელთაც საარჩევნო ხმის უფლება წართმეული აქვთ. ჯერჯერობით სიები მიღებულია მხოლოდ 9 თემიდან.

საბჭოთა აღმშენებლობა

სენაკის მაზრა.

ამჟამად სენაკის მაზრის თემებში მიმდინარეობს საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი კამპანია. თემაღმასკომის თავმჯდომარეები სასოფლო ყრილობებს უდგენენ ერთი წლის მუშაობის ანგარიშებს, რომელთა მიხედვით შეიძლება დახასიათებულ იქნეს საბჭოთა აღმშენებლობა სენაკის მაზრის თემებში.

მიმდინარე წელს სამიქაოს თემის აღმასკომს შეუკეთებია ყველა სოფლების სასკოლო შენობები და აუგია ახალი შენობა ოთხწლედისათვის. ამჟამად სწარმოებს მუშაობა შვიდწლედის შენობის ასაგებად. საფუძვლიანად შეკეთებულია საექიმო პუნქტის შენობა, განზრახულია ამ მოკლე ხანში გახსნილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები. სუჯუნის თემის სოფელ ეწერში აგებულია 4 წლედის ახალი შენობა, ამავე თემში მდინარე აბაშის წყალზე შენდება [illegible] გეჯეთის თემში გლეხობა შეუდგა ოთხწლედის მეორე შენობის აგებას. თემის ფარგლებში საფუძვლიანად არაა შეკეთებული გზები და ხიდები.

თეკლათის თემში მოკლე ხანში დამთავრდება ქვის დიდი შენობის აგება შვიდწლედის მოსათავსებლად. საფუძვლიანად შეკეთებულია თემის ფარგლებში 16 ხიდი. შეკეთებულია აგრეთვე ყველა სასოფლო სკოლების შენობები.

ეგსის თემმა ნაწილობრივად შეაკეთა სასკოლო შენობა.

ზემო ჩამოთვლილ თემებთან შედარებით მიმდინარე წელს უმოქმედობა გამოიჩინა ახალ-აბაშის თემმა — 9 წლედის სკოლის და სასოფლო სკოლების, საავადმყოფოს და საბჭოთა დაწესებულებების შენობები, რომელნიც დღემდე შეუკეთებელნი არიან, საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებენ.

ქვემო იმერეთი.

მიმდინარე წელს შორაპნის მაზრაში დიდი ყურადღება ექცეოდა სათემო საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას. ამ მიზნით საბჭოებთან მოწყობილი იყო სექციები, რომელნიც მუშაობის საკმაო უნარს იჩენდენ. სექციების დახმარებით სათემოთ აღმასკომებმა აღმშენებლობითი მუშაობაში ჩააბეს გლეხობის აქტიური ნაწილი. მაზრაში შეკეთდა [illegible] ვანილ იქნა ახალი საურმე გზებიც, ბევრ სოფლებში შეკეთებული და აგებული იქნა სასკოლო და საექიმო-საფერშლო პუნქტების შენობები. თუ მაზრის თემაღმასკომებიდან საქმიანობის უნარი გამოიჩინეს შემდეგი თემების აღმასკომებმა ხორიგოულის, მარელისის, ჩხარის, სახერის და აგრეთვე ქალაქ ზესტაფონის აღმასკომმა.

ეკონომიური ცხოვრება

ფართლეულობის ბაზარი

ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

— დეკემბრის პირველ ნახევარში ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბაზარზე ისევ საგრძნობია ფართლეულობის ნაკლებობა.

როგორც წინეთაც, ამ პერიოდში მოთხოვნილება რამოდენიმეჯერ აღემატებოდა მიწოდებას და საგრძნობი იყო ყოველგვარი ქსოვილების ნაკლებობა.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბამბეულ მანუფაქტურაზე. საქონელი, რომელსაც იღებს განყოფილება მოსკოვიდან, სავსებით აკმაყოფილებს მყიდველთა გემოვნებას, მაგრამ ის იმდენათ მცირეა, რომ არ შეუძლია გაძლიერებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

განყოფილების საწვრილმანო მაღაზიებს აუარებელი ხალხი აწყდება. ბამბეული მანუფაქტურის გარდა დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე სასეზონო ქსოვილებზე.

განყოფილება უკვე დიდი ხანია აღარ აძლევს კერძო ვაჭრებს ბამბაქაღალდის ნაწარმოებებს. უკანასკნელ ხანებში ფართლეულობის თავისუფალ ბაზარს თბილისში უჩვეულობა ემჩნეოდა. ბამბეული მანუფაქტურის ბაზარზე სრული სიჩუმეა, ვინაიდან ბაზარზე არ მოიპოვება გლეხობისათვის საჭირო საქონელი.

სრულიად არ მოიპოვება კერძო ბაზარზე სქელი ნარმა და მიტკალი; თუ სადმე იშოვება, იგი ძვირად ფასობს. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მაუდის ნაწარმოებზეც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქონლის მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ვერც სახელმწიფო და ვერც თავისუფალ ბაზარზე.

საკრედიტო ამხანაგობანი ჩვენში

მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან კოოპერატიული კრედიტის ახალი პროექტის მიხედვით, საქართველოს ფინსახკომის სამმართველოს სავალუტო-საკრედიტო განყოფილებასთან დაარსდა შტატი რევიზორებისა, რომელთა მოვალეობაა უმაღლესი ზედამხედველობა და რევიზია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებისა, რომელთა რიცხვი საქართველოში აღწევს 123-ს.

ასეთი ზედამხედველობა და რევიზია ხელს შეუწყობს ამ ამხანაგობათა გეგმაშეწონილ მუშაობის განვითარებას, მათ მიერ სოფლის მცხოვრებთათვის დახმარების გაწევას საჭირო სესხით სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

ამ სესხის გაცემისა, განსაკუთრებით ქირნახულის, ვენახის და ბაღბოსტნების დამუშავებისა და მოწევის დროს, როცა გლეხები მეტათ საჭიროებენ ფულს, ეს ამხანაგობანი იხსნიან გლეხებს ჩარჩების და მევახშეების ბრჭყალებისაგან.

საქართველოს ფინსახკომის სამმართველოს მიზანია საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის გაფართოება მთელ საქართველოში, რათა ყველა სოფლები მოექცენ ამხანაგობათა მოქმედების ფარგლებში და გლეხებს საშუალება ჰქონდეთ მიიღონ ამ ამხანაგობებიდან ყოველ დროს საჭირო კრედიტი მეტათ ხელსაყრელ პირობებში.

ყველა საკრედიტო ამხანაგობანი ვალდებული არიან თავიანთი ოპერაციების გარდა აწარმოონ სახელმწიფო სესხების ობლიგაციების განაღდება სოფლის მცხოვრებთა შორის და აგრეთვე სესხის გაცემა ამ პროცენტიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ.

გლეხებს შეუძლიათ საკრედიტო ამხანაგობებში შეიძინონ როგორც მეორე სახელმწიფო 12 პროცენტიანი საგლეხო სესხის ობლიგაციები, ისე დააგირაონ ნაყიდი ობლიგაციები, აგრეთვე მიიღონ ყოველგვარი ცნობები სახელმწიფო სესხების შესახებ; გლეხები აქვე გაიგებენ იმას, თუ რომელ ბილეთს შეხვდა მოგება, რადგან ყველა გათამაშების ცხრილები საქართველოს ფინსახკომის სამმართველოს მიერ გადაგზავნილი იქნება როგორც საკრედიტო ამხანაგობებში, ისე ყველა თემაღმასკომებში, კოოპერატივებში, ქოხ-სამკითხველოებში და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

თბილისის ბირჟის ნედლეულთა ქვესექციაში

თბილისის ბირჟის ნედლეულობის ქვე-სექციაში გაირჩა საკითხი თამბაქოს დირექტიულ ფასების დაწესების შესახებ.

სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, რომელთაც კავშირი აქვთ თამბაქოს მეურნეობასა და მრეწველობასთან.

საქართველოს სასოფ.-სამეურნეო ბანკის წარმომადგენელმა სხდომაზე განაცხადა, რომ წელს მთელს საქართველოში, გარდა აფხაზეთისა მოსალოდნელია 90 ათასამდე ფუთი თამბაქოს მიღება. ამ რაოდენობის მიხედვით არის გაცემული ავანსები.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ კახელ მეთამბაქოებს თითოეულ დესიატინა თამბაქოს ნათესზე მიცემული აქვთ 350—400 მანეთი. ხოლო გურია-სამეგრელოში კი 300 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო ბანკს განზრახული აქვს გარდა უკვე გაცემულ ავანსებისა, მიაწოდოს მეთამბაქოებს დამატებითი ავანსები. ეს იმ მიზნით რომ მათ შესძლონ კარგად ჩაატარონ თამბაქოს დამჭკნობის პროცესი, რომლის შემდეგ თამბაქოს ღირებულება დიდდება.

წელს, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა [illegible] მაგრამ მის დამზადებას ხელს უშლის მცირე ფასები, რომელსაც აძლევენ დამამზადებელი მეთამბაქოეები.

საქართველოს თამბაქოს ტრესტის წარმომადგენელმა განაცხადა სექციაში, რომ განზრახული სადირექტივო ფასები თამბაქოს დამზადებისათვის 16—18 მანეთის რაოდენობით — ფუთზე ითვლება მეტის მეტად დიდათ და საჭიროდ სცნო მისი შემცირება 12—14 მანეთამდე.

ა|კ. კოოპერატიულმა კავშირმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ შემუშავებული სადირექტივო ფასები სრულიად უსპობს მას საშუალებას გაიტანოს თამბაქო საზღვარგარეთ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, სხდომაზე გამოთქმულ იქნა აზრი, რომ ბირჟამ ხელი უნდა შეუწყოს თამბაქოს დასამზადებელ სადირექტივო ფასების გამოკვლევას და ამისათვის გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია შესაფერი მასალები შესაკრებად.

ბაზრის მდგომარეობა

გირვანქა კომბოსტო ფასობს 10 კაპ., მჟავე კიტრი — 15—20 კაპ. კარგი ხარისხის კარაქი — 1 მ. 20 კ. არის უფრო იაფიანიც დაბალი ხარისხისა; ასეთივე ფასებია კოოპერატივშიც. საჭმელი ზეთი ღირს გირვანქა 80 90 კაპ. ჯონჯოლი სრულიად არ იშოვება. დამჟავებული კი, როგორც მაგალითად, პამიდორი, სტაფილო, კიტრი და სხვ. ძლიერ ბევრია, შედარებით იაფია ყველი: თუშური, შვეიცარიის, ოსური იმერული და სხ. რძის პროდუქტები ბლომადაა.

გარეულ ფრინველებსა და ცხოველებზე ფასები საკმაოდ აწეულია. შედარებით ნაკლებად ფასობს კურდღელი 90 კ.—1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ. ხოხობი 2 მ. 50 კ. 3—მან. ღორი. დიდი ინდაური და ბატი ფასობს 3 მ. 50 კ.—4მანეთამდე.

მწვანეულობა ბლომადაა.

ეკონომიური ქრონიკა

— **მოცვის ჩაი.** მოცვის ჩაი ბათომის ბაზარზე იყიდება ფუთი 3 მ. 50 კაპ.

— **ძეხვის ქარხანა.** ახლო ხანში ბათომში ამუშავდება ძეხვის ქარხანა.

— **დაფნის გატანა.** ახლო მომავალში რუსეთში გატანილი იქნება 15.000 ფ. დაფნა.

— **სიმინდის გატანა.** ა|კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთ გაგზავნა 50.000 ფ. სიმინდი.

— **კაკლის დამზადება.** საღვარგარეთ გასატანათ დამზადებულია 8.000 ფ. კაკალი.

— **ბათომის ნავსადგურში** ნოემბერში შემოტანილი იქნა 15.333.240 კილო ტვირთი საქონელი, გაიტანეს კი 635.211.100 კილო.

— **ლიმონის შემოტანა.** ა|კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატმა ტრაპიზონიდან მიიღო 335 ფ. ლიმონი.

— **ფართლეულობა გლეხებს.** აჭარისტანის მუშათა მთ. კოოპერატივის გამგეობამ დასდო ხელშეკრულება საფეიქრო სინდიკატთან დაწესებულ ნორმის გარეშე ორი ვაგონი უპირველეს საჭიროებისათვის ფართლეულობის მიწოდების შესახებ.

— **ნავთის სინდიკატმა** ნოემბერში ოსმალეთში ბათომიდან გაგზავნა 160.534 ფ. ნავთი.

— **რძის ნაწარმოებთა ქარხანა.** ბორჩალოს მაზრაში სოფ. აზალასერილში უკვე ამუშავეს რძის ნაწარმოებთა დამამზადებელი ქარხანა.

— **ბამბის სათეს ხარჯებისათვის** საქ. მებამბეობის კომიტეტმა დაადგინა ბამბის მეურნეებს ავანსის სახით მისცეს 50—60 მან. დესეტინაზე.

— **აბრეშუმის პარკი** წელს მთელ საქართველოში მოვიდა სულ 130.000 ფუთი.

— **რაჭული ღვინოები.** ივლისიდან სექტემბრამდე რაჭიდან გაუტანიათ ბაზარზე 12 ათასი მანეთის ღვინო.

— **ცემენტის შემოტანა.** უახლოეს დროში ნოვოროსიიდან ბათომში მიიღებენ დიდძალ ცემენტს ა.-კავკასიისათვის.

რა ხდებოდა წარმოკავშირში

დაახლოებით რვა თვის წინად შესდგა წარმოკავშირის რწმუნებულთა ყრილობა, რომელზედაც წარმოკავშირის მდგომარეობა და მისი მაშინდელი გამგეობის მუშაობა ბრწყინვალედ იყო დახატული. ყრილობის მონაწილე დელეგატი გლეხებიც კმაყოფილი დაიშალენ იმ იმედით, რომ წარმოკავშირი შესძლებს ჩვენი გლეხური მეურნეობის აღორძინების და განვითარების კოოპერატიულ ხელმძღვანელობას. გლეხობის ამ იმედს ყრილობაზე დამსწრე მთავრობის წარმომადგენლებიც და მთელი საზოგადოებაც იზიარებდა.

მაგრამ არ გასულა ყრილობის შემდეგ დიდი დრო, რომ სულ საწინააღმდეგო განწყობილება იქნა შემჩნეული. ბოლო დროს წარმოკავშირზე დაუჯერებელი ხმები ვრცელდებოდა, ლაპარაკობენ მის დიდ დავალიანებაზე, დეფიციტზე, მოსალოდნელ ლიკვიდაციაზე და სხვა.

რასაკვირველია ეს ხმები გადამეტებული და სინამდვილისაგან დაშორებულია; მდგომარეობა მაინც დამაფიქრებელია, მაგრამ ის შეიქნა არა უკანასკნელ თვეებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ნაკლულევანებანი, რომლებიც აღმოჩენილ იქნა უკანასკნელ დროს არსებობდენ წინადაც. ფინანსიური კრიზისი წარმოკავშირის ცხოვრებაში ახალ რამეს არ წარმოადგენს, და ის არსებობდა ზევითხსენებული ყრილობის დროსაც.

თუმცა ანგარიშებში ნაჩვენები იყო რომ 1923 წელი წარმოკავშირმა უზარალოდ დაათავა და 1924 წელს კი მას 6.018 მ. 14 კ. წმინდა მოგება დარჩა, მაგრამ სინამდვილისაგან ეს ციფრები ძალიან შორს იყვნენ, რაც ბოლო ხანებში ყველასათვის აშკარა გახდა. და აი ამ სინამდვილის დავიწყებამ და მაზე თვალის დახუჭვამ კინაღამ სრულ დაღუპვამდე მიიყვანა წარმოკავშირი და მისი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო გახდა მთელი რიგი რადიკალური ღონისძიებების მიღება.

29 ნოემბერს შესდგა წარმოკავშირის საბჭოს სესია, რომელზედაც აღნიშნული იყო გამგეობის მუშაობის დეფექტები, მოხდა გამგეობის გადახალისება და აღძრულ იქნა შუამდგომლობა მთავრობისაგან დახმარების მისაღებათ.

რასაკვირველია მრავალი იყო ობიექტიური ხელშემშლელი მიზეზებიც, მაგრამ მრავალი იყო მუშაობის დეფექტებიც და მთავარი მათგანი იყო ის, რომ ეს მუშაობა სწარმოებდა სამეურნეო-ფინანსიური მდგომარეობის გაუთვალისწინებლათ. სხვა დეფექტები ნაწილობრივ უკვე იყო აღნიშნული: საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოაქვეყნა თანამშრომელთა დავალიანების ჯამიც რომელიც მეტად სამწუხარო სურათს იძლევა: ზოგიერთ პასუხისმგებელ თანამშრომელთ სალაროდან ავანსები გაჰქონდათ იმდენი, რამდენიც დასჭირდებოდათ, ზოგს 8 თვის ჯამაგირის რაოდენობით, ზოგს ექვსი თვის და ზოგიც უფრო ნაკლებსაც ჯერდებოდა.

ავანსების მოყვარულ თანამშრომლებს წინ უძღოდა იმ დროს გამგეობის წევრად ყოფილი ა. აბაშიძე, რომელიც ფინანსიური განყოფილების მაშინდელ გამგესთან ა. ოტიაშვილთან ერთად ავანსების გაცემის დროს თავის თავსაც არ ივიწყებდენ, სამაგიეროდ დაბალი თანამშრომლები თავის დროზე ჯამაგირების აღებასაც ვერ ახერხებენ.

საყურადღებოა, რომ ფინანსიური განყოფილების გამგე ოტიაშვილი ამ თანამდებობაზე მოწვეული იყო მას შემდეგ, რაც ის მიწათმოქმედების კომისარიატიდან მოხსნილი იყო პასუხისგებაში მიცემით.

ცხადია რომ ის წარმოკავშირშიც განაგრძობდა თავის „სასიქადულო მოღვაწეობას“ და კომბინაციებს: თავისი პირადი საჭიროებისთვის ის სარგებლობდა წარმოკავშირის ვექსილებით; დღეს მაზე ირიცხება 4000 მანეთამდე, მაგრამ თუ რამდენი ზარალი მიაყენა მან წარმოკავშირს, ეს ძნელი გამოსარკვევია. წარმოკავშირიდან ის ბოლოსაც დაითხოვეს, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ის უიმედოდ დარჩა! ის სულ მალე ერთ-ერთ კოოპერატიული ამხანაგობის სათავეში მოექცა და ალბათ იქაც „ფინანსიურ სასწაულების“ მოხდენას აპირებდა, მაგრამ წარმოკავშირის ახალმა გამგეობამ დაუდო საზღვარი მის „მოღვაწეობას“ (დაპატიმრებულია).

ალ. ოტიაშვილს არც გამგეობის ყოფილი წევრი ალ. აბაშიძე ჩამორჩებოდა. როგორც გამგეობის წევრი ის ფინანსიურ განყოფილებას უდგა სათავეში და როდესაც ოტიაშვილთან ერთად მან მიიყვანა წარმოკავშირი ფინანსიურ კატასტროფამდე ის რწმუნებულთა ყრილობის მიერ განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, სამაგიეროთ იმან შემდეგაც განაგრძო თავისი მოღვაწეობა როგორც სარევიზიო კომისიის წევრმა და რადგანაც რევიზიის მას არაფერი გაეგებოდა, ამიტომ სარევიზიო კომისიის მუდმივ შტატის შექმნა დაიწყო; თუმცა სარევიზიო კომისიის არაფერი არ გაუკეთებია და ზოგჯერ ის კიდეც მალავდა ამა თუ იმ ბოროტმოქმედებას, მისი შენახვა თვეში 500 მანეთზე მეტი ჯდებოდა.

სარევიზიო კომისიის ჯამაგირიან მუდმივ წევრზე საკმაო დიდი ავანსებიც ითვლებოდა. უკანასკნელ დროს აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედება წარმოკავშირის სამნეო ნაწილში, და დაპატიმრებულ იქნა სამნეო ნაწილის გამგის თანაშემწე ა. ჩიჩუა. სარევიზიო კომისია კი მუდამ ხელს აფარებდა და ენერგიულად იცავდა ამ ნაწილის ხელმძღვანელებს, მეტს არ ვიტყვი, ყველასათვის ცხადია თუ რა სასარგებლო იქნებოდა ასეთი სარევიზიო კომისიის მოღვაწეობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის! განახლებულმა გამგეობამ პირველ სხდომაზედვე მოხსნა ჯამაგირიდან სარევიზიო კომისიის შტატი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს „ჯილდო“ ცოტა არის ასეთი მოღვაწეობისათვის.

გადავიდეთ ეხლა სხვა დარგის მოღვაწეებზე. წარმოკავშირის რწმუნებულთა ყრილობის მიერ არჩეულმა გამგეობამ თავის ნებით მოახდინა განყოფილებების გამრავლება, თუმცა ასეთის საჭიროება სრულებით არ არსებობდა. აგრიკულტურულ განყოფილებასთან დაარსდა მესაქონლეობის განყოფილება და ამ განყოფილების მოღვაწეებათ მოგვევლინენ ალ. გველესიანი და ირ. ამირაჯიბი. პირველი მათგანი მრავალჯერ იყო დათხოვნილი წარმოკავშირიდან, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იმავე წარმოკავშირში სულ უკეთეს თანამდებობაზე იწვევდენ და ბოლოსაც მთელი განყოფილების ხელმძღვანელობა დააკისრეს და რასაკვირველია მან კერძო აგენტების სათარეშოდ გახადა წარმოკავშირი. კოოპერაციის მას არასოდეს არაფერი არ სწამდა, ის მენშევიკების საპატიმროს ზედამხედველი იყო და საიდან ამოჰყო თავი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, წარმოუდგენელია. ამბობენ, რომ ახალციხეში რწმუნებულად ყოფნის დროს კოოპერატიულ მუშაობაზე უკეთ ის კონტრაბანდისტულ მუშაობას ახერხებდა! უნდა ითქვას რომ გველესიანი ძალიან მოხერხებული კაცია და მის „მოღვაწეობას“, დახასიათებას მე ვერ შევძლებ, ვიტყვი მხოლოდ რომ თუმცა ჯამაგირს უმაღლესი განაკვეთით და დატვირთვით იღებს, მაგრამ „ზედმეტი“ საათების ვასამრჯელოს მიღებასაც სცდილობდა.

ძალიან მოხერხებული კაცია ირაკლი ამირაჯიბიც და იმ დროს, როდესაც წარმოკავშირი ფინანსიურ კრიზის განიცდიდა, ამირაჯიბის მიერ მოწვეული აგენტები თავის ნებაზე ათამაშებდენ წარმოკავშირის ფულებს და ზოგიერთი მათგანს შემოსავლის ორი წყარო ქონდა. ჯამაგირსაც იღებდა და პროცენტებსაც მატყლის დამზადებაში.

რასაკვირველია ეს გარემოება უკმაყოფილობას იწვევდა, როგორც მეცხვარეთა ორგანიზაციებში, ისე წარმოკავშირის შეგნებულ თანამშრომლებშიც, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, თუმცა „კომუნისტ“-შიც იყო წერილი ამის შესახებ. საზოგადოთ მესაქონლეობის განყოფილება სპეკულიანტების სათარეშო მოედნათ და კოოპერაციის მოწინააღმდეგეთა ბანაკათ იყო გადაქცეული და სოფლებიდან გამორეკილი თავადაზნაურობაც უხვად აწყდებოდა ამ განყოფილებას.

წარმოკავშირს თბილისში ქონდა ფრიად სიმპატიური და სასარგებლო დაწესებულება — გამსაღებელი პუნქტი, იქაც დიდ არევ-დარევას ქონდა ადგილი და მიუხედავად იმისა, რომ ბუხჰალტერის შტატიც საკმაოდ დიდი იყო იქ მხოლოდ 7 თვის შემდეგ გამოარკვიეს, რომ ზარალი აღწევს 60.000 მანეთს, მაგრამ სინამდვილეში ზარალი მგონი ამაზე გაცილებით მეტი უნდა იყოს. პუნქტში ხშირად იცვლებოდა გამგეები და თანამშრომლები და ვის ენერგიას უნდა მიეწეროს ასეთი „მიღწევა“, როგორც 100.000 მანეთამდე ზარალი, ძნელი გამოსარკვევია. ეს კი ვიცით, რომ 4 პატარა დუქანში სამოცამდე თანამშრომელი ითვლებოდა ერთ დროს. ესეც ხომ ერთგვარი „მიღწევაა“, მაგრამ პუნქტი მიუხედავათ თანამშრომელთა სიმრავლისა ვერც მყიდველებს და ვერც სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გამყიდველ გლეხობას ვერ აკმაყოფილებდა. დიდ ზარალთან ერთად ამის მიზეზებიც გამოსარკვევია. თავისთავად პუნქტი საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაა ჩვენი სოფლის ნაწარმოების ადგილობრივ ბაზარზე გასაღებისათვის.

წარმოკავშირს პროვინციაში (წნორისწყალი, სამტრედია, ახალციხე) ქონდა განყოფილებები და ყავდა რწმუნებულები, მაგრამ ვინაიდან კოოპერატიული თვალსაზრისით ეს მიუღებელია და მატერიალურადაც ისინი ვერ ამართლებენ თავის არსებობას, ამიტომ ისინი ზედმეტი ბარგი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის რასაც არა ერთხელ აღნიშნავდენ წარმოკავშირის ინსტრუქტორები თავის მოხსენებებში, მაგრამ ვინ უჯერებდა! გამგეობასაც გამოქონდა ხოლმე ამ საკითხზე დადგენილებები, მაგრამ ხშირათ თავის დადგენილებებს თვითონვე არღვევდენ და მთელი საქმიანობა ინერციის გზით მიდიოდა.

იმ დროს, როდესაც წარმოკავშირის ზოგიერთი ძირითადი ორგანიზაციების ვექსილები „პროტესტში“ უშვებდა და მათი არსებობა საფრთხეში ჩავარდნილია, წარმოკავშირისთვის უცხო პირების სასეირნოთ საზღვარგარეთ და საბჭოთა რუსეთშიც 1000 მანეთები იხარჯებოდა (მოქ. ლეონიძეს გამგეობის უნებართვოდ მიეცა 1000 მან., წინედაც ჰქონდა წაღებული 2000 მანეთამდე, თუმცა წარმოკავშირისთვის მას იოტის ოდენაც არ გაუკეთებია. ასეთი მაგალითები სხვაც იყო, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით).

რასაკვირველია ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა საკუთარ საშუალებებს მოკლებულ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და უკმაყოფილებას იწვევდა, როგორც თვით წარმოკავშირში ისე მის გარეთ.

კოოპერაციის თანამშრომლებათ კოოპერაციის მოწინააღმდეგე პირთა და ზოგიერთ ბოროტმოქმედთა საპასუხისმგებლო, სპეცების თანამდებობაზე წამოსკუპება, რასაკვირველია კეთილ შედეგებს არ მოიტანდა და მიუხედავათ ზოგიერთი შედეგების მიღწევისა წარმოკავშირი მიუახლოვდა კატასტროფიულ მდგომარეობას.

საჭირო გახდა პარტიის და მთავრობის დახმარება და რადიკალური ღონისძიებების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს თითქო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საჭირო არ იყოს საქართველოს სასოფლო მეურნეობისათვის და მისი აღორძინებისათვის. პარტიამ თავის ყრილობებზე ამის შესახებ არა ერთხელ სთქვა თავისი გადამჭრელი სიტყვა, მხოლოდ ეს სიტყვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაკებმა საქმეთ უნდა აქციონ.

ზევით აღნიშნული დეფექტებთან ერთად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას აქვს მნიშვნელოვანი მიღწევანი მეურნეობის ზოგიერთ დარგში, მაგრამ დადებითი მუშაობაზე საკმაოდ იყო თქმული.

მიუხედავად ზევით აღნიშნული დეფექტებისა ჩვენი გლეხობა დღესაც იმედით შეჰყურებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებით ეს იმედი გამართლდება.

ი. ბუაჩიძე.

პარტიული ცხოვრება

1905 წლის რევოლიუციის შესწავლის შესახებ

1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავის კამპანიის ჩატარება უკვე დაიწყო. კამპანია 22 იანვრამდე გასტანს. თავის თავად ცხადია, რომ 1905 წლის რევოლიციის შესწავლას ყოველთვის ექცეოდა და აწიც უნდა მიექცეს ყურადღება. მაგრამ განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენ ვატარებთ სპეციალურათ ამ კამპანიას მისი ოცი წლის თავის შესრულების გამო, უეჭველათ ეს დრო უნდა გამოვიყენოთ ამ რევოლიუციის ყოველმხრივ შესასწავლათ. ყოველ მუშას და გლეხს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა 1905 წლის რევოლიუციაზე, უნდა იცოდეს მისი ისტორია, მისი წარმოშობის და დამარცხების მიზეზები, მისი გაკვეთილები. 1905 წლის რევოლიუციამ მოგვცა ჩვენ ოქტომბერი, რომელმაც გაანთავისუფლა მუშები და გლეხები და წვრილი ერები. უპარტიო მუშებსა და გლეხებში ამ მუშაობას სხვათა შორის გასწევენ პროფკავშირები.

მაგრამ აქ საჭიროთ მიგვაჩნია **ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ 1905** წლის რევოლიუციის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პარტიის წევრთა მიერ. 1905 წლის რევოლიუციის ისტორიის შესწავლა, რევოლიუციის გამომწვევი მიზეზები, მისი მამოძრავებელი ძალები, რევოლიუციის ხასიათი, დამარცხების მიზეზები და გაკვეთილები—ყველა ეს საკითხები უსათუოდ ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ პარტიის წევრებმა და კომკავშირელებმა. აშკარაა, რომ ამ საკითხის მრავალრიცხოვან კრებებზე, მიტინგებზე და საზეიმო სხდომებზე შესწავლა ყოვლად შეუძლებელია. 1905 წლის რევოლიუციის შესასწავლად ცალკე წრეები უნდა არსებობდენ პარტიასა და კომკავშირის წევრებისგან. ამ წრეებს უნდა ხელმძღვანელობდენ რევოლიუციის მცოდნე ამხანაგები, რომლებსაც შეეძლებათ საკითხის სათანადოთ გაშუქება.

რასაკვირველია, ზერელეთ ჩვენ ყველამ ვიცით 1905 წლის რევოლიუცია, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამ დიდი ეპოქის უფრო ღრმათ შესწავლა. წინასწარი დამუშავებული გეგმით ამ საკითხის გარჩევა და შესწავლა ერთ-ერთ ამოცანათ უნდა გახდეს ჩვენ საპროპაგანდო მუშაობაში.

კამპანიის დამთავრებამდი ჩვენ ამას შევძლებთ, თუ პარტორგანოები და პარტიის აქტიური წევრები ამას **ყურადღებას** მიაქცევენ.

ჩვიდმეტი წლის რევოლიუცია გაურკვეველი იქნება მისთვის, ვისაც გარკვეული არ აქვს 5 წლის რევოლიუცია. ამიტომ პარტიის თვითეულმა წევრმა უნდა შეისწავლოს 5 წლის რევოლიუცია. ეს ყოველი კომუნისტისთვის, კომკავშირელისთვის სავალებულო უნდა იქნეს.

ლ.

პარტკორო, მეტი სიფხიზლე!

დღეს უკვე აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოებრივ სინამდვილეში მუშკორსა და გლეხკორს და რა დაუფასებელ სამსახურს უწევენ ისინი მშრომელთა რესპუბლიკებს. ფაბრიკა-ქარხნებიდან, წარმოება-დაწესებულებებიდან, სხვადასხვა სოფლებიდან რომ აუარება წერილები მოდის, რომლებიც აგვიწერენ ჩვენს მიღწევებს, ჩვენს დადებითსა და უარყოფით მხარეებს, ააშკარავებენ ბოროტმოქმედებებსა და სხვა უკუღმართობას—ყველაფერი ეს მუშკორისა და გლეხკორის საქმეა.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს პარტკორსაც. მაგრამ პარტკორთა მოძრაობა ჩვენში ჯერ ვერ განვითარდა სათანადოთ. მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან მუშკორები და გლეხკორები ყოველ გვიამბობენ ადგილებზე მდგომარეობის შესახებ, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ პარტკორთა მხრით, თითქოს ზედმეტი იყვეს პარტიულ ცხოვრებაზე წერა. ეს ყალბი შეხედულებაა. როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა მხარე—პარტიული ცხოვრებაც ფართედ უნდა შუქდებოდეს ჩვენს პრესაში. ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში—„კომუნისტში“ ჩვენი ადგილობრივი პარტორგანიზაციების ავი და კარგი ყოველ მხრივ უნდა შუქდებოდეს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ყოველ სოფლიდან, თემიდან, რაიონიდან და მაზრიდან; ყოველ უჯრედიდან, თემკომიდან რაიკომიდან და სამაზრო პარტკომიდან უნდა იგზავნებოდეს კორესპოდენციები თავისი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, როგორ ატარებს ადგილობრივი ორგანიზაცია პარტიის ხაზს, როგორი დამოკიდებულებაა ორგანიზაციასა და უპარტიო მუშებსა და გლეხებს შორის, რა მიღწევაა ამა თუ იმ დარგში, რა უარყოფითი მხარე აქვს ორგანიზაციას, უნდა შუქდებოდეს, თუ როგორაა დაყენებული ქალთა შორის მუშაობა, კომკავშირის საქმიანობა და სხვ.

ყველა პარტიული ორგანიზაცია დაინტერესებული უნდა იყვეს მიაწოდოს პრესას ყოველივე ცნობა თავის მუშაობაზე.

პარტიული კორესპონდენტები—პარტკორები ამ საქმეში პირველ ადგილზე უნდა იდგენ. ყოველ უჯრედს, თემკომს, რაიკომს, სამაზრო პარტკომს უნდა ჰყავდეს პარტიული კორესპონდენტი, რომელიც ზემო აღნიშნულ ცნობებს მიაწვდის გაძლია პარტკორობა. პარტკორი ჩვენი პარტიული ცხოვრების თვალი და ყური უნდა იქნეს. ჩვენი პარტორგანიზაციების მიღწევები, დადებითი და უარყოფითი მხარეები პარტკორმა უნდა მიაწოდოს ჩვენს გაზეთს. თუ ამდენი ხანი მკრთალად შუქდებოდა ჩვენს გაზეთში პარტიული ცხოვრება, მომავალში ამას ადგილი არ უნდა ექნეს. ყოველ უჯრედს, თემკომს, რაიკომს და სამ. პარტკომს თავისი პარტკორი უნდა ეყოლოს. პარტკორმა კი თავისი მოვალეობა პირნათლათ უნდა შეასრულოს გაზეთისთვის ცნობების სისტემატიური მიწოდებით.

პარტკორო, შეასრულე შენი მოვალეობა.

თ.

საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში

თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური საზოგადო კრებამ ერთხმად დაამტკიცა საზოგადოების ბანკის წლიური ანგარიში და მადლობა გადაუხადა გამგეობას და საბჭოს ნაყოფიერ მუშაობისათვის.

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის მიღების შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობის მესამე წევრად ალექსანდრე გრიგოლაშვილი. საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნა: კოწია ხომერიკი, კ. ჩხენკელი, ნ. წვერავა, ი. მიქელაძე, ი. ათანელოვი, ვ. ოდილავაძე, მ. ჰარუთინოვი, ი. ავეტისოვი, კ. ცინცაძე, ნ. პრელაშვილი და შ. ბახანოვი. სულ 11 კაცი. სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეული იქნენ: ი. რამიშვილი, ი. ოსიპოვი, ნ. თევზაძე, დ. სიმონიანცი და ე. თოდუა.

გამგეობის შემადგენლობა: თავმჯდომარე გრ. გოგოტიშვილი, წევრნი: გოთუა და გრიგოლაშვილი.

საურთიერთო ნდობის საზოგადოების შემოსავალი წლის განმავლობაში უდრის 58 ათას მანეთს, გასავალი 40 ათას მანეთს, ამნაირად საზოგადოების წმინდა მოგება წლის განმავლობაში უდრის 18 ათას მანეთს.

საზოგადოების საერთო მდგომარეობა განმტკიცებულია. ბალანსი—ჯანსაღი.

საზოგადოების წევრთა რიცხვი ათას კაცს აღემატება.

საფოსტო კავშირი

საოლქო კავშირმა დაამუშავა საფოსტო მიმოსვლის და საფოსტო კავშირის განვითარების 36 წლიანი გეგმა.

მიმდინარე სამეურნეო წელს ა. კ. ფარგლებში გახსნილი იქნება პირველი რიგის 200 ახალი საფოსტო სააგენტო, ხოლო წერილების დამტარებელთა შტატი გადიდებულ იქნება 560 კაცით.

სასოფლო ფოსტის აგენტების შესანახად წელს გადადებულია 96.750 მანეთი. ამგვარად საბიუჯეტო წლის დასასრულში საფოსტო აგენტების და წერილების დამტარებელთა რიცხვი 962 კაცს მიაღწევს. მოსამსახურეთა ეს შტატი დააკმაყოფილებს ა. კ. ნახევარი მოსახლეობის საჭიროებას. გზატკეცილებზე ფოსტის გადაზიდვისათვის და ფოსტის სოფლად დატარებისათვის საოლქო კავშირი იღებს წელს 472.000 მანეთს.

ტრაქტებზე ფოსტის მიმოსვლა გახშირებული იქნება.

1926-27 წლისათვის საფოსტო კორესპოდენციების გაცვლა გამოცლა კიდევ უფრო გაფართოებული იქნება, რადგან ამ წლისათვის ფოსტის გადასაზიდი ხარჯები 472.000 მანეთამდე დიდდება.

მიმდინარე წელს ფოსტის მიერ გავლილი იქნება 150 ათასი კილომეტრი.

1927—28 წლისათვის წერილების დამტარებელთა შტატი სოფლად გადიდებულ იქნება 300 ახალი მუშაკით.

რკინის გზით ფოსტის გადატვირთვას დასჭირდება 200.000 მანეთზე მეტი, გემებით—17 ათასი მანეთი, ხოლო საჰაერო ხაზით—115 ათასს მანეთზე მეტი.

პირველი ჯგუფი ტრაქტების მიხედვით ფოსტის გადაზიდვა მესამე წლის დასასრულს იწარმოებს კვირაში 7-ჯერ. ამ ხნის განმავლობაში ფოსტა გაივლის სულ 17 მილიონ კილომეტრს.

ტრაქტებზე ფოსტის გადაზიდვა გადმოზიდვისათვის საჭირო იქნება სულ 532.608 მანეთის დახარჯვა.

„ზარია ვოსტოკას“ კომუჯრედის სხდომა

20 დეკემბერს შესდგა გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ კომუჯრედის სხდომა. უჯრედის სხდომას დაესწრენ როგორც კომკავშირელები, აგრეთვე უპარტიო მუშებიც. დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: 1) მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და 2) კომკავშირის მდგომარეობაზე. მომხსენებელმა პირველ საკითხზე საერთოდ გააშუქა ჩვენი პარტიის ხაზი სოფლად მუშაობის შესახებ. საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ ერთი მთავარი საკითხთაგანია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ უჯრედის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკითხის გარჩევაში.

მომხსენებელმა მეორე საკითხზე—კომკავშირის მდგომარეობაზე—თავიდანვე განაცხადა, რომ ისეთი მცირე დრო იყო ჩემს განკარგულებაში მომზადება ვერ მოვასწარიო. მართლაც ეს მოხსენება ძალზე სუსტი იყო. არ იყო აღნიშნული კომკავშირის ორი უკანასკნელი წლის მიღწევები, ეკონომიურ მდგომარეობა, კომკავშირი სოფლად, კომკავშირი მუშათა მასებში, კომკავშირში აღმზრდელობითი მუშაობა და სხვ.

საჭიროა, რომ უჯრედის მომხსენებლები, და ისიც ღია კრებაზე, უფრო მომზადებული იქნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უჯრედში სიცოცხლე ჩაკვდება. ამიტომ საჭიროა, რომ მომხსენებელი 3—4 დღის წინ იქნეს დანიშნული.

უჯრედელი.

წერილები ადგილებიდან

რაშია საქმე?

(ჩხარი, შორაპნის მაზრა)

ჩხარის ახ. ლ. კ. კ. ორგანიზაციაში 1921 წლიდან ირიცხებოდა ამხ. ალექსანდრე ფანჩულიძე; 1925 წლიდან ის გადაყვანილ იქნა პარტიაში კანდიდატათ. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ხსენებული ფანჩულიძე, როგორც გაუსწორებელი ლოთი გამორიცხულ იქნა კომკავშირის რიგებიდან. მაგრამ ამ ზომამ მასზე სრულიად არ იმოქმედა და ის კიდევ უფრო მეტ უზნეობას სჩადის. ეს მოქალაქე, მართალია, დღეს კომკავშირის რიგებში არ ითვლება, მაგრამ პარტიის კანდიდატათ ჯერ კიდევ რჩება. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ალ. ფანჩულიძის „მოქმედებებს“ ყურადღება უნდა მიაქციოს და ასეთი უღირსი წევრი პარტიის რიგებს მოაშოროს.

ნემსი.

—

უჯრედის ღია კრება

(ქ. დუშეთში).

ამ რამდენიმე ხნის წინათ შესდგა სამ-პარტკომთან და სამ აღმასკომთან არსებულ კომ-უჯრედების გაერთიანებული ღია კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობაზე და 2) რევოლიუციონური კანონიერების შესახებ.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ცხომელიძემ. მოხსენების ირგვლივ იყო შეკითხვები, რაზეც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი. რევოლიუციონური კანონიერების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. სადაგიშვილი. სადაგიშვილის მოხსენების ირგვლივ გაიმართი კამათი, რის შემდეგ იქნა მიღებული კრების მიერ რეზოლიუცია.

კიზირია.

—

სოფ. აცანა

(გურია),

წინათ აცანის თემში ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს. ამ ბოლო ხანს კი გამოცოცხლება ეტყობა. ჩვენს თემში დაარსდა ქალთა შორის მომუშავე წრე. კვირაში ერთხელ იკრიბებიან ქალები და მეცადინეობენ. არჩევენ სხვადასხვა საკითხებს. აღსანიშნავია, რომ დელეგატი-ქალები მეცადინეობას არ აკლდებიან და მონდომებული არიან რამე შეისწავლონ. ჩვენი სოფლის გლეხი-ქალები დაინტერესდენ ქალთა-დელეგატების კრებებით და გარეშეებიც ესწრებიან კრებებს.

წითელი ლახვარი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზ. მე-13 კონფერენცია

16 დეკემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნა საქართველოს ა. ლ. კ. კ. თბილისის ქალაქისა და მაზრის მე-13 კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში [illegible] ტიკური ანგარიში, 2) ამიერ-კავკასიის ა. ლ. კ. კ. საოლქო კომიტეტის მოხსენება, 3) თბილისის კომიტეტის მოხსენება და პიონერთა თბილისის ბიუროს თანამოხსენება, 4) სოფელში მუშაობაზე; 5) პროფკავშირებში მუშაობაზე, 6) არჩევნები.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. გავრიშის მოხსენება ა. ლ. კ. კ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობაზე. ამხ. მომხსენებელმა ვრცლათ გააშუქა ახალგაზრდობის ეკონომიური მდგომარეობა; მან აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად ახალგაზრდობის მდგომარეობაც უმჯობესდება. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის განათლების შესახებ ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მხრით ქალაქში უკეთესათაა საქმე, იხსნება საფაბრიკო საქარხნო სკოლები სადაც მსმენელთა რიცხვი თანდათან მატულობს. სოფელი კი ამ მხრით უფრო მოისუსტებს. გახსნილია რამდენიმე გლეხური სკოლები, მაგრამ [illegible] ნათლების საქმე ვერ დგას თავის სიმაღლეზე, მაგრამ ამ მხრით უკვე მიღებულია ზომები.

ჩვენი კავშირი თანდათან იზრდება. მე-3 კონფერენციის წინ ყველა რესპუბლიკებში ჩვენ გვყავდა 49.450 წევრი, დღეს კი 110,113 წევრი. ჩვენი კავშირი უმთავრესად მუშების ხარჯზე იზრდება.

ქალთა შორის მუშაობა გაცხოველებულია. ამ.-კავკ. ორგანიზაციის მე-3 ყრილობის წინ ჩვენს რიგებში ითვლებოდა 2.600 ქალი, დღეს კი ეს რიცხვი ავიდა 10.600-დე.

კავშირს მიღწევებთან ერთად აქვს უარყოფითი მხარეებიც, რომელთა აღმოსაფხვრელათ მიღებულია სათანადო ზომები.

ამხ. გავრიშის მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე დელეგატმა.

საგეგმო კომისიაში

სტატისტიკურ ორგანოთა შესახებ

სტატისტიკურ ორგანოთა მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთი უწყება-ორგანიზაციების სტატისტიკური ბიუროები თავისებურად და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეუთანხმებლად აწარმოებენ სტატისტიკურ მუშაობას, რასაც დიდი არევ დარევა და შეცდომები შეაქვს უაღრესად საჭირო ცნობებში.

ამის გამო, ამ დაუშვებელ მოვლენათა თავიდან ასაცილებლად საქართველოს საგეგმო კომისია აუცილებელ საჭიროებათ სთვლის:

ა) დაევალოს საქართველოს ყველა უწყება-ორგანიზაციების (რომლებიც სტატისტიკურ მუშაობას აწარმოებენ), რომ მათი სტატგანყოფილებათა გამგეების სამსახურში მიღება-დანიშვნა ხდებოდეს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან წინასწარ შეთანხმებით და

ბ) ვინაიდან საქ. სტატისტიკის სამმართველოს დებულება სავსებით ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს,—ამისათვის შემუშავდეს ახალი დებულება, სადაც სავსებით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციული და პროგრამული დამოკიდებულება სტატ-ორგანოებთან.

პროფესიონალურ ავათმყოფობათა შესახებ.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა მიენდოს პროფკავშირთა საბჭოს და შრომის სახალხო კომისარს დაწვრილებით დაამუშავონ პროფესიონალურ ავათმყოფობათა გამოკვლევის შესწავლის საკითხი და მოკლე ხნის განმავლობაში წარმოუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი საგეგმო კომისიას.

ადგილობრივი ბიუჯეტი

შორაპნის მაზრა

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გასული 1924—25 საბიუჯეტო წელი დეფიციტით დაასრულა.

დეფიციტი და დავალიანება უდრის—156 ათასს მანეთს. აქედან 129 ათასი მანეთის დაფარვა იკისრა ცენტრმა. ნაწილი ამ დავალიანებისა ცენტრისგან უკვე დაფარულია. საკითხი დანარჩენი 27 ათასი მანეთის დაფარვის შესახებ ჯერ-ჯერობით ღიად რჩება.

დავალიანების ეს უკანასკნელი ჯამი უმთავრესად გამოწვეულია სამეურნეო ხარჯებით, მხოლოდ ამ ჯამის უმნიშვნელო ნაწილი შეიცავს გაუსტუმრებელ ხელფასს.

მიმდინარე 1925—26 წლის ბიუჯეტი გამომნგარიშებულია 1,249,000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან სახალხო განათლებისათვის გადადებულია 416,703 მანეთი, სახალხო ჯანმრთელობის საჭიროებისათვის 112.438 მანეთი. გარდა ამისა ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯები გზების შესაკეთებლად და მდინარე ყვირილის ნაპირების გასამაგრებელი ჯებირების შესაკეთებლად მოსალოდნელი წყალდიდობისგან დაცვის მიზნით. ამ საჭიროებისათვის ბიუჯეტში ნავარაუდევია 85.082 მანეთი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შეტანილია ცენტრიდან გაღებული სუბვენცია, რომელმაც უნდა აანაზღაუროს შავიქვის გატანაზე გაწერილი საფუთო ამონაღები, რომლის უფლებასაც ხელშეკრულების ძალით სამაზრო აღმასკომი ჰკარგავს.

სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება აგრეთვე სასოფლო აღმშენებლობას. ზოგიერთი თემები დოტაციის სახით დახმარებას მიიღებენ.

პროფკავშირებში

სრ. საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის მე-5 ყრილობა

მეორე სხდომა

21 დეკემბრის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ცენტ. კომიტეტის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა. დელეგატები ეხებოდენ ცენტ. კომიტეტის მუშაობის სხვადასხვა მხარეებს და აღნიშნავდენ იმ ნაკლს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო ხნის განმავლობაში.

მესამე სხდომა

21 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე ყრილობის მოთხოვნილებით ცენტ. კომიტეტის მოხსენება და ამხ. ბელობოროდოვის საბოლოო სიტყვა გადაითარგმნა ქართულ ენაზე.

ყრილობამ ცენტ. კომიტეტის მუშაობა მოიწონა. ამის შემდეგ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფრუიძემ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ერთი წლის განმავლობაში ცენტ. გამგეობას ჰქონებია 21 სხდომა. გაურჩევიათ 130 საკითხი. ამათგან 65 ორგანიზაციული ხასიათის, 43 სატარიფო-საეკონომიო, 19—კულტურულ-განმანათლებელი და 3—სხვადასხვა საკითხები.

ცენტრ. გამგეობის პრეზიდიუმს,—რომელიც ტექნიკურად ანხორციელებდა კავშირის მუშაობას,—ჰქონია სულ - 65 სხდომა. გაურჩევია —881 საკითხი. ამათგან: 498 ორგანიზაციული, 185—სატარიფო-საეკონომიო, 74—კულტურული და 84—სხვადასხვა ხასიათის.

კავშირის ცენტრ. გამგეობის პლენუმი მთელი წლის განმავლობაში მოწვეული ყოფილა 4 ჯერ.

კავშირი ადგილებთან

ცენტ. გამგეობას საანგარიშო ხნის განმავლობაში მჭიდრო კავშირი ჰქონია ადგილებთან.

სისტემატიურად იგზავნებოდა ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლები ბათომის, ფოთის, სოხუმის, ქუთაისის, ახალსენაკის და სხვა განყოფილებებში.

წერილობითი კავშირიც საკმაოდ კარგი იყო.

კავშირის წევრთა რაოდენობა

უკანასკნელ გამორკვევით და აღრიცხვით, კავშირი აერთიანებს სულ —7.529 წევრს. ამათგან მარტო თბილისშია—3.539 წევრი, ხოლო პროვინციაში—3. 990. არსებობს სომი სამაზრო განყოფილება, 6—სა[illegible] ადგილკომი, 20 ადგილკომი და 5—რწმუნებული თბილისის მასშტაბით. ადგილკომებში მუშაობს—116 კაცი. ამათგან 34—ქართველი, 43—სომეხი და 26—რუსი.

ურთიერთდამხმარი სალარო

ცენტ. გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობას და გალების ამოსაღებად და სხვა.

ა | წ. 1-ლ იანვრიდან 15 დეკემბრამდე სალაროს ბიუროს სხდომა ჰქონებია 21 ჯერ. გაურჩევია 125 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილებული იქნა 107.

1-იანვრიდან 1-ლ დეკემბრამდე სალაროში შემოსულა 1.856 მან. 58 კაპ. ხოლო გაუციათ—1.743 მან. 61 კაპ.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა

1-ლ იანვრიდან 15 დეკემბრამდე კავშირს დაუდვია 20 კოლ. ხელშეკრულება და 88 სატარიფო შეთანხმება.

ხელშეკრულებები და სატარიფო ხელშეკრულებები დადებულია სულ 5.102 კაცისათვის.

მტვირთავთათვის 1 თანრიგისათვის ხელფასის მინიმუმი მე-2 ზოლისთვის იყო 15 მან.—ხოლო მე 3 ზოლისათვის 12 მანეთი და 50 კაპეიკი.

რაც შეეხება მეკურტნეებს, რომელთა რიცხვი—1.093 კაცს აღწევს, მათთვის—მათი მუშაობის ხასიათის გამო, შეუძლებელი იყო ხელფასის განსაზღვრა.

საზ. „ჩემოს“ მტვირთავები იღებდენ მე-7 თანრიგით 1-ლ რიგისათვის მინიმუმი იყო 19 მანეთი და 45 კაპეიკი.

როდესაც ეს მტვირთავები გადავიდენ „საქართველოს მარგანეცის“ ხელში—ეს მინიმუმი გადიდდა 21 მ. და 50 კაპეიკამდე.

უმუშევრობა

კავშირში დღეს ირიცხება 664 უმუშევარი, რაც შეადგენს კავშირის წევრთა 10 პროც. მიღებულია ზომები უმუშევრობის შესამცირებლად.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

ცენტ. გამგეობა კულტურულ მუშაობას ორის მხრივ აწარმოებდა. ერთია—საკლუბო მუშაობა და მეორე—კლუბის გარეშე მუშაობა. საკლუბო მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელი იყო. კლუბის გარეშე მუშაობა გამოიხატებოდა სხვადასხვა წრეების მოწყობაში. ასეთი წრეები იყო სულ—8—285 წევრით. ბიბლიოთეკების რაოდენობა სულ რესპუბლიკის მასშტაბით უდრის—7, ორი მოძრავი ბიბლიოთეკაც და 14 წითელი კუთხე.

წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ

სულ კავშირის წევრთაგან საქართველოში არის წერა-კითხვის უცოდინარი 1.271 კაცი. მცირე მცოდნე—926.

კავშირმა წერა-კითხვის უცოდინარობას დიდი ყურადღება მიაქცია. უცოდინართათვის გაიხსნა სპეციალურად სკოლები, სადაც სწავლობს 414 კაცი. ცენტ. გამგეობა აწარმოებდა სხვა სახის კულტმუშაობასაც როგორიცაა ფიზკულტურის წრეების და ექსკურსიების მოწყობა.

გემოკვების კავშირის წლიური მუშაობა

კავშირის წევრთა რიცხვი.

დღეს გემო-კვების კავშირი აერთიანებს 4.841 კაცს. შედარებით წინა საანგარიშო წელთან, წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

კავშირი ადგილებთან.

ცენტ. გამგეობის კავშირი ადგილებთან როგორც წერილობითი, ისე ორგანიული, საკმაოდ კარგად იყო დაყენებული, ცენტ. გამგეობიდან წარმომადგენლები იგზავნებოდენ პროვინციის განყოფილებებში—ბათომში, ქუთაისში, ჭიათურაში, გორში და სხ. აქ კეთდებოდა მოხსენებები სატარიფო-საეკონომიო მუშაობისა, საწარმოო თათბირებისა და სხვა პროფესიონალურ საკითხების შესახებ.

ურთიერთ-დამხმარე სალაროს მუშაობა.

კავშირის ერთ-ერთ მთავარ საგნად იყო ურთიერთ დამხმარე სალაროების კარგად მოწყობა. ამ მიზნით სალაროთა რიცხვი გაიზარდა. 1-ლ ოქტომბრისათვის კავშირში სულ იყო 17 სალარო 2.749 წევრით:

საანგარიშო ხნის განმავლობაში ამ სალაროებმა გასცეს სესხის სახით 20.671 მან. 86 კაპ. ამ თანხიდან უკან დაბრუნდა 9.058 მან. სულ სალაროთი ისარგებლა 1.465 კაცმა.

ეკონომიური და სატარიფო მუშაობა.

ეკონომიურ მუშაობას კავშირებში ხელმძღვანელობდენ საწარმოო კომისიები. საწარმოო კომისიების რიცხვი უდრის—18.

ამ კომისიების მიერ გაირჩა 253 საკითხი. რაც შეეხება საწარმოო თათბირებს, მათ გაარჩიეს სულ 201 საკითხი, ამათგან ცხოვრებაში გატარდა 136.

საწარმოო თათბირების მუშაობას აუცილებლივ დიდი მნიშვნელობა ქონდა წარმოების ნაყოფიერებისათვის.

კავშირმა დასდო ახალი კოლექტიური ხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმებები. მასთან განაახლა ძველი ხელშეკრულებები.

ყველგან შრომის ხელფასის განაკვეთი გადიდდა. ხელშეკრულებით ხელფასმა აიწია 19 პროცენტით. ხელფასის ასეთივე ზრდას ადგილი ქონდა სხვა წარმოების მუშებისათვისაც.

კოლექტიურ ხელშეკრულებები ადმინისტრაციის მიერ დარღვეული იყო 72-ჯერ. ამათგან 61 გადაწყდა მუშების სასარგებლოდ, დანარჩენი შემთხვევები ჯერ კიდევ საკონფლიქტოდ არის.

შრომის დაცვა

გემო-კვების კავშირიც შრომის დაცვასაც სათანადო ყურადღებას აქცევდა. თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებაში, სადაც კი საჭირო იყო, მუშებს დაურიგდათ სპეც-ტანისამოსი.

საზაფხულო კურორტზე გაიგზავნა 59 კაცი. საზამთროზე—15 კაცი. დასასვენებლათ სხვადასხვა აგარაკებზე—315. ამას გარდა კავშირის 11 წევრი მოხუცებულობის გამო დამზღვევი სალაროს მიერ აყვანილ იქნა სოციალურ უზრუნველყოფაზე.

ახალგაზრდათა შორის მუშაობა

ახალგაზრდათა რაოდენობა კავშირში უკანასკნელ აღრიცხვით უდრის 789 კაცს.

ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფმუშაობაში. არსებობს პიონერთა წრეები და ფიზკულტურისა და სხვა კულტურული სახის წრეებიც.

კულტმუშაობა

კულტმუშაობა სათანადო დონეზე დაყენებული. დღეს კავშირს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან აქვს 10 წითელი კუთხე და 1 კლუბი სოხუმში. ყველგან მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ბიბლიოთეკათა რიცხვი აღწევს 13; ამათში წიგნები მოიპოვება—3.474 ცალი. ბიბლიოთეკებით ისარგებლა სულ 1.460 კაცმა.

უმუშევრობა

1925 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის კავშირში ირიცხებოდა 575 უმუშევარი. კავშირი მათ თვიურ დახმარების სახით აძლევდა 3—5 მანეთამდე თითოეულს.

განი.

პროფმუშაობის ქრონიკა

მიწა-ტყის კავშირში

— **საექიმო პუნქტები მუშებისათვის.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა რესპუბლიკის დაზღვევის მთავარ სამმართველოს წინაშე, მოკლე ხანში შუა-ხორგაში (სენაკის მაზრა) მუშებისათვის საექიმო პუნქტის დაარსების შესახებ.

— **საჭიროა მუშებისათვის უფასო საექიმო დახმარება.** ჭალადიდის მუშებს საფერშლო პუნქტიდან უფასო საექიმო დახმარება ამდენხანს არ ეძლეოდა. მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ ამისათვის მიმართა რესპუბლიკის დაზღვევის სამმართველოს.

— **ახალი მუშკომები.** შუა-ხორგას ხეთის და ქარიატის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომების მაგიერ ცენტ. გამგეობამ დაარსა მთლიანი მუშათა კომიტეტი, რომლის ცენტრად არჩეულია შუა-ხორგა.

— **მიწა-ტყის კავშირის ადგილკომი ქ. ფოთში.** ქ. ფოთში დაარსდა მიწა-ტყის კავშირის ადგილკომი ადგილკომი გააერთიანებს ყულევის, მდინარე ფიჩორის მეტივეებს, მდინარე რაიონის მენავეებს, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფ. თანამშრომლებს და ბაღების მუშებს.

კოოპერაცია

ამხანაგობა „მდელოსი“

ამ ცოტა ხანში მოხდება სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობა „მდელოსი“-ს წევრთა წლიური კრება. საჭიროა ცოტათი მაინც დავახასიათოთ „მდელოსი“-ს მოქმედება ამ ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში. როგორ პირობებში იმყოფებოდა და იმყოფება ეს კოოპერატივი? აქვს თუ არა მას არსებობის საშუალება? გააჩნია თუ არა სასიცოცხლო ენერგია? როგორ როლს თამაშობს ის საერთო კოოპერატიულ ფრონტზე?

შეიძლება ითქვას რომ „მდელოსი“ დღეს მტკიცე საფუძველზეა. მართალია, „მდელოსი“-ს, როგორც სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის, მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სოფლის ნაწარმოების რეალიზაცია, მაგრამ გარდა ამისა „მდელოს“-მა გახსნა სახორცე და სარძევე მაღაზიები, გასტრონომიული და საკატლეტო მაღაზიები, შეისყიდა არყის და სპირტის საწყობი, აიღო იჯარით უზარმაზარი სარექტიფიკაციო ქარხანა, რომელსაც ყოველ დღიურად შეუძლია 30.000 გრადუსი არყის სპირტად გამოხდა.

მთელი საბრუნავი კაპიტალის 67 პროცენტი შეადგენს „მდელოსი“-ს საკუთარ თანხას. ეს კი კოოპერაციაში უსათუოთ დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. მიზნებისათვის რომელიც აქვს დასახული „მდელოს“-ს საჭიროა კაპიტალი, საჭიროა საბრუნავი თანხა. წევრები ვერ ამართლებენ ამ იმედებს, მათ წარმოებას უფრო სეზონური ხასიათი აქვს ამისათვის „მდელოს“-მა მიმართა სხვადასხვა დამხმარე საშუალებებს, თავისი მატერიალური რესურსების გასამაგრებლად. კოოპერატივი შეეცადა ბანკებში დავალიანების ასაცილებლადგამოენახა თავისთვის სალსარი და იმავე დროს არ ელალატნა თავის პირდაპირ დანიშნულებისათვის, წევრთა ნაწარმოების რეალიზაციისათვის.

ეს ერთი, მეორე ხელმომჭირნეობა, დიდი ეკონომიური თადარიგი კოოპერაციის გამაგრების საქმეში.

„მდელოსი“ ახალი კოოპერატივია და ამიტომ გასაკვირი არაა თუ ზოგჯერ ადგილი ქონდა დეფექტებს, მაგრამ ეს დეფექტები დღეს გამოსწორებულია. ისმება კითხვა რა გააკეთა „მდელოსი“-ს გამგეობამ თავის ძირითად ე. ი. სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის დარგში: 1. უზრუნველყო ამხ-ბის საქონლის საკვები. 2. მოუწყო წევრებს ბოსტნეულობის სათბურები, 3. მიაწოდა წევრებს სესხი როგორც ფულით, აგრეთვე ნატურით, 4. მიაწოდა სესხი მუშა საქონლის შესაძენათ, 5. მოაწყო ტრაქტორი დღლისში, მატორი ნავთლუღში და გადაარჩინა რაიონები განადგურებისაგან. 6. მოაწყო ბოსტნეულობის გამსაღებელი პუნქტები და სხვა. ერთი წლის განმავლობაში ეს ბევრს ნიშნავს.

როგორია კოოპერატივის მომავალი მუშაობის გეგმა? 1. საკუთარ მოქმედების რაიონებში ინტენსიური სასოფლო-მეურნეობის განვითარება, მორწყვის საქმის მოგვარება, 2. საგრიკულტურო და საგრონომიო საქმიანობის გაწევა, საცდელ მინდვრების და ხეხილების სანერგების მოწყობა, ჯიშიანი ხეხილის მოშენება, მებაღეობის პრაქტიკული ცოდნის განვითარება, მეურნეობის სხვადასხვა დარგის პოპულიარული ლექციების და საუბრების მოწყობა, 3. მეძროხეობის დარგის გაუმჯობესება, ჯიშიანი მეწველე საქონლის შეძენა და ადგილებზე საგრილებელი პუნქტების მოწყობით, 4. საქონლის ავადმყოფობასთან საბეითლო დახმარების მოწყობა, 5. ხეხილების ავადმყოფობასთან და სხვადასხვა მავნებლობასთან სათანადო აგრონომიული პერსონალის შექმნა, 6. ბოსტნეულობის თესლეულობის საზღვარ გარეთიდან გამოწერა და ადგილობრივათაც დამზადება, 7. ხილეულობის და საკონსერვო ქარხნის მოწყობა და სხვა. ზოგიერთ ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

ასეთია ჩვენი კოოპერატივის საქმიანობა. „მდელოსი“ დღიდან იზრდება და ძლიერდება. ასეთ კოოპერატივს თამამად შეუძლია იარსებოს და იმუშაოს.

ძველი.

საბჭოთა სასამართლო

ორი დრამატურგი

— მე მოგპარე? მე ვარ პლაგიატორი? როგორ, მე ამდენი წელი ვმუშაობ, ამდენი პიესა დამიწერია, სხვადასხვა ენებზე სთარგმნეს ჩემი პიესები... და მე პლაგიატორობას მწამებთ?—ცხარობს ბრაზმორეული ბალანჩივაძე.

— დიახ, თქვენ!—უპასუხებს არანაკლებ აღელვებული წერეთელი. თქვენ ისიც კი ვერ მოახერხეთ, რომ სათაური შეგეცვალათ. მე მქონდა „მზის სხივებისაკენ“, თქვენ დაარქვით „მზისაკენ“. აი მთელი თქვენი ორიგინალობა.

— შენ უნიჭო და გამოთაყვანებულო! მე შენ მოგპარე? ვის რათ უნდა შენი რამე. მე შენთვის რა უნდა მომეპარა. პატივცემულნო მოსამართლენო, ეს ხომ ყოვლად უნიჭო ვინმეა. შენ არც კი წაგიკითხავს ჩემი ნაწარმოები, სათაურს გარდა. სად შენი პიესა და სად ჩემი,—ბალანჩივაძე ხელში აფრიალებს თავის პიესას... აბა წაიკითხეთ ჩემი ნაწარმოები!

— დიახ, თქვენი პიესა ჩემგან არის გადაწერილი,—გაიძახის წერეთელი.

— უნიჭო!

— მე ვარ უნიჭო?.. ვნახოთ...

— მე მოვითხოვ გამოიწვიოთ ექსპერტები, ისინი დაადასტურებენ ჩემს სიმართლეს. ჩემი სინიდისი წმინდაა,—აცხადებს ბალანჩივაძე.

— დიდი სიამოვნებით, მეც თანახმა ვარ.

საქმე ექსპერტების გამოწვევამდე გადაიდო. მოწინააღმდეგეებმა ერთხელ კიდევ შეხედეს ერთმანეთს მტრული თვალით და გავიდენ დარბაზიდან.

—ძე

ქარცივაძის საქმე

შალვა ქარცივაძე. იყო სისხლის სამართლის მილიციის აგენტი, რომელსაც ხშირად უხდებოდა დაპატიმრებულთა გაჩხრეკა.

ვინმე მუსა-ოღლიმ შეიტანა სისხლის სამართლის მილიციაში განცხადება, რომ მისი დაპატიმრების და გაჩხრეკის დროს ქარცივაძემ ჩამოართვა მას ფული 7 მანეთი, რომელიც აღარ დაუბრუნებია განთავისუფლების შემდეგ. ასეთივე განცხადებები შეაქვთ სხვა პატიმრებსაც. დაინიშნა გამოძიება და აღმოჩნდა, რომ ქარცივაძეს მიუთვისებია ამ გზით 165 მანეთი.

ქარცივაძის საქმე გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ეს პირველი დანაშაულია ქარცივაძის მხრივ და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა პირობით ერთი წლის ვადით.

ნ.

განათლების ფრონტზე

სასოფლო-მეურნეობის შესწავლა

განათლების კომისარიატმა დაადგინა მაზრებში არსებულ ცხრაწლედებში შემოიღოს სპეციალური გაკვეთილები სასოფლო მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებსაც უმთავრესად ეწევიან გლეხები ადგილობრივ.

მომავალი წლის ბიუჯეტის

უნაკლოთ შედგენისა და უზრუნველყოფის მიზნით, განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა ადგილობრივ განათლების ინსპექციებს 1-ლ იანვრამდე წარმოადგინონ თავიანთ მაზრებში არსებულ სკოლების და მასწავლებლების სია საჭირო ცნობების თანდართვით: სკოლების საჭიროებისა და მასწავლებლების ხელფასის შესახებ და სხ.

ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების შესახებ.

განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სასწავლებლების გამგეებს მიიღონ ენერგიული ზომები, რათა მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში მყოფი 1904 წ. დაბადებული ახალგაზრდები უსათუოთ გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე კომისიაში ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების მიზნით სამოსწავლო პუნქტებზე მისაწერად.

ეროვნებათა უმცირესობის საბჭო

განათლების კომისარიატის ა | წ. 14 დეკემბრის დადგენილებით განათ. კომისარიატთან დაარსდა ეროვნებათა უმცირესობის საბჭო, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. მარიამ ორახელაშვილი. ამხ. ორახელაშვილს დაევალა საბჭოსათვის დებულების შედგენა

მუშათა ცხოვრება

ნაჭრობითი სამუშაოების შესახებ

როგორც ვიცით, ნაჭრობითი, სანარდო, ან და როგორც მას უწოდებენ ჩვენი მუშები „საკორდო" სამუშაოები ჩვენ საწარმოო დაწესებულებებში შემოღებული იყო შრომის ნაყოფიერების და პროდუქციის რაოდენობის გადიდების მიზნით. მუშის შრომის ხელფასის ოდენობა პირდაპირ დამოკიდებულია მისი შრომის პროდუქციის ოდენობაზე. მუშა იღებს ყოველ მის მიერ დამუშავებულ და დამზადებულ ფაბრიკატზე განსაზღვრულ პროცენტულ ჯილდოს. თუ იგი დაამზადებს ფაბრიკატებს მეტის რაოდენობით, იგი აუცილებლად მიიღებს ხელფასს მეტის ოდენობით, თუ დაამუშავებს ნაკლებს, მიიღებს ნაკლებ ჯილდოს. აქედან ცხადია, რომ თვით მუშა დაინტერესებულია თავის შრომის ნაყოფიერების ზრდა-გადიდებაში.

მუშაობის ასეთ სისტემას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითად ნაჭრობით სამუშაოში უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი აქეზებს, ახალისებს და აინტერესებს მუშას მისი შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ზრდის და ადიდებს მის ხელფასს, ზრდის და ამრავლებს ფაბრიკატების რაოდენობას.

ხოლო უარყოფითად ამ გვარ სამუშაოებში უნდა ჩაითვალოს შემდეგი: სანარდო სამუშაოები მხოლოდ რიცხვობრივ და არა ღირსებით ზრდიან ადიდებენ დამზადებულ საგნების რაოდენობას. მუშა იმ მიზნით, რომ მან მეტი ხელფასი გააკეთოს, ჩქარობს მუშაობის დროს, თითქმის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხოლოდ მის მიერ დამზადებულ საგნების რიცხვს, მათი ღირსება კი მას თითქმის სრულიად არ აინტერესებს.

ამიტომ მის ხელიდან გამოდის ძალიან ხშირად ბევრი „ბრაკი" (უვარგისი) საქონელი, რომელიც ჩვენი წარმოებისათვის მეტად საზიანოა და საზარალო: ჯერ ერთი რომ „ბრაკი" საქონელი ვერ პოულობს ბაზარს და მეორე—თუ მან სადმე ბაზარი გამონახა იქაც დიდი ხნით ფეხს ვერ იკიდებს; ეცემა მისი პრესტიჟი მომხმარებლის თვალში და სხ.

მასთან ნაჭრობითი სამუშაოების დროს თვით მუშების მიერ ირღვევა შრომის დაცვის პირობები. მუშა არ ისვენებს; იგი მუშაობს ზედ მეტ საათებში; ხშირად საუზმეზედაც არ გადის და თავის ჭუჭყიან დაზგასთან ახრჩობს პურის ჭამას, ან სრულებით არაფერს სჭამს, რომ დრო მას ამაში „არ დაეკარგოს უნაყოფოდ". ასეთი სამუშაო ძალზე ქანცავს, ღალავს და ასუსტებს მის ორგანიზმს, ულევს მას შრომის ძალ-ღონეს; იგი სნეულდება, ავად ხდება და ადრე ინვალიდობს.

ეს ყველაფერი შრომის დაცვის თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია და შეუწყნარებელი.

საჭიროა აქაც ნორმალური სამუშაო დროის მტკიცედ განსაზღვრა და დასვენების საათების სასტიკად დაცვა.

გამა.

ნუ აწვალებთ მუშებს

რკინის გზის უბნის დამზღვევ სალაროში მოდიან სხვადასხვა შორეულ სადგურებიდან დაზღვეული მუშები, რომლებმაც უნდა მიიღონ სალაროდან ფულები. მაგრამ ნაწილი მუშებისა უკანვე ბრუნდება ჯიბე ცარიელი. როდესაც მუშა სალაროში მიდის ფულის მისაღებათ, მას უნდა ჰქონდეს ექიმისგან და დარგის ადმინისტრაციისაგან სწორი ცნობა, მაგრამ, საუბედუროდ ეს მოვალეობა ზოგიერთ დარგის ადმინისტრაციას და ზოგიერთ ექიმს სულ სხვანაირად ესმის, მათვის სულ ერთია, ოღონდ მუშა მოიცილოს თავიდან და რა მოწმობასაც მისცემს იგი მას ანგარიშს არ უწევენ.

მაგალითად, ამა თუ იმ დარგის მუშა საავადმყოფოში წევს და მას ეკუთვნის ავადმყოფობის დროს ერთი თვის ჯამაგირი. ამისათვის დამზღვევ სალაროსთვის საჭიროა ცნობა, თუ მუშამ რა გამოიმუშავა ავადმყოფობის წინა ორ თვეში, ამის ცნობას ზოგიერთი ადმინისტრაცია არ აძლევს. სწორეთ, ის ზეპირათ სწერს რომ ეკუთვნის ამდენი ხელფასი. ადმინისტრაციამ იცის რომ ამით მუშა ფულს ვერ მიიღებს, მაგრამ მან რომ სწორი ცნობა მისცეს, ამას სჭირდება კვლევა-ძიება და იგი თავს არ იწუხებს.

ავიღოთ მაგალითად, რომელიმე მუშა იყო ავად და ექიმი მას აძლევს ცნობას თუ რამდენი დღე არ შეეძლება მუშაობა, ეს ყოველივე იწერება საავადმყოფო ფურცელზე. მოდის შორეულ სადგურიდან მუშა დამზღვევ სალაროში და გამგე აძლევს ბიულეტენს. გამგე ეკითხება მუშას, რამდენი დღე იყავი ავად? შვიდი დღე. უპასუხებს მუშა.

ექიმის დაწერილი ციფრები კი ადასტურებს, რომ მუშა ერთი თვე ავად იყო.

მუშა თავისას იძახის. გამგე ფულს არ აძლევს.

ვინ სტყუის?—ექიმი.

ასეთი შემთხვევები ხშირია.

გამგე ძალიან სწუხს, რომ დაიმედებული მუშა უფულოდ მიდის, მაგრამ რა ქნას, მას არ აქვს უფლება ყალბი მოწმობით მისცეს ფული.

ნუ თუ ასეთ დაუდევრობას ბოლო არ უნდა მოეღოს?

რად აწვალებენ მუშებს და 100 და 80 ვერსის მანძილზე ატარებენ მათ წაღმა-უკუღმა. ამას ხომ ხარჯები სჭირია მუშა წარმოებას ცდება და წვალობს.

მუშა ვ. სალუქვაძე.

ამ ტანჯვას როდის მოეღება ბოლო

(თბილისის სადგურის ადმინისტრაციის და „დტჩ"-ას საყურადღებოთ)

თბილისის სადგურს თუმცა ბევრი კარები აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ჩამოსულ მგზავრებისთვის მხოლოდ ერთად ერთი კარია ღია, სადაც ეგრედწოდებული პერონის კანტროლიორი ჩხრეკს ბარგს და ვაი იმის დღეს, თუ ერთი გირვანქა მეტი გამოვიდა მისი ბარგი იმაზე, რაც დადგენილებაშია აღნიშნული.

ამ ნიადაგზე ყავთ შეჩერებული მგზავრები რამოდენიმე საათობით არის ერთი წივილ-კივილი გინება-ლანძღვა და უსიამოვნება მგზავრთა შორის. კონკრეტიულად შემიძლია მიუთითო იმ არა ნორმალურ გარემოებაზე, რომელსაც ჰქონდა ადგილი 17 დეკემბერს დილის ჩამოსულ მატარებლით მგზავრებში მგზავრები ამ დღეს განიცდიდენ დიდ ტანჯვა-უბედურებას გასასვლელ კარებზე. როცა ვკითხე იქ მდგო მოსამსახურეს, თუ რაშია საქმე და რატომ ეგრე სტანჯავენ ხალხს მან მიპასუხა. ერთად ერთი კარია ეს და ერთი კანტროლიორი, რომელიც ვერ ასწრებს თავის მოვალეობის წესიერათ ასრულებას.

ასეთი მდგომარეობა სწორედ მიუღებელია.

მუშკორი ლიაპიძე.

გამოუგზავნილი წერილებიდან.

— **უნდა ასწავლოთ ჭკუა.** აბასთუმანის ფოსტალიონი მამულოვი (ყოფ. სპეკულიანტი) დიდ-თავხედობას იჩენს სამსახურში. დაზღვეულ წერილებს გახსნილებს აბარებს პატრონს, რაზედაც ხალხი ჩივის. თუ გასამრჯელოც არ მიიღო, მაშინ ხომ აუტანელია მისი საქციელი. თავის თანამოსამსახურეებსაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს თავის თავგასულობით.

აბასთუმნელი „იზ"—ლასი.

— **სხვაგან გაგვიხსენით კრედიტი.** ქართ. მუშთაკის სტიპენდიანტთათვის თითქმის ყოველ-წლიურად ხდება კრედიტის გახსნა, მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც მათთვის უხერხულია. სასურველი იქნებოდა ეხლა ისეთ ადგილას გაუხსნათ კრედიტი, საიდანაც ისინი შესძლებდენ ხელმისაწვდომ ფასებში საჭირო საქონლის შეძენას, მაგ. მუშკოოპში და სინდიკატში.

მსმ. იგ—დანი.

— **ქუთაისის რკ. გზ. მუშკორებში.** რკ. გზ. მუშკორთა ორგანიზაცია ამა წლის ზაფხულამდე გულმხურვალე მუშაობას ეწეოდა: მხოლოდ შემდეგ ბევრი ამხანაგი ჩამოეცალა. მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

საჭიროა კვლავ მუშაობის განახლება წარსულზე უფრო ენერგიულად.

მუშკორი ლეხი.

— **ალაგმეთ ეს მხეცი ვინმე**—მე 11 უბან. ყუბანის ქუჩ. სახლი № 5-ში ცხოვრობს რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მუშა ამხ. გიორგი ნინუა, რომელსაც ბინაში მოუვარდა მოქ. გრიგორ ნინუა ლანძღვა-გინებით, ბოლოს ეცა კიდეც და დაუწყო ცემა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ამხ. გიორგი იცავდა მისი ცოლის კანონიერ ინტერესებს, ვინაიდან მოქ. გრიგოლ უხეშად, უდიერად და თავხედურად ეპყრობა უდანაშაულო ადამიანს.

მუშა რკინისგზელი.

მუშ. ქრონიკა

— **ლექცია მუშებისათვის:** შაბათს 19 დეკემბერს საღ. 5 საათზე „ზაკავტოპრომტორგ"-ის მუშებს ლექტორმა ნ. სტრელეცკიმ წაუკითხა ლექცია შემდეგ თემაზე რა არის ჩვენი დედამიწა. ლექცია ჩატარდა სინათლიანი სურათებით.

— **ცენტ. მუშათა კლუბში:** კლუბის გამგეობის პრეზიდიუმმა გამოჰყო საიუბილეო კომისია 1905 წლის რევოლიუციისა და პროფმოძრაობის 20 წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად.

— **შეშის ფული მუშებისათვის.** კლუბის ოჯახიან მუშებს, თანახმად პრეზიდიუმის დადგენილებისა ურიგდებათ შეშის ფულად თითოს 10 მანეთი.

— **სამხატვრო წრეების გაერთიანება** კლუბის გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო, კლუბში შემავალ კავშირების ადგილობრივი სამხატვრო წრეების გაერთიანება ერთ მთლიან წრეთ.

— **წევრთა რეგისტრაცია:** კლუბის გამგეობამ დაადგინა უახლოეს ხანში დაამთავროს წევრთა ხელახალი აღრიცხვა.

— **პროლეტკულტის სპექტაკლები.** გამგეობამ დაადგინა, გამართოს მოლაპარაკება პროლეტკულტთან კლუბში წარმოდგენების გამართვის შესახებ.

— **წარმოდგენების დაწყება:** კლუბში გამგეობის დადგენილების თანახმად წარმოდგენები იწყება საღ. 7 ნახ. საათიდან, კინოს სურათების ჩვენება კი 7 საათიდან.

ინფორმატორი.

სოფლად

რევიზორი თბილისიდან

(სამტრედია, სანავარდოს უბანი)

კლუბში მოსვლისთანავე ის სცენაზე ამოვარდა ჯერ ერთი-ორჯერ რიხიანად ჩაახველა, შემდეგ დოინჯები შემოიდგა და ამაყათ მიმართა რეპეტიციისათვის თავშეყრილ სცენის მოყვარეებს: კომკავშირის რომელი უჯრედი მართავს წარმოდგენას? სამტრედიის სანავარდოს სცენის მოყვარეები, უპასუხეს ერთხმათ მოულოდნელ სტუმრით შეშფოთებულმა მოთამაშეებმა.

ხმ... ხმ... ჩაახველა მომხდურმა წარბების დაჭმუხვნით და თან უბის წიგნაკი ამოიღო ცნობების ჩასაწერათ.

— სცენის მოყვარენი, მაგრამ ერთი ისიც მითხარით, განაგრძო მან, ამ სცენის მოყვარეებისაგან უმრავლესობა კომკავშირლებია თუ არა?—არა,—მოკრძალებით უპასუხეს მას.

— მერე თქვენ მანდატები გაქვთ, რომ წარმოდგენას მართავთ? ბუწია ხმას გაგულისებულმა უცნობმა სტუმარმა და თან ღვინის სუნი ჩააორთქლა შიშისაგან პირდაღებულ ახალგაზრდა სცენის მოყვარეებს.

ამ კითხვას სხაპა-სხუპით მოყვა მთელა რიგი სხვა შეკითხვები: ვის სასარგებლოთ მართავთ წარმოდგენას რა პიესას დგამთ, რამდენი ხანია ემზადებით წარმოდგენისათვის და სხვა. ყოველივეს უცხო სტუმარი უბის წიგნაკში ინიშნავდა.

როცა გაათავა დაკითხვა, ერთი კიდევ დაუბღვირა ყველას და კარებისაკენ გაემართა. სცენის მოყვარენი სახტად დარჩნენ. ბოლოს, როგორც იყო, ერთმა მათგანმა მოიკრიბა ძალ-ღონე და ვაჟკაცობა გამოიჩინა. მივარდა უცნობ სტუმარს და გულისფანცქალით შეეკითხა, თუ ვინ ბრძანდებოდა ის.

— მე გახლავართ ვარლამ გოგია, თბილისიდან ჩამოსული, მოაძახა მან ცხვირის აპრუწვით, უნდა გახსოვდეთ, რომ დრამწრეში უპარტიოებს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ.

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ეს ყმაწვილი სცენის მოყვარეებს, მოთამაშეთა შორის ზოგიერთები ისეთნი იყვნენ, რომლებზედაც გოგიას მუქარამ გავლენა მოახდინა და რეპეტიცია ჩაიშალა.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ გამოგზავნა ვარლამ გოგია სამტრედიის სანავარდოს უბნის კულტურულ მუშაობის მოსაწესრიგებლათ, ან რა უნდა ეწოდოს მის მოქმედებას ადგილობრივ კლუბის სცენაზე? ასეთი მეტიჩარა არამკითხე რევიზორები, რომელთაც ანა-ბანა არ გაეგებათ პარტიის დღევანდელ კურსისსოფლად მუშაობის საკითხებში, მხოლოდ ზიანს აყენებენ საქმეს და ჩირქს სცხებენ იმ დაწესებულებას, ვისი სახელითაც ისინი ლაპარაკობენ.

გლეხკორი იქაური.

უმოქმედო თემაღმასკომი

(ხ. საყულია, ქუთ. მაზ.)

ჩვენი თემ საბჭო უმოქმედო გამოგვადგა. არავითარი მუშაობის უნარი არ გამოუჩენია საბჭოს სექციებს. ოთხი წელია ადგილობრივი პირები იყვნენ საბჭოს სათავეში და არც ერთ მათგანს არ უფიქრია თემის კეთილმოწყობაზე. ამ წელში კი აღმასკომის თავმჯდომარეთ დაასახელეს ქუთაისიდან ბეს. ბარათაშვილი და მდივნათ რ. კეპულაძე, რომლებიც შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას: შეიძინეს სამმართველოსათვის სამი თვალი სახლი და დადგეს თემის შუა ალაგას; გახსნეს დაკეტილი აფთიაქი, და ეხლა ცდილობენ საექიმო პუნქტის გახსნას და მისთვის ბინის შეძენას, მაგრამ მარტო ორ პირს რა შეუძლია, თუ მთელი საბჭო უმოქმედო და მძინარეა.

აი საბჭოს უმოქმედობის ნიმუშიც: ამ თემში, ს. ოფშქვითში, მენშევიკების დროს დაიწყეს აგურხანის გაკეთება. შეიძინეს ძრავიც, რომლის საშუალებით უნდა ამუშავებულიყო აგურ-ხანა და სახერხავი მანქანა; მაშინ ქარხანა არ ამუშავებულა და ძრავი დიდხანს უქმათ იდო; აგურ-ხანა მხოლოდ ამ ორი წლის წინათ ამუშავდა და ისიც უმატოროთ.—თემმა კი თავისივე დადგენილებით ვალდებული გაიხადა თავი გადაეხადა ერთი ან ორი წლის განმავლობაში ხუთი ათასი მანეთი, რომ აგურხანა შესაფერის ტეხნიკურ მოწყობილობით ამუშავებულიყო და მისგან დამზადებულ მასალით შეეკეთებიათ სოფლის სკოლაც.

წელს მოთავდა გაწერილი ფულის აკრეფა. შეგროვილი თანხა გადავიდა საბჭოს მიერ მოწვეული აგურხანის გამგე მოქ. მარკოზ სანებლიძის ხელში. მარკოზ სანებლიძე ძველი გამოცდილი ვაჭარია და თავისებურათ შეუდგა მუშაობას. ამდენი თანხა გაქრა და ხელში თემს დარჩა უვარგისი პრესი, აგურ-კრამიტის გამოსაწვავი ცუდათ აშენებული ქურები და დიდი ზარალი; დღეს სანებლიძე საბჭომ გადააყენა და წარმოება დროებით აღმასკომს ჩააბარა, მაგრამ სანებლიძის ყალთაბანდური მოქმედების გამო ზარალი იმდენათ საგრძნობია, რომ შეუძლებელია წარმოების წამოყენება, თუ სესხი არ იქნა აღებული, ან ხელმეორეთ არ გაიღო თემმა ფული თვითდაბეგვრის სახით. ფხიზელი საბჭო რომ ყოფილიყო, ეს ზარალი აშორდებოდა თემს.

ამავე თემში, სოფ. საყულიაში, 1881 წლიდან აშენებულა ჭოლაძეების და ამხანაგობის ორ თვალიანი წისქვილი, რომელიც დიდ შეღავათს აძლევდა იქაურ მოსახლეობას; 1921—22 წლებში ამ წისქვილის ქვევით 50 საჟენზე—მიქაბაძემ და კომპანიამ ააგო ახალი წისქვილი, რომელმაც შეტბორა ძველი წისქვილი და თითქმის გააუქმა ის. ამის შესახებ აღძრული საჩივარი დღესაც მოუგვარებელია ჰიდრო-სექციაში. ამ საქმეზე ბევრი ქრთამი და ფულია გაღებული ორთავ მოდავე მხარეების მიერ. ჰიდრო-სექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს და მოიყვანოს სისრულეში ეკონომ. განყ. დადგენილება 1922 წლის 20 მარტიდან მიქაბაძის წისქვილის შესახებ.

მურავიოვი.

წერილებიდან

სეფიეთი (სენ. მ.)

დახმარება გვესაჭიროება. ორი წელია, რაც ჩვენს სოფელში დაწყებულია კლუბის და სკოლის აშენება. არც ერთი და არც მეორე დასრულებული არაა. შარშანდელმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა დაწყებულ შენობებს. ამ ზამთარში მაინც საჭიროა ამ შენობების დამთავრება. მაგრამ თუ არ დაგვეხმარა, საქმის დაბოლოვება საკუთარი ძალით არ შეგვეძლება.

მ. ლაპარტყავა.

ი. ცაიში (ზუგდ. მ.)

არც პურია, აღარც მჭადი. აქ გაივლის შავი ზღვის რკინისგზა, რომელზედაც მუშაობს ოთხასამდე მუშა-მოსამსახურე. ყველა ესენი ყიდულობენ პურს ერთ მეპურნისაგან, კერძო პირისგან. რადგან ცაიშში სხვა პურის სავაჭრო არ მოიპოება, კერძო მეპურე სარგებლობს ამ მდგომარეობით და მეტად მდარე ხარისხის პურს აცხობს. ზოგჯერ შიგ იმდენი მჭადის ფქვილი ურევია, რომ ვერ გამოგიცვნია მჭადია, თუ პური. უფრო კი არც მჭადია, აღარც პური. ვფიქრობთ ცაიშის გლეხკომს შეუძლია გახსნას ფურნე და მით გვიხსნას ჩვენ სპეკულიანტის ბრჭყალებისაგან.

ვ. ლი.

ჭოპორტის რაიონი (დუშ. მ.)

მასალა უპატრონოთ დარჩა. სოფ. ბულაჩაურსა და ჭოპორტს შუა მდინარე არაგვზე არის ხიდი, რომელიც ერთად ერთ საშუალებას წარმოადგენს გლეხებისათვის კავკავთან და თბილისთან კავშირის დაჭერისათვის. ამ ხიდის შესაკეთებლათ ამხ. ალექსიშვილმა შეაგროვა სოფლებში სამი ურემი ფიცარი და ის იყო საქმეს უნდა შედგომოდა, რომ ალექსიშვილი ჯარში გაიწვიეს. დღეს ეს მასალა უპატრონოთ ყრია და განადგურება მოელის. მაზრამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

დ—ძე.

უხუთი (ქუთ. მ.)

უვარგისი აღმასკომი. ჩვენი თემი ერთი მივიწყებული თემთაგანია. აღმასკომის თავმჯდომარე არაფერ ყურადღებას არ აქცევს. კრებებს არც საზოგადოს და არც საბჭოსას არ იწვევს. ცდილობს ყველას გული მოიგოს და ამიტომ დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემას გაურბის. მდივანი კვირაში ერთჯერ თუ შეისწრი აღმასკომში, კაი ბიჭობა გინდა. მას შემდეგ, რაც ქუთაისში სახლი შეიძინა, საქმეზე გული აყარდნილი აქვს.

მაყურებელი.

სოფლის ქრონიკა

— **დუშეთის** სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ინვალიდთა სავაჭრო ნადი, კერძო ვაჭრებთან ბრძოლის მიზნით.

— **საბავშო სახლი.** წითელ ქალაქის სათემო აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ადგილობრივ საბავშვო სახლის შეკეთებას.

— **ფიზიკური კულტურა.** ახალციხის აღმასკომმა დაადგინა სოფლებში მოაწყოს გლეხი ახალგაზრდობის ფიზ. კულტურის წრეები.

— **წოდვერში** და ბაკურიანში ადგილობრივ აღმასკომებში შეუდგენ საექიმო პუნქტების მოწყობას.

— **მოძრავი სამკითხველოები.** ახალციხის სამაზრო განყოფილებამ გადასწყვიტა შეუდგეს მოძრავი ქოხსამკითხველოების მოწყობას.

— **სენაკის მაზრის** სოფ. ხორშას გლეხები უკვე შეუდგენ ადგილობრივ სკოლის აგებას.

— **სოფ. ზემო-ქალადიდში** (სენაკ. მ.) გაიხსნა აფთიაქი.

— **თელავის** აღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს თელავში კომუნალური ბანკის განყოფილების გახსნის დასაჩქარებლად.

— **დუშეთის** აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ შეიძინა მინები და საჭირო ნივთები სამხედრო წერტებისათვის.

იურიდიული რჩევა-დარიგება

როგორ მოვიქცეთ.

კითხვა:

სახლის პატრონმა (ერისთავის შეს. № 8) ზემო სართულის მდგმურებს დაგვიხურა ფეხისადგილი, ვინაიდან იგი კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. ფეხისადგილი აგერ სამი კვირაა, რაც დაკეტილია, სახლის პატრონი კი თავს არ იწუხებს მის შეკეთებაზე, პირიქით განზრახული აქვს მისი სრულიად მოხსნა.

გთხოვთ გვაცნობოთ: 1) აქვს თუ არა უფლება სახლის პატრონს მოგვიხსნას ფეხისადგილი მაშინ, როდესაც ზემო სართულში მეტი ფეხისადგილი არ არის;

2) ვის მოვალეობას შეადგენს ფეხისადგილის შეკეთება, სახლის პატრონის თუ მდგმურების;

3) შეგვიძლია თუ არა ჩვენ, მდგმურებს, შევაკეთოთ ფეხისადგილი და ხარჯი ავინაზღაუროთ ბინის ქირიდან.

4) თუ სახლის პატრონი არ გვაძლევს ნებას შევუდგეთ ფეხისადგილის შეკეთებას, ვიდრე არ მოვა ვითომდა მის მიერ მოწვეული ტეხნიკური კომისია,—როგორ მოვიქცეთ. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვინმეს დაუკითხავათ შევუდგეთ შეკეთებას.

მ. გვინჩიძე.

პასუხი:

ფეხისადგილის შეკეთება ევალება სახლის პატრონს. თუ თქვენ მას შეაკეთებთ, გაქვთ უფლება მის შეკეთებაზე დახარჯული ფული სახლის პატრონს ბინის ქირიდან დაუჭიროთ, ფეხისადგილის მოშლით მდგმურების შევიწროების უფლება სახლის პატრონს არა აქვს, თუ ფეხის-ადგილი მოწყობილია ტეხნიკურად და სანიტარულად მისაღებ ადგილას, რაც შემოწმებული უნდა იქნეს სანიტარულ ექიმის, ან ტეხნიკის მიერ.

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება № 67

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1926 წელში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა. წ. ნოემბრის 12-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2-ე მუხლის შესაცვლელად, საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1926 წელში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მოსამზადებელი მუშაობა საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნებისათვის სწარმოებს 1925 წლის ნოემბრის 15-დან და უნდა დამთავრდეს 1926 წლის თებერვლის 1-მდე, ხოლო თვით არჩევნები უნდა დაიწყოს 1926 წლის თებერვლის 1-დან და დამთავრდეს იმავე წლის აპრილის 1-მდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. დეკემბრის 18.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ლენინრაიკომი იუწყება: დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება **მიმღებ კომისიის სხდომა** ახალ კანდიდატების მისაღებათ.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

ჩოხონელიძე მარია, კნიშევი მაქსიმ, მებუკე კირილ, ბიჩიკაშვილი ზაქარია, ძამაშვილი ალ., ურიგაშვილი მიხეილ, მურუსიძე ვარლამ, სილაძე გიორგი, სულხანიშვილი ზაქარია, კაზნოდეი სტანისლავ, გოგოლაძე ვალერიან, ავსატანაშვილი ალ., კიკალიშვილი ივან, ვარსემაშვილი მიხეილ., დევდარიანი ვერა, ცოპურაშვილი ფიდო, ნონიკაშვილი ნასყიდ, კაჩეტკოვი მიხ., ღლონტი შალვა, გოჩუაშვილი იასონ, მამუკოვი ალიოშ, ვულარაშვილი ნიკ., დავიდოვი გ., ჭრელაშვილი ნიკო, ატოიანცი რუბენ, ბეზპროზვანნი პავლე, ელიკაშვილი შალვა, ლეკვეიშვილი შალვა, გვიძე გიორგი, არდემანაშვილი რაჟდენ, ცინცაძე მიხ., საჩელელი ანტონ, ტილიშვილი გ., ოქროცოვიძე ვლ., კიბალნიჩენკო ივან, რატიშვილი ეგნატე, სიხარულიძე ილია, კირმალაშვილი გიორგი, ოდილავაძე მარკ., თოფურიძე ანდრია, ანიკეევი იოსებ, ივანელაშვილი ანტონ, იურიკოვი ნიკ., ლაზუტკინ მიხეილ.

მდივანი—კობახიძე

— **ქალაქის რაიკომი იუწყება:** დღეს, 23 დეკემბერს, [illegible] საათზე შესდგება საგიტკოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგი: 1) საგიტპროპ. კაბინეტის შესახებ. 2) საგიტპროპ. მუშაობის გეგმა უმაღ. სასწ. უჯრედებში. 3) წითელ კუთხეების დათვალიერების შესახებ. 4) მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

კუტუბიძე, კერესელიძე, ტერ-აკოფოვი, ფიშერი, ფანცულაია, მახარაძე, ფომინი, ჯავახიძე, ბელიავცევი.

განყ. გამგე—კუტუბიძე

ქალაქის რაიკომის საგ.-საპროპ. განყ. იუწყება: დღეს, 23 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, განყოფილებაში უნდა გამოცხადდენ აგიტ-პროფორგანიზატორები შემდეგი უჯრედებისა: № 11—ძლებროვი, № 13—სკულპტინი, № 14—ქირიაკოვი, № 21—კაჭარავა, № 27—ოტრაბლენკო, № 31—რაზმაძე, № 32—გაბუნია, № 33—ლაშხი, №34—ბედია, № 35—ასმაროვი, № 36—წითლიძე.

ამხანაგებს თან უნდა ჰქონდეთ უჯრედების წევრთა სიები და ცნობები პოლიტსკოლებისა და მეგობ. საზოგადოებების შესახებ.

განყ. გამგე—კუტუბიძე.

— ლენინის რაიონის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 24 დეკემბერს საღამოს 5 საათზე სანიტ-განათლების შენობაში (ჩერქეზიშვილის ქ., № 108) შესდგება ლენინის რაიონის ქალთა ორგანიზატორების კრება.

დასწრება ყველა ქალთა ორგანიზატორების და დელეგატების სავალდებულოა პროფდისციპლინის ძალით.

— **მეორე რაიკომი იუწყება:** ხუთშაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი რაიონულ უჯრედების მდივნების თანადასწრებით.

დასწრება სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატებისთვის და აგრეთვე უჯრედების მდივნებისათვის.

მდივნის მაგიერ—წითლიძე

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყ. სთხოვს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან:

ჯიქია ნესტორ, პატ. ზალიანი, ი. ისკანდარიანი, ფეოდორ რეშეტოვი, ელ. ხაჯიევა, მოლჩანოვი მიხ., ალბელოვი ნიკ., გ. ცხრაკბილაშვილი ჭუმბურიძე ამბრ., ჭანკოტაძე ვლ., სეცენკო პავლე.

ხელოვნება

ანა არლოვას კონცერტი

სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თბილისში კარგად ცნობილმა ბოშურ რომანსების და სიმღერების შემსრულებელმა ანა არლოვამ გამართა თავისი კონცერტი. უნდა ითქვას, რომ ბოშური სიმღერების კონცერტი, უკვე აღარ იწვევს გაცხოველებულ ინტერესს. ეს თვალსაჩინო გახდა თუნდაც იმით, რომ კონცერტს ძალიან მცირერიცხოვანი საზოგადოება დაესწრო და ამას გარდა უკვე აღარ იყო საზოგადოებაში ის არაჩვეულებრივი აღფრთოვანება, რომელსაც შეამჩნევდით წინად. ეს იმას მოწმობს, რომ საზოგადოების მუსიკალური გემოვნება განვითარდა, ის ეძებს ნამდვილ ხელოვნებას და არა მის სუროგატს.

ბოშური სიმღერა—ეს თავისებური ხასიათის სიმღერაა. ის არ აკმაყოფილებს ნამდვილი ვოკალური ხელოვნების მოთხოვნილებებს. სიმღერა მხოლოდ ყელის ხასიათისაა, მომღერალი დაინტერესებულია არა მუსიკალობით, არამედ მით, რომ რაც შეიძლება სწორად მიბაძოს ნამდვილ ბოშების სიმღერას. როგორც რიტმი, ისე სიტყვები და სიმღერის მთელი ხასიათი სავსებით თავისებურია. მთელი ბოშური რეპერტუარის მთავარი მხარეა ადამიანის გრძნობების გადმოცემა.

ანა არლოვას ძალიან ლამაზი ხმა აქვს, ის მეტად მგრძნობიარე და მუსიკალურია. მისი სიმღერა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, შესრულება უნაკლოა. მომღერალმა მოგვცა ბევრი ვოკალური ნიუანსები და განცდა.

კონცერტზე მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა მაქსიმოვამ და ვენაძემ.

მუსიკოსი.

ლეონ პირადოვის კონცერტი

პირადოვი ითვლება კონსერვატორიის ერთ-ერთ მეტად ნიჭიერ სტუდენტად. ის ამთავრებს კურსს პროფესორ ტრუსკოვსკის კლასში. რასაკვირველია, ჩვენ ახალგაზრდა პიანისტს იმდენს ვერ მოვსთხოვთ, რამდენსაც საერთოდ დამთავრებულ საესტრადო შემსრულებლებს. მაგრამ სტუდენტი, რომელიც მართავს თავის კონცერტს, მომზადებული უნდა იყოს საესტრადო გამოსვლისათვის, მან უნდა გვიჩვენოს თუ ვირტუოზული დამთავრებულობა არა, ყოველ შემთხვევაში თავის პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სწორი გაგება.

პირადოვმა გამოიჩინა მუსიკალობა, კარგი ტეხნიკა და ლამაზი ღრმა ტონი. მაგრამ პროგრამის მეტი ნაწილი (ბახის, ბეთხოვენის და შუმანის ნაწარმოებები) ახალგაზრდა პიანისტის მიერ ვერ არის სწორად შესრულებული. მთელი ყურადღება იქითკენ კი არ უნდა იქნეს მიპყრობილი, რომ ინსტრუმენტს რაც შეიძლება მეტი ხმა „მოაღებინო,—არა. ბახი, ბეთხოვენი და შუმანი საჭიროა შესრულებული იქნეს უფრო სტილიურად.

პირადოვმა კი ბახის პრელიუდიაში ვერ მოგვცა ვერც სიღრმე, ვერც სწორი ხმოვანება, რაც წარმოადგენს ბახის ნაწარმოების დამახასიათებელ მხარეს.

ასევე სუბიექტიური და არასტილიური იყო ბეთხოვენის სონატის შესრულება.

კარგად იყო შესრულებული ჩაიკოვსკის სონატა, ზოგიერთი ეპიზოდები შუმანის კარნავალიდან, აგრეთვე ზოგიერთი ეტიუდები.

საჭიროა ყურადღება მიექცეს პედალიზაციასაც.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **„მარჯვენა თვალით".** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა კონსტანტინე გამსახურდიის ნოველების წიგნი: „მარჯვენა თვალით". წიგნში მოთავსებულია შემდეგი ნოველები: „ტაბუ", „დიდი იოსები", „ევროპა გალიაში".

— **რადიო-გადამცემი სახ. ოპერაში.** განზრახულია სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიდგას რადიო-გადამცემი აპარატი წარმოდგენილ ოპერებისა და კონცერტების მოსკოვსა და სხვა ადგილებში გადასაცემათ.

— **„ოტელლო".** მიმდინარე სეზონში განზრახულია წარმოდგენილი იქნას ოპერა „ოტელლო".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ქაჯი ნაზარი" სომხურ ენაზე.

— **საოპერო სტუდია.** საოპერო სტუდიაში დაიწყო მეცადინეობა. გადათარგმნილია თითქმის ყველა ოპერა.

— **კონსერვატორიაში** დღეს გაიმართება ახალგაზრდა პიანისტ-კომპოზიტორის მიშა ლალინოვის კონცერტი.

— **„რიგოლეტო"-ს** მაგივრათ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „აიდა" სედენკოს, ვოლჩანეცკაიას და ქუმსიაშვილის მონაწილეობით.

— **სომეხ ხელოვანთა** სახლის „ჰაიარტუნის" თეატრში 24 დეკემბერს გაიმართება კონცერტი საქველმოქმედო მიზნით.

— **ცირკში** დღეს ბოტო-ფოზის გასტროლი.

— **„მჭედელი მიქავა".** სახ. კინომრეწველობამ დაამთავრა ახალი სურათის „მჭედელი მიქავა"-ს ზოგიერთ ნაწილების გადაღება სომხეთში.

— **სომხეთის გასაბჭოების 5 წ. თავი ეკრანზე.** სომხ. სახ. კინო-მრეწველობამ გადაიღო სომხეთის გასაბჭოების 5 წლის თავის დღესასწაული. სურათი შევა დიდ სურათში: „ხორჟურდაინ ჰაიასტან" (საბჭოთა სომხეთი).

დღეს კინოებში

— აპოლო—„ივეტა".
— პალასი—„ადამიანი № 14".
— არფასტო—„მიმავალი ჩრდილები".
— სოლეი—„იგივე".
— მინიონი—„ბებერი სოკო".

ქრონიკა

საბჭოთა არჩევნებისთვის

საბჭოთა არჩევნების სასურველად ჩასატარებლად საქ. ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა არჩევნების წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გააგრძელოს ერთი თვით—1 იანვრის ნაცვლად 1 თებერვლამდე, თვით არჩევნები დაიწყება 1 თებერვლიდან და გაგრძელდება 1 აპრილამდე.

მეცხვარეების მისალმება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: სიღნაღის და თელავის მაზრის მშრომელი მეცხვარეების ყრილობა მხურვალეთ მოგესალმებათ თქვენ მშრომელი მასსის ხელმძღვანელთ, საქართველოს მეცხვარეები მზათ არიან ჭირში და ლხინში დაგეხმარონ და შეიტანონ თავისი წვლილი თქვენი იდეის განხორციელების საქმეში.

ყრილობის პრეზიდიუმი.

ა | ქ. სახალხო კომისართა საბჭოში

— ა | კ. საზაფოების სამმართველოს უფროსად ა | კ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით დაინიშნა ამხ. ხუტულაშვილი.

თბილისის დამზღვევ სალაროში

— დამზღვევ სალარომ დასაზღვევ ანარიცხების გაფლანგვისათვის პასუხისგებაში მისცა მშენებელთა კავშირის ადგილკომი,

— **დახმარება უმუშევრებს.** 24 დეკ. იმ უმუშევრებს, რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 6501 და მას ზევით მიცემათ დეკემბრის დახმარება.

— **სოც. დაზღვევის განათლების** საქმეზე ტფ. დამზღვევ სალარომ გასულ თვეში დახარჯა 875 მანეთი.

შინაგან საქმეთა კომისარიატში

საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების და საბჭოთა არჩევნების შესახებ შინ. საქ. სახ. კომისარიატი სცემს ამხ. აფციაურის წიგნს მაზრებისათვის.

— **მილიციის ამოცანები.** შინაგან საქ. კომისარიატი ბეჭდავს ამხ. მათიკაშვილის წიგნს: „მილიციის მუშაობა და მისი მორიგი ამოცანები, სადაც ვრცლად გაშუქებულია მილიციის უფლება. მოვალეობანი და მომავალი მუშაობა.

შრომის კომისარიატში

— **მოჯამაგირეთა მდგომარეობის** გამოკვლევას შრომის კომისარიატი შეუდგება მიმდინარე წელს.

— **შრომის კანონების დარღვევისათვის** შრომის ინსპექციამ პასუხისმგებაში მისცა წარმოკავშირის ნაწლავების დამამზადებელ ქარხნის ადმინისტრაცია.

— **შრომის კოლექტივების** საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიმართება 4 იანვარს მოსკოვში, საქართველოდან იგზავნება ამხ. კილასონიძე.

საბინაო მშენებლობა

— ეკონომიურ ორგანიზაციების ცნობებით საბინაო მშენებლობისათვის აფხაზეთს ესაჭიროება 300 ათასი მან. მეტი სესხი. აქედან სოხუმს—139,072 მან., გუდაუთს—26,410 მან., გალის მაზრას—20335 მან., ოჩემჩირეს—59,789 მან., გაგრას 25,000 მან.

სხვადასხვა

— **ტრიკოტაჟის** (საქსოვი) ქარხანა-კოლექტივმა გააფართოვა თავის მუშაობა. ამჟამად იქ მუშაობს 125 კაცი.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადის** სახით 1 დეკემბრამდე საქ. სახ. სალაროში შემოვიდა 570,648 მანეთი.

— **ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტთან** ჯანსახკომი ხსნის 20 ახალ საწოლს.

— **გოგირდის შესყიდვა.** ა | კ. კოოპერატიული კავშირი მიმდინარე წელში საზღვარგარეთ შეიძენს 100 ტონა გოგირდს.

— **პურის შემოტანა.** უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა პურის პროდუქტების შემოტანა ბათომის ბაზარზე. მოთხოვნილება დიდია, ფასებიც მტკიცეა.

— **დავრდომილთათვის დახმარება.** რკ. გზის უბნის დამზღვევი სალარო 1-ლ ჯგუფში მყოფ დავრდომილთ 1-ლ ოქტომბრიდან აძლევს 25 მანეთს. მეორე ჯგუფში მყოფს 16 მანეთს და 70 კ. და მესამეში მყოფს კი 12 მანეთს და 50 კ.

— **საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების** კავშირში ამჟამად ირიცხება 21 ათასი კაცი, ამ ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი რამდენიმე ათასით გაიზარდა.

შემთხვევები

ცოფიანი ძაღლი. 21 დეკ. მე-8 სამილიციო უბანში ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც სასწრაფოდ გადაგზავნილი იქნენ პასტეროვის საავადმყოფოში. ძაღლი მოკლული იქნა.

შეპყრობა. 21 დეკ. შეიპყრეს ნინიკაძე რომელსაც ბრალდება ქურდობა.

ქურდობა. 21 დეკ. სასამართლოს ქ. № 38 კლიჩინის სახელოსნოდან მოიპარეს 208 მან. ნივთები.

21 დეკ. თავისუფლების მოედანზე მანთაშევისეულ ქარვასლაში მოხეტიალე ბავშვებმა ვიტრინის გატეხის საშუალებით გაქურდეს მაღაზია. ერთი ქურდთაგანი შეიპყრეს.

ამავე დღეს ტროცკის ქ. № 19 თელია ადჟიევას მოპარეს ავინდან პალტო.

ამავე დღეს საბადუროს ქ № 31 გაქურდეს მიხეილ ალბოვის ბინა.

ამავე დღეს სუფკარაპეტის ხევში № 17 გაქურდეს ხაჩიკ შაჰნაზაროვის სახელოსნო.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მშობლები: იოსებ გიორგის ძე: ეფემია სვიმონის ასული, დები ლიდა და ვერა ზაალიშვილები, ბიძები ლავრენტი, არჩილი და რაფიელ ზაალიშვილები, ძალუები ეფემია და ალექსანდრა ზაალიშვილებისა, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ 21 დეკემბერს დილის 5 საათზე, გარდაიცვალა თბილისის ქალთა 7 შრომის მე-9-რე ჯგუფის მოწაფე ქალიშვილი

თამრო იოსების ასული
ზაალიშვილი

დასაფლავება მოხდება სოფელ ერთაწმინდაში ეკლესიის გალავანში
922 24 დეკემბერს, ხუთშაბათ დღეს. 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: ცოლი ოლია, ძმები: ვარლამ და რაფიელ და დაჭნუცა ვერულაშვილები, რძალი იულია, ძმისშვილები კატო და ოთარ მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძვირფას და დაუვიწყარ

ვანო სიმონის ძე ვერულაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. უკანასკნელი გამოთხოვების დღე პარასკევს, 25 ქრისტეშობისთვეს—სოფელ ეწერში.

1926 წ. მიიღება ხელისმოწერა 1926 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე“

(გამოდის ყოველდღიურათ ექვსი გვერდი, კვირაობით რვა გვერდი)

1926 წლის განმავლობაში „კომუნისტი“-ს ხელისმომწერლებს დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „დროშა“ იუმორისტული განყოფილებით.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა“.
3. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“.
4. ბ. გორევი „ტომას მორიდან ლენინამდე“.
5. ე. ნინოშვილის მოთხრობები—ტომი მეორე,—სახელგამის გამოცემა, 485 გვ. მდიდრათ დასურათებული.

შინაარსი:

მიხა ცხაკაია—ეგ. ნინოშვილის თხზულებათა სრული გამოცემის გამო.

მოთხრობები:

1. პარტახი
2. განკიცხული ოჯახი
3. მონადირე
4. განკარგულება
5. მოსე მწერალი
6. ჩვენი ქვეყნის რაინდი
7. ცოლი და ქმარი
8. სხვამ რაც უნდა სთქვას
9. სოფლის გმირები
10. გურიის ამბები
11. წერილები დაღესტნიდან
12. უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის
13. ძველი დავა
14. საბაასო
15. ვარიანტები
16. კერძო მიწერ-მოწერა
17. ინგორუყოს გვარეულობა
18. ბიბლიოგრაფია
19. ლექსიკონი

დამატებები შემდეგნაირად განაწილდება:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელისმომწერლებს დაურიგდებათ უფასოთ:

„დროშა“ თვეში ორი ნომერი და „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორი ნომერი

სამი თვის ხელისმომწერლებს

რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს,

მიეცემათ:

1. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“
2. „დროშა“ თვეში ორი ნომერი
3. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორი ნომერი

ექვსი თვის ხელისმომწერლებს

რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს,

მიეცემათ:

1. ბ. გორევი—„ტომას მორიდან ლენინამდე“
2. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ.კ.პ.“ 114 გ.
3. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორჯერ
4. „დროშა“ თვეში ორჯერ

ერთი წლის ხელისმომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემათ:

1. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები ტომი მე-2 (ზემოთ მოყვანილი შინაარსით)
2. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორჯერ
3. „დროშა“ თვეში ორჯერ.

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხებისა, წითელარმიელებისა და მასწავლებლებისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით

1 თვით	90 კ.
2 „	1—70 „
3 „	2—60 „

ერთი წლით 10 მ. 50 კ.

4 თვით	3—50 კ.
5 „	4—50 „
6 „	5—40 „

ყველა დანარჩენებისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით

1 თვით	1—20 კ.
2 „	2—30 „
3 „	3—50 „
4 „	4—50 „
5 „	5—60 კ.
6 „	7—20 „
1 წლით	14—50 „

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე—1 მან. 50 კაპ.

უცხოეთში	1 თვე	1 დოლარ ნახევარი
„	3 „	4 „ „
„	6 „	8 „ „

იბეჭდება და იანვრის პირველ რიცხვებში დაურიგდებათ ხელის მომწერლებს ჟურნალ

„მნათობი“-ს

ნოემბრის და დეკემბრის №№ 11—12 (19—20). ჟურნალში მოთავსებულია

ლექსები:

ნინო თარიშვილი—უზურში
ვასო გორგაძე - ზინაიდა ვოლკონსკაიას
იონა ვაკელი—თბილისი
ა. ქუთათელი—ოქტომბერი
ა. ბუჭურანგი (მაშაშვილი) Jalla
კ. ლორთქიფანიძე—ნატვრა
ე. პოლუმორდვინოვი—ფიქრები რევოლიუციაზე

გრ. რობაქიძე—გველის პერანგი (რომანის გაგრძელება)
ნიკოლო მიწიშვილი—შავი ვარსკვლავი (პოემა)
ს. კლდიაშვილი—ქალაქი ხევში
დ. კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზედ (გაგრძელება)
უპტონ სინკლერი—შავი ნახშირი (გაგრძელება), თარგმანი კ. ჰიჭინაძისა
ელ. ყაზბეგი—დ. ყაზბეგის და ა. ყაზბეგის ბიოგრაფ. მასალა (გაგრძელება)
ვ. ბახტაძე—ცხოვრება და ხელოვნება
ს. ხუნდაძე—უახლ. კაპიტ. და მისი სახე ომის წინა დროის რუსეთში
რ. კალაძე—1905 წ. და ქართული მწერლობა.
დ. გვაზავა—დეკაბრისტები
ბიბლიოგრაფია

ნ. 472 1—1

თანახმად საქ. ს. ს. რ. სოც. უზრუნვ. სახ. კომისარიატის დადგენილებისა,

შესდგა სრ. საქართველოს დასახიჩრებულთა კოოპერატ. შენაერთის „ვსეგრუზიკო“-ს საქმეების

სალიკვიდაციო კომისია

ვადა პრეტენზიების მიღებისა: საქ. ს. ს. რ. საზღვრებში 1926 წლის 7 იანვრამდე, ხოლო საქ. ს. ს. რ. საზღვრებს გარეშე—1926 წლის 23 იანვრამდე.

მისამართი: თბილისი, ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის ქ.) № 30, სრ. საქართველოს დასახიჩრ. კოოპ. შენაერთის სალიკვიდაციო კომისიას.

დეპეშებისათვის: თბილისი, „ვსეგრუზიკო“-ს სალიკვიდაციო კომისიას.

თავმჯდომარე ო. კობიაშვილი
მდივანი მ. ახალაძე

932 1—1

ფინანსთა სახალხო კომისარიატი
ამით აცხადებს, რომ

1924 წლის მე-2-ე სახელმწიფო 6 პროც. მომგებიან სესხის ობლიგაციების მაგიერ გაცემულ

დროებით ქვითარების

გადასაცვლელად ამ სესხის ნამდვილ ობლიგაციებზე

უკანასკნელ ვადათ დანიშნულია

ა/წ. 31 დეკემბერი

აღნიშნულ ვადის შემდეგ ყველა დროებითი ქვითარები უქმდება და არავითარი განცხადება მათი ობლიგაციებზე გადაცვლის შესახებ არ მიიღება.

ნ. 469—1—1

რუსთაველის თეატრი:

ხუთშაბათს, 24 დეკემბერს

დეზერტირკა

ნ. 450 3—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 23 დეკემბერს

აიდა

ხუთშაბათს, 24 დეკემბერს

დუბროვსკი

აპოლო
ართისტული
სოლეი

პოლლა ნეგრი სურათში

ივეტტა

მსოფლიოში ცნობილი რეჟისორის ერნსტ ლიუბიჩის დადგმა. ერნსტ ლიუბიჩი ცნობილია საზოგადოებისათვის სურათით „როზიტა“.

საუკეთესო სურათი მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით.

მიმავალი ლანდები

კონტრამარკები არ გამოდგება.

ჩქარა: „დიადი მარადიული“

0—5 ნ. 445

ხელისმომწერლებმა

ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

საააქციონერო საზოგადოება

„რუდმეტალტორგ“

(„Рудметалторг“)

თბილისი, პლეხანოვის პრ. № 53

აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კერძო ქარხნებს, სახელოსნოებს, შინამრეწველებს და ყველა მოქალაქეებს, რომ საზოგადოებამ გახსნა ქალ. თბილისში კლარა ცეტკინის ქუჩაზე (ყოფილი ელისაბედის ქ.) საწყობი № 90, სადაც

ყიდულობს ყოველგვარ ნატეხ ლითონებს, როგორიც არის: ძველი რკინა, თუჯი, სპილენძი, ტყვია ცინკი და სხვა.

იქვე იყიდება ყოველგვარი შესაკეთებელი რკინის და ლითონის მას, ალა განსადეგი საამშენებლო, საწარმოო და საშინამრეწველო სამუშაოებისათვის.

ა—1 ნ. 413

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირს მიღება 8—11 დღ., 6—8 საღ.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალებისათვის—დღის 1—2 საათამდე.

ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობის უკან). 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25-1

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 სათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა)

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ვ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზების
სამმართველო

ამით აცხადებს: თანახმად გზათა სახ. კომისარიატის განკარგულებისა და ბარგის და ტვირთების გადაზიდვის შესახებ ადგილობრივ არსებულ კომიტეტის დადგენილებისა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს დაგროვება და გაჩერება დატვირთულ ვაგონებისა გადმოტვირთვის, გადარჩევის ან სხვა ვაგონებში გადატვირთვის მიზეზით—სადგურ ბაქო მეორეზე, ბალაჯარაზე, ნავთლუღში და თბილისში დასასვენებელ და უქმე დღეებში და აგრეთვე უქმეების წინა დღეებში 25 დეკემბრიდან ამ სადგურებზე იწარმოებს საქონლის გადმოტვირთვისა და გაცემის ოპერაციები 8 საათის განმავლობაში.

გამგეობის თავმჯდომარე—**ჩხეიძე**
მოძრაობის განყ. უფროსი (ხელმოწერილია)

ნ. 475—1—1

მეორე სახელმწიფო 12 პროც. მომგებიან სესხის
მოგებათა პირველი ტირაჟი

დაიწყო ა/წ. 15 დეკემბრიდან მოსკოვში.

ტირაჟში მონაწილეობას ღებულობს ამ სესხის პირველი 5 სერია, რომელიც გამომუშავებულია ხმარებაში. თვითეულ სერიაზე გათამაშებული იქნება 3,281 მოგება 125,000 მანეთის რაოდენობით, ხოლო სულ 5 სერიაში არის 16,405 მოგება 625,000 მანეთის რაოდენობით. მოგებათა განაწილება ასეთია:

5,000 მანეთიანი	—	5 მოგება
1,000 „	—	25 „
500 „	—	125 „
100 „	—	250 „
50 „	—	3,500 „
25 „	—	12,500 „

შემდეგი ტირაჟები გაიმართება ყოველი 3 თვის განმავლობაში—3 გათამაშება 1926 წელს და და 4—1927 წელს.

მოგებათა ტირაჟების ოფიციალური ცხრილები დაიბეჭდება „ცაკის უწყებებში“ („იზვესტია“-ში), ხოლო ტირაჟის დამთავრების შემდეგ დაიბეჭდება ერთად და დაგზავნილი იქნება ადგილებზე. ცნობების მიღება მომგებ ობლიგაციების შესახებ შეიძლება ყველა საფინანსო ორგანოებში, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, აგრეთვე იმ დაწესებულებებში, რომლებიც ჰყიდიან სესხის ობლიგაციებს და გაზეთების რედაქციებში.

ტირაჟის დროს სესხის გასაღება არ წყდება.

ნ 470 1—1.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადმყოფებათათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინზით, **რენტგენის**, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექ. ე. მ. მძ ნარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღის 1—2 ს. და საღამოს 4—6 ს. ქალებს და ბავშვებს 5—7 ს.

რუსთველის პროსპექტი № 10 შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით, და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 სათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **მალაევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.

კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

ექიმი **ი. ა. შაფერ**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 სათ. და 6—8 სათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

ექიმი **ა. ი. ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914“

გონორეის და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვო, სრონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 25—1

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას

დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

ყოფ. სარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან ვერა ერემიას ასულის განგესოვას სახელზე, ჩ. გ. 920 1—1

დაიკარგა სამგზავრო მოწმობა № 28661, ელენე ნაფეტვარიძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 828 გაც. იპოლიტე ჯაველიძეს სახელზე, ჩ. გ. 918 1—1

დაიკარგა სამხედრო საარიცხვო ბარათი, მეტრიკული მოწმობა გეურქ მდივანოვის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა საარიცხვო ბარათი ფ. № 4 ერმილე ლუხუტაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა ვინაობის წიგნაკი № 2059 შალვა იოსების ძე ქყონიას სახელზე, ჩ. გ. 927 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 2259 დიმიტრი მინას ძე პატარიძის სახელზე, ჩ. გ. 926 1—1

დაიკარგა ხელთნაწერი კვიტანცია ათ თუმნიანი, დათიკო ლეპარიანის სახელზე ჩ. გ. 925 1—1

დაიკარგა ხელთნაწერი კვიტანცია ათ თუმნიანი ვასილ ხვედელიძის სახელზე, ჩ. გ. 924 1—1

დაიკარგა „ზაკტპოს“ საწევრო წიგნაკი № 20960 დ. მ. გოჩიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 923 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ფურცელი ალექსანდრე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 931 1—1

დაიკარგა რკინის გზის სასურსათო წიგნაკი № 30038—გაბრიელ ნოზაძეს სახელზე, ჩ. გ. 930 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი და უვადო ბილეთი გრიშა ინჯგიას სახელზე, ჩ. გ. 929 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ქ. თბილისის მე-12-ე უბნის სამილიციო სამმართველოდან ბიქტორ გიორგის ძე ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 928 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, № 13, ალექსანდრე ახობაძეს სახელზე, ჩ. გ. 933 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სა... ქუჩა № 4